# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 4 ნოემბერი 1998 №200 (735) ფასი 50 თეთრი



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 11 | 8 | 3 | 0 | 36:7 | 27 |
| ტორპედო | 12 | 8 | 2 | 2 | 29:13 | 26 |
| კოლხეთი | 11 | 7 | 2 | 2 | 28:14 | 23 |
| ლოკომოტივი | 12 | 5 | 7 | 0 | 15:5 | 22 |
| დილა | 12 | 6 | 3 | 3 | 18:13 | 21 |
| ბათუმი | 12 | 5 | 5 | 2 | 19:10 | 20 |
| იბერია | 12 | 5 | 1 | 6 | 22:26 | 16 |
| ოდიში | 12 | 4 | 1 | 7 | 9:21 | 13 |
| არსენალი | 12 | 3 | 4 | 5 | 15:22 | 13 |
| მერანი | 12 | 2 | 7 | 3 | 7:11 | 13 |
| გორდა | 12 | 2 | 6 | 4 | 7:8 | 12 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 4 | 2 | 6 | 13:14 | 11 |
| სიონი | 12 | 3 | 2 | 7 | 13:27 | 11 |
| სამგურალი | 12 | 3 | 1 | 8 | 11:27 | 10 |
| გურია | 12 | 3 | 1 | 8 | 14:31 | 10 |
| თსუ | 12 | 2 | 3 | 7 | 11:18 | 9 |

„ვიტ ჯორჯიას" დაკლებული აქვს 3 ქულა

გუშინ ისანზე: „არსენალი" — „დილა". კაკაშვილს გაგნიძემ აჯობა

საქართველოს ჩემპიონატი

## 12 ტური

31 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| სამგურალი | 2 |
| გურია | 1 |
| დინამო | 1 |
| ტორპედო | 0 |
| გორდა | 1 |
| იბერია | 0 |
| სიონი | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| კოლხეთი | 5 |
| ოდიში | 1 |

1 ნოემბერი, კვირა

| | |
|---|---|
| თსუ | 0 |
| ბათუმი | 1 |

2 ნოემბერი, ორშაბათი

| | |
|---|---|
| მერანი | 0 |
| ლოკომოტივი | 0 |

3 ნოემბერი, სამშაბათი

| | |
|---|---|
| არსენალი | 2 |
| დილა | 2 |



ასტონ ვილა — სელტა. ბირმინგემელთა მეკარე ოუქსს მესამე გოლი გაუვიდა

## უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი

საპასუხო მატჩები. 3 ნოემბერი

UEFA CUP

*პარმა (იტალია)* — ვისლა (პოლონეთი) 2:1 (1:1)
1:0 ფიორე (20), 2:0 ზაიაცი (46ს.კ.), 2:1 ზაიაცი (90)
ვალენსია (ესპანეთი) — *ლივერპული (ინგლისი)* 2:2 (0:0)
1:0 კლაუდიო ლოპესი (45), 1:1 მაკმანამანი (80), 1:2 ბერგერი (85), 2:2 კლაუდიო ლოპესი (90)
*სოსიედადი (ესპანეთი)* — დინამო (რუსეთი) 3:0 (3:2)
1:0 კოვაჩევიჩი (55), 2:0 დე პაულა (69), 3:0 კოვაჩევიჩი (75)
*ლიონი (საფრანგეთი)* — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 3:2 2:1)
1:0 კავეგლია (17), 1:1 ილიჩი (30), 2:1 კოკარი (40), 3:1 კავეგლია (43), 3:2 ოგნიენოვიჩი (90)
*მონაკო (საფრანგეთი)* — გრაცერი (ავსტრია) 4:0 (3:3)
1:0 გავა (8), 2:0 შპეპარი (16), 3:0 დიავარა (50), 4:0 გავა (69)
*ბრიუგე (ბელგია)*— შტუტგარტი (გერმანია) 3:2 (დ.დ.), (1:1)
1:0 დე კოკი (60), 1:1 ვერლაატი (76), 2:1 კლასენსი (105), 2:2 ბობიჩი (110), 3:2 ილიჩი (115)
*ბეტისი (ესპანეთი)* — ტილბურგი (ჰოლანდია) 3:0 (1:1)
1:0 ფინიდი (29), 2:0 ზარანდონა (56), 3:0 ფერნანდო სანჩესი (89)
ასტონ ვილა (ინგლისი) — *სელტა (ესპანეთი)* 1:3 (1:0)
0:1 ხუან სანჩესი (26), 1:1 კოლიმორი (30პ), 1:2 მოსტოვოი (34), 1:3 პენევი (48)
*ციურიხი (შვეიცარია)* — სელტიკი (შოტლანდია) 4:2 (1:1)
1:0 დელ სინიორე (51), 1:1 ოდონელი (53), 2:1 შასო (55), 3:1 ბარტლეტი (61), 3:2 ლარსონი (72), 4:2 სანტანა (75)
*მარსელი (საფრანგეთი)* — ვერდერი (გერმანია) 3:2 (1:1)
1:0 მორისი (34), 1:1 აილტსი (46), 2:1 ისა (51), 3:1 დიუგარი (76), 3:2 პერცოგი (81)
სლავია (ჩეხეთი) — *ბოლონია (იტალია)* 0:2 (1:2)
0:1 სინიორი (80), 0:2 კაპიოლი (85)
*ბორდო (საფრანგეთი)* — ვიტესი (ჰოლანდია) 2:1 (1:0)
1:0 მიკუ (9), 1:1 იოჰანსენი (18), 2:1 ვილტორდი (65)
*ატლეტიკო (ესპანეთი)* — ცსკა (ბულგარეთი) 1:0 (4:2)
1:0 ჟუნინიო (45პ)
ლიდსი (ინგლისი) — *რომა (იტალია)* 0:0 (0:1)
ფიორენტინა (იტალია) — გრასჰოპერი (შვეიცარია) (2:0)
2:1-ზე შეწყდა გულშემატკივართა უსაქციელობის გამო

## რა მოხვდა თანამსაჯს?

ფლორენციელები 2:1 იგებდნენ. შეხვედრა შეწყდა და შედეგი გაუქმდა — თანამსაჯ ფილიპ ფლამენტს, შესვენებაზე გასახდელისკენ რომ მიემართებოდა, მავანი მაყურებლის მიერ ნასროლი საგანი მოხვდა, რის გამოც მისი დაუყოვნებლივ ჰოსპიტალში წაყვანა გახდა საჭირო.

ტრიბუნიდან ნასროლი ნივთი თავდაპირველად სანთებელად აღიქვეს, თუმცა „ფიორენტინას" გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო ლუნამ განაცხადა, მაყურებლებმა ბომბი ისროლესო. სინამდვილეში რა მოხვდა თანამსაჯს, ეს დღეს, უეფას სადისციპლინო კომიტეტის საგანგებო სხდომაზე გაირკვევა, სადაც გადაწყდება კიდეც „ფიორენტინას" ბედი. არაა გამორიცხული, ქომაგთა უსაქციელობის გამო კლუბი გათამაშებიდან მოკვეთონ.

მატჩი სალერნოში მიმდინარეობდა, რადგან ფლორენციელებს შინ თამაში აკრძალული აქვთ.

# ნაკრებს ახალი სისხლი სჭირდება. თანაც სასწრაფოდ!

*ლევან მოსეშვილი: თუ გაისად ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო წრეს ვერ ვუმასპინძლეთ, კალათბურთი, შესაძლოა, ხელში ჩაგვაკვდეს*

3 ნოემბერი. დიღმის საკალათბურთო ბაზა. მეორე დღეა, რაც ...ოვნული ნაკრები ვარჯიშს შეუდგა. ამჟამად ლევან მოსეშვი...ს განკარგულებაში 13 კალათბურთელია, რომელთაგან 8 სწო...დ ქვეყნის პირველ გუნდშია გამოძახებული, ხოლო დანარჩე... ახალგაზრდულის წევრები არიან. სულ კი მწვრთნელმა ...როპის ჩემპიონატის შესარჩევი წრისთვის 14 მოთამაშე შეი...ლა. აქედან ექვსი ლეგიონერია და ჯერაც ვერ მოუხერხებიათ ...ლისში ჩამოსვლა.

...წინ ურთულესი მატჩები ელით. ნოემბრის 25-ში ჩვენი ნაკრები ჩეხეთში იქაურ გუნდს დაუპირისპირდება. 28-ში შვედეთს დახვდებიან და შემდეგ უკვე 2 დეკემბრის თურქული თამაშისთვის დაიჭერენ თადარიგს.

ზურგს უკან კი ხუთი მძიმე მარცხია — ქართული კალათბურთის არნახული ფიასკო. ჯერაც გაუმარჯვებელნი ვეგებებით მეორე წრეს, რომელიც კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს ჩვენს დღევანდელ სახეს, შესაძლებლობას.

იხილეთ მეცხრე გვერდი



საქართველოს ნაკრები დიღმის საკალათბურთო ბაზაზე ჯერ ულეგიონერებოდ ვარჯიშობს

## ავსტრია

XIV ტურის გადადებული მატჩი
რაპიდი 1:0 ზალცბურგი

## გერმანია

ბუნდესლიგა გადადებული მატჩი
შალკე 1:1 ფრაიბურგი
1:0 ნემეცი (25), 1:1 კორელი (71)

## იტალია

სერია B. გადადებული მატჩი
ბრეშა 1:1 ატალანტა
0:1 დ. ზენონი (36), 1:1 შუბნერი (38)

## ინგლისი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები

ქრიუ 1:4 სანდერლენდი
0:1 დიკიო (11), 0:2 გრეი (28), 0:3 ქუინი (45), 0:4 ბრიჯისი (60), 1:4 ლიტლი (78)

იფსვიჩი 2:0 ვულვერჰემპტონი
1:0 სქოუქროფტი (17), 2:0 სტოკველი (90)

უოტფორდი 1:1 ნორვიჩი
1:0 ჯექსონი (8ს.კ.), 1:1 იდი (34)

ვესტ ბრომვიჩი 3:2 კრ. პალასი
1:0 ჰიუზი (1), 1:1 იანსენი (30), 2:1 ჰიუზი (84პ), 2:2 ბრედბერი (87), 3:2 ჰიუზი (90)

# დღეს ბასკები, მერე ირლანდია

გუშინ ბორჯღალოსნებმა ფრანგული ტურნეს ბოლოსწინა მატჩში მიდი-პირინეის ნაკრებს 28:14 მოუგეს. ჩვენებიდან ლელოები მაჩიტიძემ, პარწიკანაშვილმა, კობახიძემ და ალანიამ გაიტანეს.

— მთლიანობაში გუნდის თამაშით კმაყოფილები დავრჩით — გვითხრეს მწვრთნელებმა — ჩვენი მითითებები ზუსტად და სრულად შესრულდაო. მომავალ მეტოქეთა, რუმინელთა მზვერავებს ამჯერად თავი აღარ შეუწუხებიათ და ჩვენების თამაში ვიდეოფირზე აღარ აღუბეჭდავთ.

დღეს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ბოლო საწვრთნელ შეხვედრას სან სებასტიანში გამართავს საფრანგეთის და ესპანეთის ბასკთა გაერთიანებულ გუნდთან. მერე ირლანდიაა...

ირაკლი თავაძე

თბილისი
3 ნოემბერი
14 საათი
ისანი
1 000 (ტევადობა 5 000)

**არსენალი 2:2 დილა**

0:1 ბ. ჩიტაია (31), 1:1 ტარიელაშვილი (37), 2:1 ზირაქიშვილი (64), 2:2 ახალკაცი (79)
არსენალი: აბაშიძე, ფირცხალავა, ჩიქოვანი, გველესიანი (გემაზაშვილი 46), ლაცაბიძე, ყოლბაია (ლომიძე 78), ზირაქიშვილი, მ. მაისურაძე, კორღალიძე (ხოსროშვილი 89), კაკაშვილი, ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* ჩლაიძე, გაგუა, შ. სულაძე, გამზარდია
დილა: თ. ილურიძე, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, გ. ჩიტაია (ლ. გოჩაშვილი 46), განიძე, მოსულიშვილი (ახალკაცი 67), მარუხაშვილი, ციცქიშვილი, თაყაძე, ბ. ჩიტაია, შატაკიშვილი (აკოფიანი 88)
*სათადარიგონი:* ხელაია, სულთანიშვილი, არუთუნიანი
გაფრთხილება: ხაჭაპურიძე (66), მაისურაძე (87), ლაცაბიძე (90)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ა. ქარქაშაძე (სამივე თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი)
სფფ-ს დელეგატი: უ. ფურცელაძე

# მშიერი მაძღარს გაუმკლავდა

მამუკა კვანტალიანი

ცოტა უცნაურია და ალოგიკური, მაგრამ ფაქტია — ბევრ სიკეთეს მოკლებული გორის „დილა“ უფრო სოლიდურად გამოიყურება, ვიდრე შედარებით წელგამართული და მაძღარი „არსენალი“.

გორელები თავიანთი თავგანწირული თამაშით ხუთეულში გარეულან, ხოლო ავლაბრელები გათამაშების ცხრილში ქვედა ნაწილს ამაგრებენ.

„დილას“ მეათე ეროვნულში დედაქალაქს სტუმრობა კარგად აქვს დაცდილი. აქამდე თამაში არ წაუგია, არც გუშინ შეირცხვინეს გორელებმა თავი. შინ გაბრუნებულებმა ხელს ქულაც გააყოლეს.

„არსენალი“ სათამაშოდ ახალი თავკაცის ხელმძღვანელობით გამოვიდა. ალბათ, ძლიერ სურდათ ფეხბურთელებს მწვრთნელის გახარება, მაგრამ მხოლოდ საკუთარ თავს თუ დააბრალებენ, რომ ვერ იმარჯვეს.

მასპინძლებს მეკარე ჩლაიძე აკლდათ. თემურს ხელი ასტკივებია. სტუმრებმა წამყვანი ფეხბურთელი და კლუბის ბომბარდირი ალეკო კაიდარაშვილი მოისაკლისეს. ალეკოს ადრინდელი ტრავმა გამიზეზებია. გორელებმა ვერც ძირითადის მეკარე მდივანი და მცველი სამხარაძე ჩამოიყვანეს.

ყრუ დაცვაში არც ერთი გუნდი ჩამჯდარა. შეძლებისდაგვარად ორივე შეტევას ცდილობდა. ამას იმის მიხედვით ახერხებდნენ, თუ როგორ შესაძლებლობას აძლევდა მობურთალთ უხეირო მინდვრის საფარი და საკმაოდ ძლიერი ქარი მაინცდამაინც ვერც მაღალი სათამაშო კულტურით და დისციპლინით დაიკვეხნიდნენ მეტოქეები.

მასპინძლები პირველი ტაიმის საწყის წუთებში უფრო ვარგოდნენ. ჯერ ვერცერთი გუნდის თავდამსხმელებს ვერ გაუხერხებიათ გორელთა დაცვის ასე გარღვევა. სტუმართა ნაქები დაცვა გუშინ ძლიერ დაბნეულად გამოიყურებოდა.

მიუხედავად ასეთი უპირატესობისა, „არსენალმა“ დაწინაურება ვერ შეძლო. პირიქით, გორელები გაუშინაურდნენ აბაშიძის „საბატონოს“ და დაამწუხრეს კიდეც.

მოსულიშვილის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმიდან ციცქიშვილმა ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა. მასპინძელთა მეკარე და მცველი ერთმანეთის იმედად დარჩნენ, ბექა ჩიტაიამ კი გველესიანის ფეხიდან ასხლეტილი ბურთი მშვიდად გადაგზავნა კარში.

თამაში ორმხრივი იერიშებით გაგრძელდა. საბოლოო უპირატესობა ვერც ერთმა მოიპოვა და თითქოს ტაიმიც ასე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ტარიელაშვილმა სტუმართა მცველებში გაინავარდა, თავი გაითავისუფლა და საჯარიმოს ხაზიდან ილურიძეს შორეულ მარჯვენა კუთხეში გაუტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისიდან მინდორზე „არსენალი“ გაბატონდა. არ ვიცი, შეგნებულად იყო თუ არა, მაგრამ გორელები მეტოქის ნახევარზე ძალიან იშვიათად ჩნდებოდნენ.

მასპინძლებს ზურგქარიც ეხმარებოდათ. სულ ცოტა ორჯერ გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ბოლო დარტყმისას სცოდავდნენ ხოლმე, ილურიძემაც აიღო ძნელი ბურთი. „არსენალმა“ საწადელს მაინც მიაღწია. ზირაქიშვილმა საჯარიმოს სიახლოვეს ბურთი გაისწორა, ძლიერად დაარტყა და მარცხენა დაბალ კუთხეში გაიტანა.

შორიდან ასე ჩანდა, თითქოს მასპინძლები მიღწეულ უპირატესობას კიდევ უფრო გაამყარებდნენ, მაგრამ რატომღაც გაჩერდნენ. ვეტერანებს დაღლა დაეტყოთ. სტუმრები კი მარცხს არ ეპუებოდნენ.

„დილას“ კართან იყო კუთხურების სერიაც, ზირაქიშვილიც ითხოვდა თერთმეტმეტრიანს, როცა საჯარიმოში შეჭრილი ფეზუაშვილთან ორთაბრძოლისას წაიქცა, მაგრამ ერთი რამ მაინც ცხადი იყო. მასპინძლებს „საწვავი“ გამოელიათ. ადრინდელივით მწვავედ ვერ უტევდნენ.

„დილას“ ახალგაზრდებმა კი თავისი გაიტანეს. მანამდე უშეცდომოდ მოთამაშე გოჩა ჩიქოვანი სისწრაფეში დაეჯაბნინა რომან ახალკაცს. ვერც გავამტყუნებთ, „ბაბუ“ ხომ მთელი ოცი წლით უფროსი გახლავთ თავის გორელ კოლეგაზე, რომელიც ლამის შვილად ერგება.

ცქიფინა გორელმა ბურთი საჯარიმოში შეიტანა, წინგამოსულ მეკარესაც სწორად დაურტყა და მატჩის საბოლოო შედეგიც დააფიქსირა.

მიუხედავად არასასურველი შედეგისა, მასპინძლები მეათე ადგილზე აცოცდნენ. გორელებს კი სადარდებელიც არა აქვთ. „დილას“ დღემდე არასდროს ჰქონია პირველ წრეში 21 ქულა, მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით ძლიერი გუნდიც ჰყოლია.



„არსენალის“ გორელი გიორგი ლომიძე თანაქალაქელთა გარემოცვაში

მურაზ ჯიშკარიანის ფოტო

# სერგო კოტრიკაძე: ძველზეც, ახალზეც



სერგო კოტრიკაძე ქართველ ფეხბურთელთა იმ თაობას მიეკუთვნება, პირველი დიდი სიხარული რომ აჩუქეს საფეხბურთო საქართველოს. ახლა, ამ გადასახედიდან, განსაკუთრებით ძვირფასი გახდა 64-იანელების ის ოქრო, რომელმაც სათავე დაუდო ქართული ფეხბურთის შემდგომ წარმატებებს. მაგრამ მხოლოდ წარსულზე არ გვისაუბრია ბატონ სერგოსთან, ყოველივეს მაინც დღევანდელობა განსაზღვრავს სპორტში. ჰოდა, სერგო კოტრიკაძემ თანამედროვე ქართული ფეხბურთის პრობლემებზეც ბევრი გვესაუბრა:

— ქართული საფეხბურთო სამყაროს ბოლოდროინდელი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, თქმა არ უნდა, სფფ-ს IV ყრილობა და პრეზიდენტის არჩევნები გახლდათ. ყველაფერმა უაღრესად დემოკრატიულ დონეზე ჩაიარა. წავიდა ძველი გუნდი, მოვიდა ახალი. არჩევნებამდეც და ახლაც უამრავი მაძაგებელი ჰყავდა და ჰყავს სფფ-ს ძველ შემადგენლობას, შეცდომა და ნაკლი აბა, ვის არა აქვს, მაგრამ ისიც ხომ სათქმელია, რომ სფფ-ს ყოფილ პერსონალს კარგი და მისაღებიც ბევრი გააჩნდა. ფეხბურთი საქართველოში ისეთი ხილია, რომლის ცოდნაზეც ყველა თავს დებს და აზრთა სხვადასხვაობაც აქედან მოდის. სხვა საქმეა, როცა ზოგიერთი პატივს არ სცემს სხვის შეხედულებას.

სფფ-ს ახალ პრეზიდენტს რაც შეეხება, მასზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი. მერაბ ჟორდანია იმ ხალხის კატეგორიას მიეკუთვნება, ცოტას რომ ლაპარაკობენ და ბევრს აკეთებენ. აქამდეც არაერთხელ დაამტკიცა ჟორდანიამ საქმის კაცობა. მისი ახალგაზრდობა კი მხოლოდ უპირატესობა მგონია. ამ ახალგაზრდა კაცის აქტივში უნდა ჩაითვალოს ჩვენდამი, ვეტერანებისადმი დამოკიდებულებაც. წლების მანძილზე ხომ „დინამო“ ლამის ერთადერთი მფარველობდა თავის ყოფილ ფეხბურთელთა ოჯახებს. გახსოვთ, რა მძიმე პერიოდი მოვიტოვეთ უკან. ჰოდა, მაშინ მერაბ ჟორდანია და მისი კლუბი 25-30 ოჯახს ეხმარებოდა ერთდროულად.

**— ბატონო სერგო, ეროვნული ჩემპიონატის და ქართული ფეხბურთის დაბალ დონეზე აღარავინ კამათობს. გამოსავლად ვის რა მიაჩნია, ვის რა. თქვენეული პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით არ იქნებოდა უინტერესო.**

— ახლა ბევრს ლაპარაკობენ ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში მონაწილე გუნდების რაოდენობის შემცირებაზე, თანხების მოზიდვაზე და ასე შემდეგ. არავითარი შემცირება, არავითარი თანხა არ უშველით. აუცილებელია, დაწესდეს გარკვეული ასაკობრივი ცენზი, რათა როგორმე შეჩერდეს ფეხბურთელთა მასობრივი გადინება. გასაგებია, რომ უჭირთ და გარბიან საზღვარგარეთ. იმასაც ამბობენ, აქ ველარ ვიზრდებით და იქ კლასს ვიმაღლებთო, მაგრამ ეს ვთქვათ — ერთიორის გარდა ვინ აიმაღლა კლასი? არადა, საზღვარგარეთ 400-ზე მეტი ქართველი ფეხბურთელი ირჯება. თუ იქნება ასაკობრივი ცენზი, აიწევს ფეხბურთის საერთო დონე, ამაღლდება ფეხბურთელთა საერთო კლასიც და მხოლოდ ამის შემდეგ შემოუვა ქართულ ფეხბურთს ფული — მხოლოდ კონკურენტუნარიანი გუნდების შემთხვევაში, მაღალი დონის, ჩამოყალიბებული ასაკის ფეხბურთელების შემთხვევაში მივიღებთ სათანადო შემოსავალს.

**— ამ ბოლო დროს ბევრი იწერება ეროვნული გუნდის შიგნით არსებულ სიტუაციაზე, კონფლიქტებზე. ბევრი ითქვა, ბევრიც ჯერაც არ თქმულა, თქვენ რას იტყოდით ამჟამინდელი ეროვნული ნაკრების შესახებ?**

— საერთოდ, პრესას ძალიან დიდი როლი აკისრია ინფორმაციის გავრცელების საქმეში. ამიტომ ჩვენი ნაკრების შესახებ რაც ვიცი, მეც გაზეთებიდან ვიცი. თუ მართალია, რაც ნაკრებზე გაზეთებში იწერება, ვერ არის კარგი საქმე. გუცაევმა აქამდეც დაამტკიცა, რომ ძლიერი მწვრთნელია და ახლა საჭიროა, ამ კაცს მუშაობის საშუალება მიეცეს. ერთიცაა, ვითხოვთ შედეგს და არ გვყავს კონტინგენტი. ჩვენი ფეხბურთელების უმეტესობა ხომ მეორე და მესამე დივიზიონებში გამოდიან, უკეთეს შემთხვევაში, მეორეხარისხოვან გუნდებში და აქედან დასკვნაც — მეორეხარისხოვანი გუნდის ფეხბურთელი ვერ შეძლებს დაამარცხოს უფრო მაღალი კლასის გუნდების ფეხბურთელები.

არ უნდა დავივიწყოთ ერთიც, ქართულ ფეხბურთს გარკვეულწილად კანონზომიერება ახასიათებს — ყველა დიდი წარმატება გარკვეული პერიოდის შემდეგ მოდიოდა. მაშინ ჯილდო-მწვერვალი სსრკ ჩემპიონობა იყო და ამ ტიტულსაც 10-12 წელიწადში ერთხელ თუ მოიპოვებდნენხოლმე ჩვენი ფეხბურთელები. გახსოვთ 1953 წელი? მაშინ პაიჭაძის თაობას ფაქტობრივად წაართვეს ოქროს მედლები. მას მერე გავიდა 11 წელი. მოვიდა ჩვენი თაობა და 1964-შიც გავჩემპიონდით. ამის შემდეგ გავიდა კიდევ თორმეტი წელი და ახლა მაჩაიძის, ყიფიანის, ჩივაძის თაობამ მოიპოვა ჩემპიონობა.

მერე ისე მოხდა, რომ ახალკაცის გუნდის ბიჭები თითქმის ერთნაირად წავიდნენ ფეხბურთიდან, გამოვეყავით საბჭოთა ფეხბურთსაც და, შეიძლება ითქვას, ერთი ციკლი ჩაგვივარდა. თუ დავითვლით, მორიგი აღზევების პერიოდი ერთ-ორ წელიწადში გვიწევს. ვიქონიოთ იმედი, რომ ყველაფერი წესისამებრ წარიმართება. ახალ პრეზიდენტს დიდი გეგმები აქვს და ვინ იცის, ქართული ფეხბურთის ხელახალი აღორძინებაც ახლა დაიწყოს.

**— სანამ აღორძინებულ ქართულ ფეხბურთს ვიხილავთ, წლებია საჭირო. წლების მერე რა იქნება, არც ეს ვიცით. მოდით, თვალი იმას გადავალოთ, რაც გვქონდა. ძველი დრო, თქვენი კარიერა გავიხსენოთ, ბატონო სერგო.**

— ჩემზე იმას ვიტყვი, რომ 14-15 წლამდე არც მიფიქრია მეკარეობაზე. მანამდე ვთამაშობდი ეზოს ფეხბურთს და დავდიოდი სტადიონზე. ვოვა მარღანიას ნახვამ აღმიძრა მეკარეობის სურვილი. ფეხბურთის გარდა ბავშვობაში სხვა სპორტითაც ვიყავი გატაცებული — ვთამაშობდი ფრენბურთს, კალათბურთს და ესეც მომეხმარა შემდგომში. მომეწონა მარღანია და მაშინ გადავწყვიტე, მეკარე გავმხდარიყავი. ორჯონიკიძის 66-ში ახლაც არის კედელზე მიხატული კუპრით საფეხბურთო კარები. ეზოს ფეხბურთის მერე იყო 35-ე საფეხბურთო სკოლა, რომელშიც დავდიოდით ეზოს ბიჭები სათამაშოდ. ერთხელაც ალექსანდრე დოროხოვმა მომაქცია ყურადღება და, შეიძლება ითქვას, აქედან დაიწყო ჩემი კარიერა.

1954 წელს მოვხვდი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში. ზონალურ ტურნირში, რომელიც შუა აზიაში ჩატარდა, გავიმარჯვეთ, მერე კი მოსკოვში საკავშირო ტურნირის ფინალში მეორე ადგილი დავიკავეთ. „დინამოში“ 1955 წელს ამიყვანეს. იქ უკვე თამაშობდა ჩემი ძმა — ალექსანდრე კოტრიკაძე და მან არც კი იცოდა, რომ ანდრო ჟორდანიამ გუნდში მიმიწვია. ისე, საინტერესო შემთხვევა კი იყო: „დინამოს“ სათადარიგო სტადიონზე „ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმრთველოს“ გუნდი და „რაისოვეტ 11“ თამაშობდნენ. ამ უკანასკნელთ მეკარე არ ჰყავდათ და მთხოვეს, კარში ჩავმდგარიყავი. მაშინ მოვეწონე ანდრო ჟორდანიასაც. ეს რომ ჩემმა ძმამ გაიგო, არც კი დამიჯერა — ჯერ პატარა ხარ, რა დროს შენი „დინამოაო“. ორი წელი დუბლში გამოვდიოდი, 1957 წელს კი, როცა მარღანია დაიმტვრა, მისივე ინიციატივით პირველ მეკარედ გამამწესეს. ჩემი დებიუტი მოსკოვის „დინამოსთან“ შედგა, თუმცა ის მატჩიც და მომდევნოც ცსკა-სთან წავაგეთ, მაგრამ ჩემით ყველა კმაყოფილი დარჩა და გაიოზ ჯეჯელავამაც ეს მითხრა — აწი ჩვენ მეკარეებს ძებნას აღარ დავუწყებთო.

**— ბატონო სერგო, 60-იანი წლების „დინამო“ მუდამ პრიზიორებში ტრიალებდა, ფეხბურთელებიც მუდამ საუკეთესოთა შორის ხვდებოდნენ, აი, ნაკრების მწვრთნელები კი არ გწყალობდნენ...**

— მართალი ხართ, ნაკრებში მეორე ნომრობას ვერ გავცილდი, მოგეხსენებათ, ჩემს დროს რა დიდებული მეკარეები გამოდიოდნენ. ეტყობა, ბევრი რამ პირადად მწვრთნელთა სიმპათიაზეც იყო დამოკიდებული. მაგალითად, 1962 წელს „33 საუკეთესოთა“ შორის მესამე ნომერი ვიყავი, არადა, იმავე წელს საუკეთესო მეკარედ მაღიარეს. დანარჩენი თვითონ განსაჯეთ.

**— მოდით, მაშინდელი და ახლანდელი ფეხბურთი შევადაროთ. როგორ თვლით, რა და როგორ შეიცვალა ფეხბურთში ამ 25-30 წლის მანძილზე?**

— თანამედროვე ფეხბურთი უაღრესად დინამიური და ზესწრაფია. გაიზარდა ოსტატობის დონე, ტაქტიკურადაც სრულყოფილი გახდა — ეს უცხოეთში. ჩვენი ფეხბურთი კი პირიქით, ვგონებ, ჩამორჩა კიდეც. არ მეგულება დღევანდელ საქართველოში მიშა მესხზე სწრაფი და მურთაზ ხურცილავაზე გამჭრიახი ფეხბურთელი. მონაცემები კი აქვთ ჩვენს ფეხბურთელებს, მაგრამ ამაზე იყინებიან, ვე[...] იზრდებიან. კონკურენტები არ ჰყავთ [...] იმიტომ.

იგივეს ვიტყვი ჩემი ამპლუის ხალხზე[...] არიან, როგორ არ არიან, ჩვენში ნიჭიერ[...] მეკარეები. ტოგონიძე, გვარამაძე, ლომაი[...] ჭურაძე — ესენი ყველანი შეძლებენ ოს[...] ტატებად ჩამოყალიბდნენ, მაგრამ მეტოქ[...] ები არა ჰყავთ — თავდამსხმელებს ვგუ[...] ლისხმობ. მაღალი კლასის მეკარე მაღა[...] ლი დონის თავდამსხმელთან ჭიდილში [...] და დაიბადოს. აბა, რას უნდა მიაღწი[...] ვთქვათ, „კოშკამ“, როცა ოთხმოცდაათ[...] წუთის მანძილზე ერთი დარტყმულიც [...] არ მისდის. ამშია უბედურება. ჩვენს დრო[...] სულ სხვა იყო — იყვნენ მესხი, ბარქა[...] იამანიძე, მეტრეველი და შესაბამისად იუ[...] კავაზაშვილი, ურუშაძე. ეს მეკარეები [...] ბისმიერ ნაკრებს დაამშვენებდნენ.

**— ბატონო სერგო, მოდით, [...] რთული სიმბოლური ნაკრების თ[...] ვენეული ვარიანტიც გვითხარი[...]**

— მიჭირს ამორჩევა, მაგრამ ფუნქცი[...] ბის მიხედვით შევეცდები, ჩამგითვალო[...] ვინ მიმაჩნია საუკეთესოდ: მეკარე მარღ[...] ნია, მცველი ხურცილავა, ნახევარმცვე[...] ყიფიანი, თავდამსხმელები პაიჭაძე და მ[...] სხი...

**— თანამედროვე ქართველი ფე[...] ხბურთელებიდან ვის გამოყოფდი[...]**

— ამას ნორვეგიასთან თამაშის მე[...] გეტყვით. მათი ბიჭობა იქ გამოჩნდება.

კონსტანტინე გოგიშვილი

# ფუი, ასეთ ყოფას!

მერამდენედ, მერამდენედ უნდა ვთქვათ, ცუდად, ცუდადაა ქუთაისის „ტორპედოს“ საქმე. გუნდის ერთი, ვერ გაიგებ ყოფილი თუ უარყოფილი მეპატრონე (იგულისხმეთ ბესიკ ჯიქია) სადღაც უკრაინაში გადაკარგულა, მეორე (იგულისხმეთ ქუთაისის მერია) ადგილზეა, მაგრამ რად გინდა — უმწეოდ გატრუნულა. კლუბის ახალ სპონსორზე ლაპარაკობენ ბევრს, არც ის ჩანს, და ჰა, დაიმშა, სულს ღაფავს, ბევრს რომ ეგონა, კარგი მომავლის მქონე „ტორპედო“.

გუშინ ტორპედოელებმა მორიგი დემარში მოაწყვეს — სავარჯიშოდ არ გავიდნენ. თუ არავის ვენაღვლებით, არც ჩვენ ვნაღვლობთ არავისო. ვიდრე კუთვნილ პრემიებს და საკონტრაქტო თანხებს არ მივიღებთ, ნუ შეგვაწუხებთო.

მეორე ვარიანტიც წარმოიშვა: ჩემპიონატის პირველ წრეში დარჩენილ სამ და ორ სათასო თამაშზე გავალთ, ოღონდ, კლუბმა მანამდე დაგვიდასტუროს თავისი მხრიდან კონტრაქტების დარღვევა და მომავალში შესაძლო ტრანსფერი არ შეგვიფერხოსო.

ეს იყო გუშინ, მას შემდეგ, რაც ფეხბურთელები ერთხელაც მოატყუეს — დაპირებული ფული არ დაურიგეს. იქნებ დღეს გამოჩნდეს ფული, ან ხვალ...

იუზა ძაძიტაძე

# ისინი წავლე[...]

გადაწყვეტილი ჯერ არ გახლავთ, მ[...] გრამ, როგორც შევიტყვეთ, საქართველ[...] ჩემპიონატში თამაშზე უარის მთქმე[...] თბილისის დინამოელები ლევან ცქიტი[...] ვილი და გიორგი კიკნაძე კარიერას, ა[...] ბათ, შესაბამისად ვლადიკავკაზის „ა[...] ნიაში“ და ბელგიურ „მეხელენში“ გააგ[...] ძელებენ. ყველაფერი უახლოეს მომავალ[...] გაირკვევა. გაზაევსაც და ყიფიანსაც დ[...] დი სურვილი ჰქონიათ „დინამოს“ წამყ[...] ფეხბურთელები თავიანთ გუნდებში ი[...] ლონ, ბოლო სიტყვა საქართველოს ჩ[...] პიონზეა, რომლის პრეზიდენტის საკით[...] ისევ გაურკვეველია.

საბურთალოზე, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მეექვსე კვარტალში, კორპუსებს შორის ერთი წიდის საფარიანი სტადიონია, „მარაკანას“ უწოდებენ, 35-ე საფეხბურთო სკოლის მოსწავლეები ვარჯიშობენ-ხოლმე.

ჰოდა, დაახლოებით 17-18 წლის წინ ამ მოედანზე ერთი პატარა, შავტუხა ბიჭუნა დარბოდა, დახვეწილი ტექნიკით, სისწრაფით, მონდომებით თანატოლთაგან გამორჩეული. გაოფლიანდებოდა, ქურთუკს მოისხამდა, ქუდს მოირგებდა, ბადურაში ბურთს ჩააგდებდა და მხიარულად, ღიმილიანი, დაღლილი სახით შინისკენ გაეშურებოდა, არცთუ შორს, ორიოდ კილომეტრში.

ანდრო, ანდრო, გამოდი ფეხბურთი ვათამაშოთ — ეძახდნენ უბნელი ბიჭუნები და დიდხანს ლოდინიც არ სჭირდებოდათ. იგი კიბის საფეხურებს სწრაფად ჩამოირბენდა, ძმაბიჭებს ხელს გადახვევდა და „მარაკანას“ მიაშურებდა. ავდარი, მზიანი ამინდი სულ ერთი გახლდათ. ისეთი მოქნილი ცაცია ჰქონდა, ბურთთან ლამის ყოველი შეხება გოლით მთავრდებოდა. მაშინ ლიმონათებზე თამაშობდნენ. ათიდან ცხრა შემთხვევაში გამარჯვებული ამ ბიჭის გუნდი რჩებოდა.

თუ ბავშვურად წაიჩხუბებდნენ, მიზეზიც ეგ იყო — ანდრო ჩვენკენ უნდა იყოს, ახლა ჩვენი ჯერიაო. მერე ოცკაპიკიანს ააგდებდნენ — „არიოლი“ იმარჯვებდა.

ხანი გავიდა. ეს ტანმორჩილი ბიჭი სადღაც დაიკარგა, აღარ ჩანდა. თურმე მშობლებს ფეხბურთზე მიუყვანიათ. ქუჩის ფეხბურთის დრო დამთავრდა. იგი უკვე გუნდში იყო — მწვრთნელი რევაზ გაგუა, გუნდი — „ნორჩი დინამოელი“. იქაც გამოირჩეოდა. თვალის ერთი შევლებით ამბობდნენ, ეს ბავშვი დიდ ფეხბურთს ითამაშებსო. ასეთი გამოთქმა მაშინ მოდაში იყო. ყველა პერსპექტიულ ბიჭუნას დიდ ფეხბურთელობას უწინასწარმეტყველებდნენ. ზოგი ამართლებდა, ზოგიც — ვერა. ეს ბიჭი კი...

ეს ბიჭი დღეს, ალბათ, „ამსტერდამ არენაზე“ ითამაშებს. იგი საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის“ ფეხბურთელია — ჩვენებურად ანდრო კიურჯიევი. ასეთი გვარ-სახელი ჰქონდა იმ ბიჭუნას, რომელიც საბურთალოს „მარაკანაზე“ აგორებდა ბურთს. ამ საღამოს კი იგი თავის თანაგუნდელებს დაეხმარება „აიაქსის“ ძლევაში მსოფლიოს უცნობილეს სტადიონზე. 4-ნომრიან მაისურს მოირგებს და ინფორმატორი გულშემატკივართ ამცნობს — ანდრეას ნინიადისი, „ოლიმპიაკოსის“ ნახევარმცველი...

საბერძნეთი, ათენი, სასტუმრო „კარაველი“. საქართველოს ეროვნული ნაკრები მასპინძლებთან სათამაშოდ ემზადება. მატჩამდე ორი დღეა. ფოიეში ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ქართველი ფეხბურთელები დასეირნობენ. ნემსაძე, ქეცბაია, ქინქლაძე, ჯამარაული — მათ შუაში ჩაუყენებიათ შავგვრემანი ახალგაზრდა, რომელიც გატეხილი ქართულით საუბრობს. აშკარად ნაცნობი ჰაბიტუსი აქვს.

— როგორ ხართ, მომიყევით რამე, რამდენი წელია, ერთმანეთი არ გვინახავს.



ანდრეას ნინიადისი, იგივე ანდრო კიურჯიევი

— შენი ამბები გვითხარი, ანდრო, გახსოვს ბავშვობა, რა დღეში ვიყავით.

კარგა ხნის უნახავი მეგობრები შეხვდნენ ერთმანეთს. ბევრი გაიხსენეს, ბევრი თქვეს, იქვე სავარძლებში ჩასხდნენ და...

არა, მაშინ მისი შეწუხება ძალიან უხერხული იყო. კაცს ქართულად ლაპარაკი მონატრებული ჰქონდა. ანდრეას ნინიადისს, საბურთალოელ ბიჭს ზოგი ქართული სიტყვაც დავიწყებია.

ის პატარა ბიჭი შვიდი წელია, საქართველოში აღარ ყოფილა.

ის პატარა ბიჭი, რომელიც „მარაკანაზე“ ლიმონათებს იგებდა, დღეს „სარბიელს“ ინტერვიუს აძლევს.

# ანდრო, გამოდი, ვითამაშოთ!..

## ასე უხმობდნენ საბურთალოელი თანატოლები ამჟამად საბერძნეთის ნაკრების კანდიდატს ანდრეას ნინიადისს

**— არ მოგენატრა საქართველო?**

— როგორ შეიძლება თბილისში დაბადებულ-გაზრდილი კაცი მშობლიური ქალაქის შვიდი წლის უნახავი იყო და იქაურობა არ გენატრებოდეს. მომენატრა, თანაც როგორ, მაგრამ უამრავი საქმე მაქვს. თავისუფალი დრო ნაკლებად მრჩება, საბერძნეთში საფეხბურთო სეზონი ხომ მთელი წელი გრძელდება — ზაფხულიდან ზაფხულამდე. ახლა მინდა, საქართველოში ჩამოვიდე, ზაფხულში შვებულება მერგება და აუცილებლად ჩამოვალ. ვერ წარმოიდგენ, უქართველებოდ როგორ მიჭირს.

**— ქართულად ლაპარაკი არ დაგვიწყებია.**

— კარგია, აზრს თუ სწორად გადმოვცემ. უკვე შვიდი წელია, ხომ გითხარი, ქართველებთან არ მილაპარკია. მიჭირს, მაგრამ თავს ძალას ვატან, რაც მახსოვს, იმ სიტყვებს ვხმარობ.

**— რეზო გაგუას ხომ ეხმიანებიხოლმე.**

— კი, ჩემი პირველი მწვრთნელია, მისი დავიწყება აბა, როგორ იქნება. თუმცა, ამ ბოლო დროს მასთან შერცხვენილი ვარ, ოთხი-ხუთი თვეა, აღარ დამირეკავს.

**— საბერძნეთში ოჯახით გადასახლდი?**

— მშობლებიც აქ მყავს და დებიც. მთელი ოჯახით წამოვედით. მე ბერძენი ვარ. ადრე ბაბუაჩემი გამოქცეულა საბერძნეთიდან და თბილისში დასახლებულა. გვარი გადაუკეთებია კიურჯიევად. ვაჟა-ფშაველაზე ცხოვრობდა, მეც იქ დავიბადე. ვარჯიში რეზო გაგუასთან დავიწყე, მერე თბილისის „დინამოს“ დუბლებში ამიყვანეს, მოგვიანებით ბათუმის „დინამოში“ გავაგრძელე თამაში. მერე ყოფა გაუკულმართდა და ჩვენც ელადას ვუწიეთ. ძველი გვარი დავიბრუნეთ — ნინიადისები ვართ.

**— საქართველოში დაბრუნებას არ აპირებ?**

— რა ვთქვა, არც კი ვიცი. საბერძნეთში ძალიან კარგად მოვეწყვე და ცოტა ძნელია, აქაურობა დავტოვო. თანაც ვიცი, საქართველოში ისევ ძველებური ცხოვრებაა. შეწუხებული კი ვარ, მაგრამ რა ვქნა.

**— არ დაოჯახებულხარ?**

— ჯერ ცოლის მოყვანაზე არ ვფიქრობ.

**— ახლა ფეხბურთზეც გვითხარი. მესამე სეზონია, არა, რაც „ოლიმპიაკოსში“ თამაშობ?**

— ეგრეა და წელიწადნახევარი კონტრაქტით კიდევ მაქვს სათამაშო. „ოლიმპიაკოსი“ საკმაოდ ნორმალური გუნდია. მიზანი მუდამ ერთი გვაქვს — ჩემპიონობა. თუმცა კონკურენტებიც ძლიერები გვყავს — აეკი, „პანათინაიკოსი“.

**— ბოლო დროს ძირითად შემადგენლობაში აღარ ხარ...**

— ტრავმის ბრალია. მუხლი მაწუხებდა, რამდენიმე თვე ვმკურნალობდი. სულ ახლახანს დავიამე ტკივილი და ნელ-ნელა ფორმაშიც შევდივარ უკვე ძირითადშიც ვთამაშობ. ამ სეზონში მხოლოდ ორჯერ მათამაშეს შემცვლელად, დანარჩენი მატჩები კი თავიდან ბოლომდე მინდორზე ვიყავი.

**— სხვა ქვეყნებიდან მიწვევები არ გაქვს?**

— ბევრი ძლიერი კლუბი მიწვევს ესპანეთიდან და ინგლისიდან, მაგრამ კონტრაქტს ვერ დავარღვევ. წელიწადნახევრის შემდეგ კი სხვაგან გადასვლაზეც შემიძლია ვიფიქრო. მით უმეტს, საბერძნეთში მობურთალნი უკვე საკმაო ავტორიტეტით სარგებლობენ ევროპულ ქვეყნებში.

**— ბერძენთა ნაკრების მწვრთნელად რაც ანგელ იორდანესკუ დანიშნეს, ეროვნული გუნდის კანდიდატთა შორის შენი გვარი აღარ ჩანს...**

— უთამაშებელი ვიყავი, ის ტრავმა ცუდ დროს მივიღე. იორდანესკუც ამიტომ არ მიწვევს. ჩემს პოზიციაზე მწვრთნელი სხვას ათამაშებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ცოტა ხანში ადგილს დავიბრუნებ.

**— მწვრთნელთან არ გისაუბრია?**

— არა, პირადად ერთმანეთს არ შევხვედრივართ, თუმცა ჩემი თანაგუნდელი პურსუნიდისი თამაშობს ნაკრებში და მისგან ვიცი, რომ იორდანესკუს ჩემზე ნორმალური წარმოდგენა აქვს. გაზეთებშიც იწერება, ნინიადისი მიიწვიეთ ეროვნულ გუნდშიო. ალბათ, ივნისში, როცა საქართველო — საბერძნეთი ითამაშებს, თბილისში მეც მიხილავთ, თუ არადა, ტურისტად მაინც ჩამოვალ.

**— ათენში ქართველთა თამაშის მერე როგორი აზრი შეიქმნა?**

— რაღა როგორი, ვერც წარმოვიდგენდით, საქართველოს ნაკრებს ასე იოლად თუ დავამარცხებდით. ეგ კი არა, ვფიქრობდი, ლატვიასთან წაგებული ქართველებლი დაბოღმილები იქნებიან, მოგვიგებენ-მეთქი, მაგრამ ძალიან ცუდად ითამაშეს. ასეთ უსუსურ ფეხბურთს ნამდვილად არ ველოდი. თამაშმდე იორდანესკუც შეშინებული იყო, თანაც უნიკოლაიდისოდ გაგვიჭირდებაო, ყველა ინტერვიუში ერთსა და იმავეს ამბობდა, ჩამოთვლიდა არველაძეს, ქინქლაძეს, ქეცბაიას, ნემსაძეს, სხვებს და ყველა ძლიერ კლუბში თამაშობს, ფრთხილად უნდა ვიყოთო. ათენში ქართველებს რა მოუვიდათ, ვერ გეტყვი, არც მატჩის შემდეგ შევხვედრივარ ჩემს მეგობრებს. არადა, თამაშმდე კარგ ხასიათზე კი იყვნენ.

**— სიტყვამ მოიტანა, „ოლიმპიაკოსი“ და „აიაქსი“ ჩემპიონთა ლიგის ერთ ჯგუფში არიან. არველაძესა და ქინქლაძეს ათენში კიდევ ერთხელ შეხვდებოდი.**

— კი, ვილაპარაკეთ, მაგრამ ნაკრების თამაშზე აღარ გვითქვამს. ათენში „აიაქსს“ 1:0 მოვუგეთ, ახლა ამსტერდამში გამგზავრება მოგვიწევს და ფრეს თუ მივაღწიეთ, ძალიან დიდი შანსი გვექნება, ჯგუფიდან გავიდეთ. მერე „პორტუს“ ვმასპინძლობთ და, მგონი, მათაც ჰოლანდიელთა მსგავსად გავისტუმრებთ. მთავარია, შოთა გავანეიტრალოთ, ათენში მატჩის წინაც ასე [illegible]ვარიგა მწვრთნელმა, „აიაქსს“ ერთი ძლიერი ფორვარდი ჰყავს, ყურადღებით იყავით მის წინააღმდეგო. ქინქლაძეზეც გაამახვილა ყურადღება, ვერ წარმოიდგენ, როგორ მესიამოვნა. სხვათა შორის, მწვრთნელმა ისიც მითხრა, ორივე შენი ძმაკაციაო...

...დაახლოებით 17-18 წლის წინ საბურთალოზე, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მეექვსე კვარტალში, „მარაკანაზე“ ერთი პატარა, შავტუხა ბიჭუნა დარბოდა. დახვეწილი ტექნიკით, სისწრაფით, მონდომებით თანატოლთაგან გამორჩეული. გაოფლიანდებოდა, ქურთუკს მოისხამდა, ქუდს მოირგებდა, ბადურაში ბურთს ჩააგდებდა და მხიარულად, ღიმილიანი, დაღლილი სახით შინისკენ გაეშურებოდა, არცთუ შორს, ორიოდ კილომეტრში.

ეს ბიჭი ახლა ათენში ცხოვრობს. ჩვენებურად — ანდრო კიურჯიევი, ბერძნულად კი...

დღეს „ამსტერდამ არენაზე“ სამი თბილისელის გვარი გამოცხადდება, ამათგან ერთი ბერძენია — ანდრეას ნინიადისი.

ცხოვრებამ იგი თბილისს დააშორა, დღეს კი საბერძნეთის ეროვნული ნაკრების კანდიდატია.

კობა ინასარიძე

## 10 ტური — მეორე ჯგუფი

### დასავლეთი, „ა“ ქვეჯგუფი

29 ოქტომბერი

**საირმე 1:6 რიონი**

1:0 რობაქიძე (6), 1:1 პ. მაღლაკელიძე (53), 1:2 ნაროუშვილი (55), 1:3, 1:4, 1:5 ლომინაშვილი (56, 60, 82), 1:6 კ. დიდავა (88)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

**ჩიხურა 2:3 სამგურალი 2**

0:1 კოპალიანი (3), 0:2 ა. გიორგაძე (17), 1:2 თ. სამხარაძე (39), 1:3 ზ. ქუთათელაძე (56), 2:3 კერესელიძე (60)
გაფრთხილება: იაკობაშვილი, თ. სამხარაძე, შ. დოლიძე (ყველა ჩიხურა), შვანგირაძე (სამგურალი 2)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

30 ოქტომბერი

**მაღაროელი 1:2 ოკეანე**

0:1 გოგავა (5), 1:1 გურული (68), 1:2 ერქვანიძე (82)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

**გაგრა 1:0 ტორპედო 2**

1:0 ტ. მანაგაძე (57)
მსაჯი: ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)

**მარგვეთი 3:1 იბერია 2**

1:0 ქურციკიძე (75), 2:0 მალალურაძე (81), 2:1 მეტენეიშვილი (82), 3:1 კ. კაკაბაძე (89)
გაფრთხილება: გ. მჭედლიშვილი, ა. ჩომახიძე, სანიკიძე (ყველა იბერია 2)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**მეშახტე 3:1 რაჭა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 8 | 7 | 1 | 0 | 24:7 | 22 |
| მეშახტე | 8 | 7 | 0 | 1 | 19:7 | 21 |
| მარგვეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 25:9 | 20 |
| ოკეანე | 9 | 6 | 0 | 3 | 9:9 | 18 |
| სამგურალი 2 | 8 | 5 | 1 | 2 | 16:10 | 16 |
| გაგრა | 8 | 6 | 0 | 2 | 18:8 | 15 |
| რაჭა | 9 | 3 | 0 | 6 | 13:16 | 9 |
| რიონი | 8 | 2 | 1 | 5 | 12:13 | 7 |
| ტორპედო 2 | 9 | 2 | 1 | 6 | 8:16 | 7 |
| ჩიხურა | 8 | 2 | 0 | 6 | 10:23 | 6 |
| საირმე | 8 | 2 | 1 | 5 | 4:14 | 4 |
| მაღაროელი | 8 | 1 | 2 | 5 | 13:21 | 2 |
| იბერია 2 | 9 | 0 | 1 | 8 | 6:24 | 1 |

*„გაგრას“, „საირმეს“ და „მაღაროელს“ დაკლებული აქვთ 3-3 ქულა.*

### დასავლეთი, „ბ“ ქვეჯგუფი

29 ოქტომბერი

**სქური 7:1 ეგრისი**

1:0 კვირკვია (15), 2:0, 3:0 ჯოლოხავა (25, 32), 4:0 ლვინჯილია (50), 5:0 ჯოლოხავა (55), 5:1 ჯღარკავა (69), 6:1 როგავა (73), 7:1 მ. ნაჭყებია (77)
გაფრთხილება:: ჯღარკავა (ეგრისი)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

30 ოქტომბერი

**კოლხეთი 10:2 სალხინო**

1:0 ალანია (9), 2:0 ხურცილავა (11), 3:0 ჭიჭინაძე (15), 4:0 დ. დანელია (23), 5:0 ხურცილავა (33), 6:0 ლევან გვაზავა (37), 7:0 ხურცილავა (41), 8:0 ზაზა აიანადი (61), 8:1 ოდიშარია (71), 9:1 ხურცილავა (75), 10:1 ზურაბ აიანადი (80), 10:2 ფოჩხუა (81)
გაფრთხილება: სიგუა (სალხინო)
მსაჯი: ს. შალამბერიძე (თბილისი)

**მერცხალი 4:0 კოლხეთი 2**

1:0 გ. ტულუში (26), 2:0 თორია (58), 3:0 ზ. დოლიძე (63), 4:0 ჩიგოგიძე (87)
მსაჯი: ა. სამხარაძე (სოხუმი)

**ფაზისი 1:0 შუქურა**

1:0 კრავეიშვილი (71)
გაფრთხილება: ხურციძე, კრავეიშვილი (ორივე ფაზისი), წოწონავა, ჩელებაძე (ორივე შუქურა)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

**ენგური 1:1 სამეგრელო**

1:0 შონია (26), 1:1 ჭეჟია (32)
გაფრთხილება: ბენდელიანი, ბელქანია, კოხია (ყველა სამეგრელო)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ბახმარო 1:1 ოდიში 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 27:5 | 19 |
| სქური | 8 | 6 | 0 | 2 | 22:12 | 18 |
| ენგური | 9 | 5 | 2 | 2 | 17:11 | 17 |
| მერცხალი | 8 | 5 | 1 | 2 | 15:9 | 16 |
| ფაზისი | 8 | 4 | 1 | 3 | 12:8 | 13 |
| ეგრისი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:14 | 12 |
| კოლეჯი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:9 | 11 |
| სამეგრელო | 9 | 3 | 2 | 4 | 14:13 | 11 |
| შუქურა | 8 | 3 | 1 | 4 | 12:15 | 10 |
| ოდიში 2 | 8 | 2 | 4 | 2 | 12:11 | 10 |
| ბახმარო | 9 | 2 | 2 | 5 | 8:20 | 8 |
| სალხინო | 8 | 2 | 0 | 6 | 14:29 | 6 |
| კოლხეთი 2 | 8 | 0 | 1 | 7 | 3:23 | 1 |

### ცენტრი

30 ოქტომბერი

**მესხეთი 1:0 საუ**

1:0 სურმანიშვილი (10)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

**იბერია 0:1 განთიადი**

0:1 ფეიქრიშვილი (90)
გაფრთხილება: ბ. ჭანტურია, ლიპარტელიანი, ხიდაშელი (ყველა იბერია), მურადელი (განთიადი)
გაძევება: ლიპარტელიანი (85, იბერია)
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

**ლოკომოტივი 2 0:1 დინამო 2**

0:1 ვ. გაგუა (67)
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

31 ოქტომბერი

**ცხუმი 12:3 ჟინერი**

1:0 ბოჯგუა (10), 2:0 ოდიშარია (17), 3:0 არეშიძე (27), 4:0 ბოჯგუა (30), 5:0 ს. კაკაბაძე (31), 6:0 ოდიშარია (34), 6:1 სულაბერიძე (44), 7:1 ჭანტურიძე (52), 8:1 შულეშოვი (57), 9:1 საჯაია (63), 10:1 დევდარიანი (67), 10:2 ქეთელაური (69), 11:2 გოგუა (75), 12:2 ნარმანია (77), 12:3 სონღულაშვილი (79)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ივერია 3:1 თორი**

1:0 ყაჩლავაშვილი (42), 2:0 ბაბულაიძე (48), 3:0 ვ. ყიზილაშვილი (61), 3:1 წიქარიშვილი (70)
გაფრთხილება: პ. მელაძე (ივერია), გ. ციცქიშვილი (თორი)
გაძევება: გ. ციცქიშვილი (41, თორი)
მსაჯი: შ. ბერიძე (ასპინძა)

**ცხინვალი 3:0 დილა 2**

**ქარელი 3:0 ვარძია**

*„ვარძია“ არ გამოცხადდა.*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 10 | 9 | 0 | 1 | 30:10 | 27 |
| ქარელი | 10 | 7 | 1 | 2 | 21:8 | 22 |
| ლოკომოტივი 2 | 10 | 7 | 0 | 3 | 23:13 | 21 |
| განთიადი | 10 | 6 | 2 | 2 | 18:13 | 20 |
| ივერია | 10 | 6 | 2 | 2 | 26:10 | 20 |
| ცხინვალი | 10 | 7 | 1 | 2 | 29:9 | 19 |
| ცხუმი | 10 | 4 | 1 | 5 | 21:16 | 13 |
| თორი | 10 | 4 | 1 | 5 | 15:17 | 13 |
| საუ | 10 | 3 | 3 | 4 | 16:16 | 12 |
| მესხეთი | 10 | 3 | 1 | 6 | 16:24 | 10 |
| იბერია | 10 | 3 | 1 | 6 | 16:25 | 10 |
| დილა 2 | 10 | 1 | 2 | 7 | 15:27 | 5 |
| ჟინერი | 10 | 1 | 1 | 8 | 12:48 | 4 |
| ვარძია | 10 | 0 | 2 | 8 | 8:31 | 2 |

*„ცხინვალს“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

### აღმოსავლეთ

29 ოქტომბერი

**მრეტები 0:3 ზოოვეტი**

0:1, 0:2, 0:3 მახარობლიშვილი (13, 47, 83)
გაფრთხილება: მ. ამაშუკელი (მრეტები), ურუშაძე (ზოოვეტი)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**სამგორი 1:2 ღარწყალი**

0:1 ტოკლიკიშვილი (57), 0:2 ელიზბარაშვილი (65), 1:2 გ. გეგეშიძე (70)
მსაჯი: ა. ორდენიძე (ონი)

**ყვარელი 5:0 ალაზანი**

1:0 ლვინიაშვილი (4), 2:0 გ. ლობჟანიძე (23), 3:0 შ. მიქაბერიძე (27), 4:0, 5:0 ლვინიაშვილი (49, 52)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

30 ოქტომბერი

**კახეთი 2:0 ქანაგკო**

1:0 ჯუგაშვილი (41), 2:0 ნუსხელიძე (86)
მსაჯი: მ. ელიკაშვილი (თბილისი)

**აკადემია 3:0 ხალიბი**

**არსენალი 2 1:0 ალგეთი**

1 ნოემბერი

**უნივერსიტეტი იბერია 0:0 დინამო 3**

გაფრთხილება: ხორავა (უნივერსიტეტი იბერია), ჩივაძე (დინამო 3)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 9 | 8 | 0 | 1 | 22:5 | 24 |
| ღარწყალი | 9 | 7 | 2 | 0 | 23:8 | 23 |
| ყვარელი | 8 | 6 | 2 | 0 | 18:4 | 20 |
| არსენალი 2 | 9 | 6 | 2 | 1 | 18:7 | 20 |
| ზოოვეტი | 9 | 5 | 1 | 3 | 23:14 | 16 |
| ხალიბი | 8 | 5 | 0 | 3 | 15:11 | 15 |
| ალგეთი | 10 | 5 | 0 | 5 | 16:15 | 15 |
| კახეთი | 10 | 4 | 3 | 3 | 16:14 | 15 |
| დინამო 3 | 9 | 4 | 1 | 4 | 9:14 | 13 |
| ჭაბუკიანი | 9 | 4 | 1 | 4 | 17:14 | 10 |
| უნივერსიტეტი იბერია | 9 | 2 | 3 | 4 | 10:13 | 9 |
| სამგორი | 9 | 1 | 1 | 7 | 8:18 | 4 |
| მრეტები | 9 | 1 | 1 | 7 | 8:22 | 4 |
| ალაზანი | 10 | 1 | 0 | 9 | 10:32 | 3 |
| ქანაგკო | 9 | 0 | 1 | 8 | 5:27 | 1 |

*„ჭაბუკიანს“ დაკლებული აქვს 3 ქულა.*

# ტელეომი



ადრიანო გალიანი

— ჯერ არ გადაწყვეტილა, როგორ მოვიქცევით. უახლოეს დღეებში კლუბების წარმომადგენლებს შევხვდებით, წინადადების სასიკეთო მხარეებზე ვიმსჯელებთ და საბოლოო ნაბიჯს მხოლოდ ამის შემდეგ გადავდგამთ. ჯერ არ არის ცნობილი, დავთანხმდებით თუ არა „ტელეკომ იტალიის" წინადადებას. არ გამოვრიცხავ, რომ ისინი უარით გავისტუმროთ — განაცხადა იტალიის საფეხბურთო ლიგის თავმჯდომარემ ფრანკო კარარომ. რაც შეეხება საერთაშორისო კომპანია „ტელეკომ იტალიას" წინადადებას, პროექტი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ორგანიზაცია სერია A-სა და სერია B-ს 38 კლუბს 500 მილიონ დოლარს უხდის ხუთი წლი მათი მატჩების ტელეტრანსლაციების ექსკლუზიური უფლების ხელში ჩასაგდებად.

მატჩების ტრანსლირების უფლებების გაყიდვა კლუბებისთვის შემოსავლის წყაროდ იქცა. გუნდებსაც სხვადასხვა მძლავრი ტელეკომპანიებისგან უამრავი წინადადება მისდით, მათ უმრავლესობაში აურაცხელ თანხებზეა საუბარი, ერთი ეგაა, ტელეკომპანიები გრძელვადიან კონტრაქტებზე არიან ყაბულს, კლუბებს კი ამგვარი გარიგება არ აწყობთ.

დღესდღეობით ასეა — იტალიის სერია A-ს და სერია B-ს 38 კლუბის შეხვედრების ტელეტრანსლირების უფლება ფრანგული „კანალ +"-ის იტალიურ წარმომადგენელ „ტელეპიუს" აქვს, თუმცა ბოლო ინფორმაციებს თუ გავითვალისწინებთ, არაა გამორიცხული, კლუბებსა და „ტელეპიუს" შორის დადებული ხელშეკრულება ჩაიშალოს. ამ შემთხვევაში გაუქმდება ძველი კონტრაქტები, თუმცა, „ტელეპიუს" წარმომადგენლის თქმით, კომპანიამ ახლახანს მეტად სარფიანი კონტრაქტები დადო იტალიურ ფეხბურთის ლიდერებთან — „იუვენტუსთან", „ინტერთან", „მილანთან". ასევე სერია A-ს გუნდებთან — „ემპოლისთან", „ბოლონიასთან" და „კალიარისთან". „ტელეპიუს" არც ქვედა ლიგა დავიწყებია და სერია B-ს „ნაპოლის" მატჩების ტრანსლირების ექსკლუზიური უფლება მოიპოვა. ზემოხსენებულ კლუბებთან გაფორმებული კონტრაქტების ხანგრძლივობა ექვსი წელია, 1999 წლიდან 2005 წლამდე.

„ტელეპიუმ", თამამად შეიძლება ითქვას, კონკურენტ ტელეკომპანიებს აჯობა, თუმცა მეტოქენი მაინც არ ნებდებიან. მედიის მაგნატ რუპერტ მერდოქის ერთ-ერთი კომპანია „ნიუს ინტერნეიშენალი", ისევე როგორც „რივალ სტრიმი" და ფრანგული „TFl" მუხლჩაუხრელად შრომობენ, რათა ერთობ შემოსავლიანი კონტრაქტი ხელიდან არ გაუშვან. სხვათა შორის, „რივალ სტრიმმა" უკვე მოასწრო და დედაქალაქის „ლაციოსთან" ჯერჯერობით იდუმალებით მოცული ხელშეკრულება გააფორმა. კომპანიას „რომას" მატჩების ტელეტრანსლირების უფლების შესყიდვაც სურდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. „რომას" „რივალ სტრიმთან" კონტრაქტი არ დაუდია. მეტიც, ჩვენს გუნდს ზემოხსენებულ კომპანიასთან არაფერი აკავშირებს" — განაცხადა „რომას" პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ პრესკონფერენციაზე.

— ჩვენ ავწონ-დავწონეთ სიტუაცია და იმ კომპანიასთან გავაფორმეთ კონტრაქტი, რომლის წინადადებაც ყველაზე მისაღები გვეჩვენა. გუნდისთვის ასე აჯობებს. მართალია, „ტელეპიუს" გარდა უამრავი წინადადება იყო და სხვათა შორის, საკმაოდ კარგი პროექტებიც, მაგრამ როგორც საჭიროდ ჩავთვალეთ, ისე ვიმოქმედეთ — განუცხადა ჟურნალისტებს „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

ბრძოლა გრძელდება. იმ კლუბების გარდა, რომლებმაც უკვე გააფორმეს ამა თუ იმ ტელეკომპანიასთან კონტრაქტები, კიდევ 20-მდე გუნდია დარჩენილი, რომელთაც ეს მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჯერ არ გადაუდგამთ. მაგალითისთვის იგივე „პარმა", „რომა", „ფიორენტინა" და „უდინეზე" გამოდგებიან. მათი შეხვედრების ტრანსლირების ექსკლუზიური უფლება ფრანგული „კანალ +"-ის იტალიურ წარმომადგენლობას აქვთ შეძენილი, თუმცა ეს კონტრაქტი მომავალ წელს, 30 ივნისს იწურება. ჯერჯერობით ხელმოცარული ტელეკომპანიებიც მთელი ძალით, ალბათ, სწორედ მაშინ ამოქმედდებიან.

ირაკლი ილაშვილი

# ჟინოლას ნაკრებში აბრუნებენ

დავიდ ჟინოლას საფრანგეთის ნაკრებს მიღმა ყოფნას ბოლო მოეღო. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მსოფლიოს ჩემპიონთა ახალმა თავკაცმა როჟე ლემერმა ინგლისურ გაზეთ „ივნინგ სტანდარდის" ჟურნალისტს განუცხადა, ჟინოლას ნაკრებში დავაბრუნებო.

— დავიდი დიდი, შემქმნელი ფეხბურთელია. მას ხელოვნებამდე აჰყავს სპორტის ეს სახეობა და გუნდის წარმატებული თამაშის ერთ-ერთი საწინდარია. ღრმად ვარ დარწმუნებული, მას დღევანდელთან შედარებით მეტის გაკეთება შეუძლია, ამისთვის კი თვითონ უნდა მოინდომოს და მოუმატოს. მჯერა, ასეც იქნება — აღნიშნა ფრანგთა დამრიგებელმა.

ამჟამად „ტოტენჰემ ჰოთსფურში" მოთამაშე ნახევარმცველს ეროვნულ გუნდში 1994 წლიდან არ უთამაშია, მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ფრანგები შინ, ემილ კოსტადინოვის მიერ ბოლო წამებზე გატანილი გოლის მერე ამერიკის შეერთებული შტატების საგზურს გამოეთხოვნენ. არადა, მაშინ მასპინძლებს ფრეც აძლევდათ ხელს, ანგარიში 1:1-იც იყო, მაგრამ ფრანგებმა იგი ვერ შეინარჩუნეს.

ეგ იყო და ეგ ჟაკემ ჟინოლა გუნდის მეორე ლიდერ ერიკ კანტონასთან ერთად ნაკრებიდან მოკვეთა, ჩემს ტაქტიკურ მონახაზს ვერ ერგებიანო. წარმოუდგენელია, ასეთი მაღალი კლასის შემსრულებლები მწვრთნელის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდნენ, მაგრამ ჟაკემ თავისი გადაწყვეტილების მართებულობა თავად დაამტკიცა და საფრანგეთი მსოფლიოს უძლიერესი გუნდი გახადა. ჟინოლას და კანტონას რომ ივნის-ივლისში მშობლიურ სტადიონებზე ებურთავათ, იქნებ ეს გამარჯვება გაცილებით ლამაზიც ყოფილიყო, მაგრამ ჟაკემ, ეტყობა, იცოდა თავისი საქმე და სილამაზისთვის მსხვერპლი არ გაიღო, მშვიდად გააკეთა გასაკეთებელი, რაც არავითარ შემთხვევაში არ აკნინებს მის სამწვრთნელო გენიალობას.

კაცია და გუნებაო — ბრძენ კაცს უთქვამს. ჟაკე წავიდა. წავიდა დიდი ტრიუმფით და ლემერს მართლაც დიდებული გუნდი დაუტოვა. გუნდი — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ლემერმა, მართალია, თავიდან წაიფორხილა, როცა სტუმრად არასაფეხბურთო ქვეყნის შვილებს — ისლანდიელებს ვერაფერი დააკლო, მაგრამ შემდეგ, განსაკუთრებით რუსებთან, მოსკოვში, დაამტკიცა, რომ ფეხბურთის ასავალ-დასავალი მანაც კარგად იცის. თუმცა სიტყვა ძალიან გაგვიგრძელდა, დროა, ისევ ლემერს მოვუსმინოთ, რომელმაც ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბარი ჟინოლას ქება-დიდებით დაასრულა.

— ჟინოლა სულ პატარა მახსოვს, მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი იყო, მაგრამ ეტყობოდა, რომ სულ მალე მისი ნიჭი და გამომგონებლობა მთელ მსოფლიოს აალაპარაკებდა. ასეც მოხდა, დავიდი ნამდვილ ვარსკვლავად იქცა, ფეხბურთელად, რომელსაც ყოველი დონის კლუბისა თუ ნაკრების ლიდერობა შეუძლია. მისი, როგორც ფეხბურთელის, ყველაზე დიდი თვისება ამოუწურავი ფანტაზია და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებაა. ეს კი მხოლოდ ვარსკვლავებს ძალუძთ!

დავით ქოჩზირიძე



ნაკრებში დაბრუნებულმა დავიდ ჟინოლამ ლამაზმანებში გასეირნებისთვისაც გამონახა დრო

## ინგლისი

XI ტური

**ტოტენჰემი 2:2 ჩარლტონი**

0:1 პანტი (35), 1:1 ნილსენი (50), 2:1 არმსტრონგი (57), 2:2 პანტი (75)

ტოტენჰემი: ბაარდსენი, კარი, კალდერვუდი, ნილსენი, ფოქსი (ალენი 89), ანდერტონი, არმსტრონგი, ედინბურგი, სქაილზი, სინტონი (კლემენსი 89), კემპბელი

ჩარლტონი: ილიჩი, მაილსი, პაუელი, რედფერნი (ბრაუნი 82), რაფუსი (რობინსონი 41), იადსი, კინსელა, პანტი, მენდონკა, მორტიმერი (ს. ჯონსი 61), ტაილერი

გაფრთხილება: კალდერვუდი, ედინბურგი, ტაილერი, მორტიმერი, კინსელა

მსაჯი: რიდი

## პორტუგალია

IX ტური

**სეტუბალი 1:3 ბოავიშტა**

0:1 დუალა (4), 1:1 პაულუ ფილიპე (20), 1:2 ჟორჟე კოუტუ (2), 1:3 მარსელინო სილვა (56)

**ამადორა 2:1 ფარენსე**

1:0 აზიზი (60), 1:1 ჰასან ნადერი (72), 2:1 აზიზი (87)

**აკადემიკა 1:1 გიმარაეში**

1:0 მონტეირო (10), 1:1 ევანდრო (69)

**შავეში 1:1 ალვერკა**

0:1 ფილიპე ასევედო (10), 1:1 რამოს ფილიპე (44)

**კამპომაიორენსე 2:0 ბრაგა**

1:0 რენე (69), 2:0 მონტანინი (78)

**პორტუ 4:1 სალგეირუში**

0:1 ჩელსო სილვა (43), 1:1 ჟარდელი (45), 2:1 დრულოვიჩი (50პ), 3:1 ჟარდელი (55), 4:1 სოუზა (89)

**რიუ ავე 1:1 ბეირა მარი**

0:1 სიმიჩი (15), 1:1 მელო (45)

**სპორტინგი 2:0 მარიტიმუ**

1:0 ვალენტე (53), 2:0 იორდანოვი (56)

**ბენფიკა 0:0 უნიაუ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 9 | 6 | 3 | 0 | 17:5 | 21 |
| ბოავიშტა | 9 | 6 | 3 | 0 | 12:3 | 21 |
| პორტუ | 9 | 6 | 1 | 2 | 21:8 | 19 |
| უნიაუ | 9 | 5 | 3 | 1 | 12:5 | 18 |
| ბენფიკა | 9 | 5 | 2 | 2 | 15:6 | 17 |
| ამადორა | 9 | 5 | 1 | 3 | 12:11 | 16 |
| შავეში | 9 | 3 | 3 | 3 | 12:14 | 12 |
| სალგეირუში | 9 | 2 | 5 | 2 | 13:13 | 11 |
| კამპომაიორენსე | 9 | 2 | 3 | 4 | 11:14 | 9 |
| რიუ ავე | 9 | 2 | 3 | 4 | 8:13 | 9 |
| ბრაგა | 9 | 2 | 3 | 4 | 9:15 | 9 |
| აკადემიკა | 9 | 2 | 3 | 4 | 11:18 | 9 |
| სეტუბალი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:14 | 9 |
| ალვერკა | 9 | 1 | 6 | 2 | 8:12 | 9 |
| გიმარაეში | 9 | 2 | 2 | 5 | 14:13 | 8 |
| ფარენსე | 9 | 2 | 1 | 6 | 9:17 | 7 |
| ბეირა მარი | 9 | 1 | 4 | 4 | 5:11 | 7 |
| მარიტიმუ | 9 | 1 | 3 | 5 | 9:13 | 6 |

## შვედეთი

25-ე ტური: ფროლუნდა — გიოტებორგი 0:3; ესტერი — ჰალმშტადი 1:1; ჰამარბიუ — მალმიო 1:3; ჰელსინგბორგი — ელფსბორგი 2:0; ორგრიტე — ჰაკენი 2:1; ტრელებორგი — აიკი 0:0; ნორჩეპინგი — ერებრუ 4:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰელსინგბორგი | 25 | 12 | 8 | 5 | 42:26 | 44 |
| აიკი | 25 | 10 | 13 | 2 | 24:15 | 43 |
| ჰამარბიუ | 25 | 10 | 9 | 6 | 38:34 | 39 |
| ჰალმშტადი | 25 | 11 | 5 | 9 | 39:40 | 38 |
| ფროლუნდა | 25 | 10 | 7 | 8 | 29:31 | 37 |
| ერებრუ | 25 | 10 | 6 | 9 | 35:37 | 36 |
| ნორჩეპინგი | 25 | 9 | 7 | 9 | 42:34 | 34 |
| გიოტებორგი | 25 | 9 | 7 | 9 | 26:28 | 34 |
| მალმიო | 25 | 9 | 5 | 11 | 35:30 | 32 |
| ელფსბორგი | 25 | 8 | 8 | 9 | 35:32 | 32 |
| ტრელებორგი | 25 | 8 | 8 | 9 | 31:32 | 32 |
| ორგრიტე | 25 | 7 | 7 | 11 | 35:35 | 28 |
| ჰაკენი | 25 | 6 | 6 | 13 | 25:45 | 24 |
| ესტერი | 25 | 5 | 6 | 14 | 25:42 | 21 |

## სლოვენია

მე-12 ტური: ბელტინჩი — ველენიე 0:2, დომზალე — ნოვა გორიცა 1:1; აიდოვშინა — ოლიმპია 3:0; ტრიგლავი — მარიბორი 2:2; კოროტანი — მურა 1:1; ცელიე — კოპერი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 12 | 9 | 2 | 1 | 30:10 | 29 |
| ნოვა გორიცა | 12 | 8 | 2 | 2 | 25:11 | 26 |
| მურა | 12 | 5 | 4 | 3 | 21:14 | 19 |
| ოლიმპია | 12 | 5 | 2 | 5 | 19:21 | 17 |
| ბელტინჩი | 12 | 5 | 1 | 6 | 16:20 | 16 |
| აიდოვშინა | 12 | 4 | 3 | 5 | 12:12 | 15 |
| ველენიე | 12 | 4 | 3 | 5 | 13:14 | 15 |
| ცელიე | 12 | 3 | 5 | 4 | 11:14 | 14 |
| დომზალე | 12 | 3 | 4 | 5 | 11:17 | 13 |
| კოროტანი | 12 | 3 | 4 | 5 | 13:20 | 13 |
| კოპერი | 12 | 3 | 2 | 7 | 13:24 | 11 |
| ტრიგლავი | 12 | 1 | 6 | 5 | 10:17 | 9 |

## ნორვეგია

თასის ფინალი

**სტაბეკი 3:1 (დ.დ.) რუსენბორგი**

1:0 სიგურდსონი (5), 1:1 რუშფელდტი (65პ), 2:1 სიგურდსონი (106), 3:1 ფინსტადი (110)

## თურქეთი

მე-10 ტური: სამსუნი — ტრაბზონი 2:1; ისტანბული — გაზიანთეფი 0:0; ქარაბუქი — გალათასარაი 0:3; ფენერბაჰჩე — ანკარაგიუჯიუ 2:1; გენჩლერბირლიგი — ბეშიქთაში 0:1; ერზურუმი — ანთალია 0:1; ადანა — საქარია 2:1; ქოჯაელი — ალთაი 2:1; ბურსა — დარდანელი 2:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 10 | 7 | 3 | 0 | 22:10 | 24 |
| გალათასარაი | 10 | 7 | 2 | 1 | 30:10 | 23 |
| ფენერბაჰჩე | 10 | 6 | 2 | 2 | 25:10 | 20 |
| ქოჯაელი | 10 | 6 | 2 | 2 | 14:11 | 20 |
| ტრაბზონი | 10 | 5 | 3 | 2 | 15:8 | 18 |
| გენჩლერბირ. | 10 | 6 | 0 | 4 | 18:14 | 18 |
| ისტანბული | 10 | 5 | 2 | 3 | 16:13 | 17 |
| ანთალია | 10 | 4 | 3 | 3 | 13:11 | 15 |
| გაზიანთეფი | 10 | 4 | 3 | 3 | 10:9 | 15 |
| ბურსა | 10 | 4 | 2 | 4 | 15:18 | 14 |
| ანკარაგიუჯიუ | 10 | 4 | 1 | 5 | 14:15 | 13 |
| ერზურუმი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:22 | 12 |
| ალთაი | 10 | 2 | 2 | 6 | 15:20 | 8 |
| ადანა | 10 | 2 | 2 | 6 | 6:14 | 8 |
| სამსუნი | 10 | 2 | 2 | 6 | 12:22 | 8 |
| ქარაბუქი | 10 | 2 | 1 | 7 | 8:19 | 7 |
| საქარია | 10 | 1 | 3 | 6 | 9:19 | 6 |
| დარდანელი | 10 | 0 | 4 | 6 | 2:12 | 4 |

## საბერძნეთი

მე-8 ტური: პანათინაიკოსი — პანიონისი 2:1; აეკი — ეთნიკოსი (ასტირი) 3:1; აპოლონი — პრუდეფტიკი 2:2; ვერია — ოფი 0:0; კავალა — ეთნიკოსი (პირეოსი) 3:0; იონიკოსი — ქსანტი 0:1; პანელეფსინიაკოსი — პანილიაკოსი 1:2; არისი — ირაკლისი 2:1; პაოკ — ოლიმპიაკოსი ჩაიშალა მე-80 წუთზე, როცა ანგარიში 1:2 იყო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 8 | 7 | 0 | 1 | 19:9 | 21 |
| აეკი | 8 | 6 | 2 | 0 | 16:5 | 20 |
| ოლიმპიაკოსი | 7 | 5 | 1 | 1 | 21:6 | 16 |
| ქსანტი | 8 | 5 | 1 | 2 | 10:7 | 16 |
| პანილიაკოსი | 8 | 5 | 0 | 3 | 13:10 | 15 |
| არისი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:9 | 14 |
| იონიკოსი | 8 | 4 | 1 | 3 | 17:11 | 13 |
| პაოკ | 7 | 3 | 2 | 2 | 8:8 | 11 |
| ირაკლისი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:8 | 11 |
| პანიონისი | 8 | 3 | 1 | 4 | 18:14 | 10 |
| ოფი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:10 | 10 |
| კავალა | 8 | 3 | 1 | 4 | 16:21 | 10 |
| პანელეფსინ. | 8 | 1 | 4 | 3 | 5:10 | 7 |
| ასტირი | 8 | 2 | 1 | 5 | 8:16 | 7 |
| პრუდეფტიკი | 8 | 1 | 3 | 4 | 9:15 | 6 |
| აპოლონი | 8 | 1 | 3 | 4 | 11:19 | 6 |
| ვერია | 8 | 0 | 3 | 5 | 1:12 | 3 |
| ეთნიკოსი | 8 | 0 | 2 | 6 | 2:18 | 2 |

## ალბანეთი

მე-8 ტური: პარტიზანი — ტომორი 1:0; ვლაზნია — ტეუტა 3:0; ბესა — შკუმბინი 1:0; ბურელი — დინამო 4:4; ტირანა — შკენდერბიუ 2:0; ელბასანი — ბილიში 1:0; ლუშნია — ლაჩი 3:1; ფლამურტარი — აპოლონია 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუშნია | 8 | 5 | 1 | 2 | 21:10 | 16 |
| ვლაზნია | 8 | 5 | 1 | 2 | 14:7 | 16 |
| დინამო | 8 | 4 | 3 | 1 | 16:12 | 15 |
| ბილიში | 8 | 5 | 0 | 3 | 10:8 | 15 |
| ტირანა | 8 | 4 | 2 | 2 | 9:10 | 14 |
| ელბასანი | 8 | 4 | 1 | 3 | 8:6 | 13 |
| პარტიზანი | 8 | 3 | 4 | 1 | 9:9 | 13 |
| ბესა | 8 | 4 | 0 | 4 | 8:10 | 12 |
| ლაჩი | 8 | 3 | 2 | 3 | 7:8 | 11 |
| ტეუტა | 8 | 3 | 1 | 4 | 8:18 | 10 |
| ტომორი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:5 | 9 |
| შკუმბინი | 8 | 3 | 0 | 5 | 6:10 | 9 |
| ბურელი | 8 | 2 | 1 | 5 | 15:16 | 7 |
| ფლამურტარი | 8 | 1 | 4 | 3 | 7:9 | 7 |
| შკენდერბიუ | 8 | 2 | 0 | 6 | 10:13 | 6 |
| აპოლონია | 8 | 1 | 3 | 4 | 5:10 | 6 |

## უკრაინა

მე-15 ტური: ზირკა — პრიკარპატიე 2:1; დნეპრი — კრივბასი 2:1; ვორსკლა — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 3:0; ნივა — ტავრია 0:0; მეტალისტი — სკა 0:0; კარპატი — მეტალურგი (მარიუპოლი) 3:1; დინამო — ცსკა 2:0; შახტიორი — მეტალურგი (დონეცკი) 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტიორი | 14 | 11 | 0 | 3 | 44:13 | 33 |
| დინამო | 13 | 9 | 3 | 1 | 37:9 | 30 |
| კარპატი | 15 | 8 | 5 | 2 | 24:13 | 29 |
| კრივბასი | 15 | 7 | 6 | 2 | 17:7 | 27 |
| მეტალურგი (მ) | 15 | 6 | 4 | 5 | 18:13 | 22 |
| მეტალურგი (დ) | 15 | 6 | 4 | 5 | 18:20 | 22 |
| ცსკა | 15 | 5 | 7 | 3 | 19:17 | 22 |
| მეტალურგი (ზ) | 14 | 6 | 3 | 5 | 22:23 | 21 |
| მეტალისტი | 14 | 5 | 1 | 8 | 13:24 | 16 |
| დნეპრი | 14 | 5 | 1 | 8 | 13:25 | 16 |
| ტავრია | 15 | 4 | 4 | 7 | 16:20 | 16 |
| ვორსკლა | 15 | 4 | 4 | 7 | 16:22 | 16 |
| ზირკა | 15 | 4 | 4 | 7 | 13:19 | 16 |
| ნივა | 15 | 4 | 4 | 7 | 11:19 | 16 |
| პრიკარპატიე | 15 | 2 | 4 | 9 | 13:33 | 10 |
| სკა | 15 | 2 | 4 | 9 | 10:27 | 10 |

# ჰოდლის ახალი კონტრაქტი



გლენ ჰოდლი

ინგლისის ნაკრების თავკაცმა გლენ ჰოდლმა ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციასთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა, რომელშიც წინა კონტრაქტთან შედარებით ბევრი ცვლილებაა შეტანილი, ძირითადად ფინანსური. კერძოდ, ჰოდლმა ხელფასის 40 პროცენტით გაზრდა მოითხოვა. ამის პასუხად ასოციაციამ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, სადაც ნათქვამია:

— ინგლისის ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელთან ყველა საკითხი შეთანხმებულია. ჩვენ ერთად გადავხედეთ ძველ ხელშეკრულებას და მასში ბევრი რამ ერთად შევცვალეთ. ამიერიდან ჰოდლის ხელფასი 100 ათასი გირვანქით (167.900 დოლარით) გაიზრდება. ამასთანავე ყოველი წარმატების შემთხვევაში იგი და მთლიანად გუნდი პრემიებსაც მიიღებენ.

ამგვარად, ინგლისელთა თავკაცის ანაზღაურება საგრძნობლად გაიზარდა და ახლა წამყვანი პრემიერლიგური კლუბების დამრიგებელთა ხელფასზე ნაკლები როდია. თუმცა ამით ჰოდლმა მეტი პასუხისმგებლობა იკისრა და უბრალოდ, ვალდებულია, ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანოს. ეს საკმაოდ რთული საქმეა, ვინაიდან ერთი შეხედვით სუსტ ქვეჯგუფში მყოფი ინგლისელები შვედეთში სამი, ხოლო შინ, „უემბლიზე", ბულგარელებთან ორი ქულის დაკარგვის შემდეგ მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან. ახლა, ევრო 2000-ის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე, მე-5 ჯგუფის ფავორიტებად შერაცხულ ჰოდლის შეგირდებს სამი თამაშიდან მხოლოდ ოთხი ქულა აქვთ და ეს მაშინ, როდესაც პოლონელებსა და შვედებს ორ-ორი მატჩის მერე ქულათა მაქსიმუმი აქვთ დაგროვილი. ჯგუფის მორიგ შეხვედრას ინგლისის ეროვნული გუნდი 27 მარტს შინ გამართავს პოლონელებთან.

რაც შეეხება თავად ჰოდლს, ფეხბურთის ასოციაციასთან ახალი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ იგი მეტად კმაყოფილი ჩანდა და ინგლისელ ჟურნალისტებსაც დაუზარლად გაესაუბრა.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი წარუმატებლობის მერე ახალი ხელშეკრულება გავაფორმე, რომლის თანახმადაც ნაკრების თავკაცად 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ბოლომდე ვრჩებოდი. დღეს კონტრაქტში გარკვეული ფინანსური ცვლილებები შევიტანეთ, ვადა იგივე დარჩა. ამ ნაბიჯის გადადგმამდე ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ კიდევ ბევრის გაკეთება შემიძლია. ასე რომ, დღეიდან მუშაობას გაორმაგებული ენერგიით შევუდგები და ყველას გარწმუნებთ — ინგლისის ნაკრები კიდევ იტყვის თავის სათქმელს.

# ვერეტენნიკოვს მეორედ დაესხნენ თავს

## ამჯერად მისი პატარა ქალიშვილი დაზარალდა

ვოლგოგრადიდან შემზარავი ცნობა მოვიდა — მაშინ, როდესაც ადგილობრივი „როტორის" ბომბარდირი, რუსეთის ჩემპიონატის ბოლო წლების საუკეთესო მეგოლე ოლეგ ვერეტენნიკოვი საკუთარ სახლთან თავის ორი წლის ქალიშვილ ტანიას ასეირნებდა, მას უცნობი პიროვნება დაესხა თავს და გოგონას სახეში გოგირდმჟავა შეასხა. ფეხბურთელი შეეცადა ბავშვის დაცვას და ხელი ააფარა, მაგრამ მჟავამ მაინც თავისი ქნა და ტანიას სახე, ხოლო მამამისს ხელები და სხეულის სხვა ნაწილებიც დაუწვა. ამჟამად ორი წლის გოგონა საავადმყოფოში იმყოფება და უმძიმეს მდგომარეობაშია, თავად ფეხბურთელი კი შედარებით კარგად არის.

— ექიმები ჯერჯერობით საიმედოს ვერაფერს გვეუბნებიან, სიტუაცია კვლავაც მძიმეა — განუცხადა რუს ჟურნალისტებს ვერეტენნიკოვის მეუღლე ლარისამ.

ვოლგოგრადის პოლიციის წარმომადგენელთა თქმით, დამნაშავე კვლავაც იმალება, მაგრამ მათ იმედი აქვთ, რომ ამოაჩენენ. სამართალდამცავთა ერთ-ერთი ვერსიით, ეს თავდასხმა პირადი შურისძიების მიზნით განახორციელა მავანმა გულშემატკივარმა.

ამ ამბავთან დაკავშირებით დედაქალაქურმა გაზეთმა „მოსკოვსკი კომსომოლეცმა" ვერეტენნიკოვთან დაკავშირებული კიდევ ერთი სკანდალური ფაქტი გაიხსენა — თურმე ექვსი წლის წინ, როდესაც თავდამსხმელმა „ურალმაში" დატოვა, მას მშობლიურ ქალაქ ეკატერინბურგში გააფთრებულ ადამიანთა ჯგუფი დაესხა თავს და რკინის მილებით ორივე ფეხი მოტეხა. მაშინ დამნაშავეთა დაკავება მოხერხდა. მათ განაცხადეს, ეს საქციელი იმიტომ ჩავიდინეთ, ოლეგმა მშობლიურ გუნდს რომ უღალატა და გვინდოდა მისი კარიერა საერთოდ დაგვესრულებინაო.



სარჩიელის არქივიდან

რუსეთის ჩემპიონატის ბომბარდირის პირადი ცხოვრება აეწეწა

პორტუგალიური „ბრაგა" უმწვრთნელოდ დარჩა. გუშინ კლუბის უფროსობამ ამ თანამდებობიდან ვიტორ ოლივეირა დაითხოვა. მიზეზი — ქვეყნის ჩემპიონატსა და საერთაშორისო სარბიელზე ნაჩვენები არადამაკმაყოფილებელი შედეგები. მოგეხსენებათ, თბილისის „დინამოელთა" ძველი ნაცნობი ხუთშაბათს თასების თასის გათამაშების მერვედფინალის საპასუხო მატჩში ზაზა ჯანაშიას მოსკოვის „ლოკომოტივს" უმასპინძლებს, რომელმაც რუსეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა. სავარაუდოდ, „ბრაგას" დამრიგებლის თანამდებობაზე ოლივეირას ლისაბონის „სპორტინგის" ყოფილი თავკაცი კარლოს მანუელი შეცვლის.

**ინგლისურმა „ბლექბერნ როვერსმა" ხელშეკრულება გააფორმა უელსის ნაკრების თავდამსხმელ ნატან ბლეიქთან. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მოლაპარაკებები „ქოვენთრის" ბომბარდირ დიონ დაბლინთან უშედეგოდ დასრულდა. „როდესაც საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ დაბლინს ველარ გადავიბირებდით, სხვა ფეხბურთელთა ძიება დავიწყეთ, ერთ-ერთი ფეხბურთელი, რომელიც ჩვენს ინტერესებში მოექცა, სწორედ ბლეიქი იყო" — აღნიშნა „ბლექბერნის" თავკაცმა როი ჰოჯსონმა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბლეიქმა, რომელიც აქამდე „ბოლტონის" ღირსებას იცავდა, თავის ახალ გუნდთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.**

ესპანური „დეპორტივო ლა კორუნიას" კაპიტნის ფრანსისკო გონსალესისთვის ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში „მალიორკასთან" გამართული შეხვედრა 250-ე გამოდგა „დეპორტივოს" შემადგენლობაში. ლა კორუნიაში დაბადებული ნახევარმცველი, რომელსაც ესპანეთის ნაკრებში 8 მატჩი აქვს გამართული მშობლიურ კლუბში უკვე მეთერთმეტე სეზონია ასპარეზობს.

**იამაიკელი იან გუდისონი, ვინც საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე თავის ეროვნულ გუნდს კაპიტნობდა, გასასინჯად ინგლისის პირველი დივიზიონის ბინადარ „ჰადერსფილდში" იმყოფება. იამაიკელთა ცენტრალური მცველი, რომელსაც ნაკრებში 55-ჯერ უბურთავია, „ჰადერსფილდისა" და „ბლექპულის" სარეზერვო შემადგენლობების შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას.**

უნგრეთის ნაკრების მცველი ვილმოშ სებოკი მზად არის, კარიერა ინგლისის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ბრისტოლ სიტიში" გააგრძელოს. უნგრული ყოველდღიური გაზეთის „ნემზეტი სპორტის" ცნობით, 25 წლის ფეხბურთელი, რომელიც აქამდე ქვეყნის ჩემპიონ „უიპეშტის" ღირსებას იცავდა, ხოლო ნაკრებში 19 მატჩი აქვს გამართული, თავის აგენტთან ერთად ორშაბათს გაემგზავრა ბრისტოლს სამედიცინო შემოწმების გასავლელად და მოლაპარაკებების საწარმოებლად. ამავე გაზეთის თქმით, „უიპეშტის" თავკაცი პეტერ ვერპიდი ინგლისელთა შეთავაზებულ თანხაზე თანახმაა.

**ესპანეთის ჩემპიონისა და თასის მფლობელის „ბარსელონას" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, ნახევარმცველი ლუის ენრიკე მარტინესი დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში ველარ ითამაშებს. ამის მიზეზი მუხლის ტრავმაა, რომელიც მან ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „სოსიედადთან" 4:1 მოგებულ მატჩში მიიღო. შედეგად გამოცდილი ლუის ენრიკე ვერც დღეს ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის მორიგ შეხვედრაში მიუნხენის „ბაიერნთან" და სავარაუდოდ, პრიმერა დივიზიონის სამ მატჩშიც ვერ დაეხმარება კატალონიელებს — „ოვიედოსთან", „ტენერიფესთან" და „მალიორკასთან".**

რუსეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი ბორის იგნატიევი, ვინც ამ თანამდებობის დატოვების შემდეგ ქვეყნის მეორე ლიგაში მოასპარეზე დედაქალაქურ „ტორპედო-ზილს" წვრთნიდა ორი თვის მანძილზე, უთავკაცოდ დარჩენილი იაროსლავლის „შინიკის" მთავარ მწვრთნელად დანიშვნის ყველაზე რეალური კანდიდატია, ირწმუნება რუსული პრესა. შეგახსენებთ, რომ „შინიკი" მას შემდეგ დარჩა დამრიგებლის გარეშე, რაც მისმა აწ უკვე ყოფილმა თავკაცმა დავით ყიფიანმა ბელგიას მიაშურა და იქაურ „მეჰელენს" ჩაუდგა სათავეში. იაროსლავლური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა პაველ ვასენკოვმა გაზეთ „სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტს ისიც განუცხადა, რომ ყიფიანის შემცვლელის ვინაობა ამ კვირაში გახდება ცნობილი. ამავდროულად სავსებით შესაძლებელია უმწვრთნელოდ დარჩეს რუსეთის ახლახან დასრულებულ პირველობაში მეთერთმეტე ადგილზე გასული მოსკოვის „ტორპედო". თუმცა კლუბის ამჟამინდელ თავკაც ვალენტინ ივანოვს გარკვეული იმედები მაინც აქვს: „ვოლგოგრადში, „როტორთან" 0:1 წაგებული მატჩის შემდეგ ვთქვი, რომ „ტორპედოს" ვტოვებ. მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ ეს ნაჩქარევი გადაწყვეტილება იყო. ერთი სიტყვით, ყველაფერი გუნდის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდება" — აღნიშნა ივანოვმა.

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანური „დეპორტივო ლა კორუნიას" მცველი ლუის რამისი კოჰის უმძიმესი ტრავმის გამო ფეხბურთს ოთხი თვით გამოაკლდება. „დეპორტივოს" მცველი კვირას, „მალიორკასთან" ფრედ 1:1 დასრულებულ მატჩში დაშავდა.**

ინგლისური „ქოვენთრი სიტის" დაცვის ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომლის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, თავის არეში მიღებული დარტყმის შემდეგ გარდაიცვალა. ადგილობრივი პოლიციის თქმით, შაბათს, როდესაც „ქოვენთრისთან" საბურთაოდ ინგლისის ჩემპიონი ლონდონის „არსენალი" ჩავიდა, ამ უკანასკნელის ავტობუსი მასპინძელი კლუბის პირად მცველს დაეჯახა, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. გამოძიება მიმდინარეობს, ხოლო ის შეხვედრა ლონდონელებმა 1:0 მოიგეს.

**ბელარუსის ჩემპიონატი. ბოლო, 28-ე ტური: ტორპედო (მინსკი) — კომუნალნიკი 6:0; ტორპედო (მოგილევი) — მოლოდეჩნო 0:1; ბელშინა — შახტიორი 2:1; დინამო (ბრესტი) — ლოკომოტივი 96 0:1; ბეტა — დნეპრტრანსმაში 1:0; გომელი — დინამო (მინსკი) 4:3; სლავია — ნემანი 3:2. ჩემპიონი 67 ქულით გახდა „დნეპრტრანსმაში". მეორე ადგილზე გავიდა „ბეტა" — 58 ქულა, მესამეა „ბელშინა" 57 ქულით.**

იუგოსლავიის ჩემპიონატი. მე-12 ტური: მოგრენი — ზელეზნიკი 2:2; რადნიჩკი — პრიშტინა 2:0; სარტიდი — ოფკ (ბელგრადი) 0:1; ზემუნი — მილიციონარი 1:0; რადი — ჰაიდუკი 1:0; პროლეტერი — პარტიზანი 0:1; ბუდუჩნოსტი — სპარტაკი 2:0; ვოივოდინა — ობილიჩი 0:1; ცრვენა ზვეზდა — რადნიჩკი 4:0. ლიდერობს „პარტიზანი" 36 ქულით. მეორეზეა „ობილიჩი" 30 ტულით, მესამეა „ცრვენა ზვეზდა" — 24 ქულა.

**ჩრდ. ირლანდიის ჩემპიონატი. მე-13 ტური. ბელიმენა — კლიფტონვილი 1:2; კრუზეიდერსი — ომაგ თაუნი 5:0; გლენავონი — ლინფილდი 1:1; გლენტორანი — კოლრეინი 5:4; ნიური — პორტდაუნი 3:2. ლიდერობს „გლენტორანი" 32 ქულით, მეორე ადგილზეა „ლინფილდი" — 27 ქულა, მესამეა „ნიური" 25 ქულით.**

ისრაელის ჩემპიონატი. მე-7 ტური. მაკაბი (ჰერცალია) — ბეითარი 1:4; მაკაბი (იაფა) — ჰაპოელი (ჰაიფა) 1:2; ირონი (რიშონი) — ბნეი გუდა 3:1; მაკაბი (ჰაიფა) — მაკაბი (ფეთაჰ ტიკვა) 4:0; ჰაპოელი (იერუსალიმი) — ირონი (აშდოდი) 4:2; ზაფრირიმი — მაკაბი (თელ ავივი) 1:0; ჰაპოელი (ფეთაჰ ტიკვა) — ჰაპოელი (ბეით შანი) 7:0; ჰაპოელი (თელ ავივი) — ჰაპოელი (ქვარსავა) 3:1. ლიდერობს ჰაიფას „ჰაპოელი" — 19 ქულა, მეორეა ფეთაჰ ტიკვას „ჰაპოელი" — 18 ქულა, მესამე ადგილს იყოფენ „ბეითარი" და თელ ავივის „ჰაპოელი" 13-13 ქულით.

**პოლონეთის ჩემპიონატი. მე-13 ტური: ვიძევი — ლეხი 3:0; რუხი (ხოჟუვი) — ლკს 1:2; ვისლა — გურნიკი 2:1, ლეგია — ოდრა 0:0; კატოვიცე — პოლონია 1:3; რუხი (რაძიონკოვი) — სტომილი 1:0; ბელხატოვი — პოგონი 2:0; ამიცა — ზაგლებიე 2:1. ჩემპიონატს 37 ქულით ლიდერობს „ვისლა". მეორე ადგილზეა „ლეხი" 30 ქულით, მესამეზე ვარშავის „ლეგია" — 24 ქულა.**

რუმინეთის ჩემპიონატი. მე-12 ტური: ასტრა — უნივერსიტატია (კლუჟი) 2:1; ოცელული — ბაკეუ 0:1; ჩაჰლაული — პეტროლული 1:3; ფარული — უნივერსიტატია (კრაიოვა) 1:2; ოლიმპია — არჯეში 0:3, ფორესტა — რაპიდი 0:1; ნაციონალი — ონესტი 3:0; დინამო — რესიტა 7:0; გლორია — სტიაუა 2:1. ჩეკმპიონატს 31-31 ქულით „დინამო" და „რაპიდი" ლიდერობენ. მესამე ადგილზეა „ნაციონალი" — 24 ქულა.

**დანიის ჩემპიონატი. მე-13 ტური: ვაილე — ბ93 2:0; ლუნგბიუ — ორჰუსი 1:1; სილკებორგი — ჰერფოლგე 1:1; კოპენჰაგენი — ოლბორგი 2:2; ბრონდბიუ — ოლბორგი 2:1. პირველ ადგილზეა „ოლბორგი" — 7 ქულა, მეორეა „კოპენჰაგენი" — 26 ქულა, 21 ქულით მესამეა „ბრონდბიუ".**

უელსის ჩემპიონატი. მე-9 ტური: ტნს — ებერსვიფტი 0:0; ნიუ თაუნი — კარმარტენი 0:0; ჰევერფორდვესტი — რილი 5:2; ქვიმბრან თაუნი — კერნარფონი 6:0; კონვი — კონა ქუი 1:3; ბანგორ სიტი — ბერი თაუნი 0:3; კარდიფი — კერსვისი 6:0. ჩემპიონატს 22 ქულით ლიდერობს „ბერი თაუნი". მეორეზეა „ქვიმბრან თაუნი" — 21 ქულა, მესამეა „ებერსვიფტი" — 19 ქულა.

**ირლანდიის ჩემპიონატი. მე-10 ტური: დანდალკი — უნივერსიტი 2:0; შემროკ როვერსი — სენტ პატრიკი 2:1; ბრეი — სლიგო როვერსი 1:1; დერი სიტი — ფინ ჰარპსი 2:1; კორკ სიტი — შელბურნი 2:1; ბოჰემიანსი — უოტერფორდი 0:1. ჩემპიონატს ლიდერობს 27-ქულიანი „კორკ სიტი", მეორე ადგილზეა „სენტ პატრიკი" — 24 ქულა, მესამე-მეოთხე ადგილებს 14-14 ქულით „ბრეი" და „უოტერფორდი" იყოფენ.**

უნგრეთის ჩემპიონატი. მე-13 ტური: კერულეტი — ბვსჩ 0:0; მაშაში — დიორი 1:4; მტკ — შოფოკი 1:0; ალადეში — დებრეცენი 1:1; ვიდეოტონი — ფერენცვაროში 1:3; კიშპეშტ ჰონვედი — უიპეშტი 2:3; დიოშდიორი — გეშერი 2:0; სპარტაკუსი — ვაცი 3:4; დუნეფერი — ზალეგერშეგი 2:0. პირველ ადგილზეა მტკ 32 ქულით, მეორეა „დიორი" — 28 ქულა, მესამე — „დიოშდიორი" 27 ქულა.

**ხორვატიის ჩემპიონატი. მე-11 ტური: ჰაიდუკი — კროაცია 1:1; რიეკა — მლადოსტი 1:0; ზაგრები — დრაგოვილაცი 0:0; ვარტექსი — ციბალია 3:0; სიბენიკი — ზადარკომერცი 4:2; სლავენი — ოსიეკი 1:4. ჩემპიონატს 10 თამაშიდან 26 ქულით ლიდერობს „კროაცია". მეორე ადგილზეა „ჰაიდუკი" — 22 ქულა; მესამეზე — „ოსიეკი" 20 ქულა.**

კვიპროსის ჩემპიონატი. მე-7 ტური: ანართოსისი — არისი 5:0; ეთნიკოსი — ჰაპოელი 2:3; აელი — ნეა სალამინა 8:3; დოქსა — აპოლონი 1:2; ევაგორასი — ენოსისი 1:1; ომონია — აეკი 0:1; ლარნაკა — ოლიმპიაკოსი 1:3. ჩემპიონატს 19 ქულით ლიდერობს „ანართოსისი", მეორე-მეოთხე ადგილებს 16-16 ქულით „ომონია", „აპოელი" და „აელი" იყოფენ.

**ჩეხეთის ჩემპიონატი. მე-11 ტური: სლავია — ოპავა 3:0; სლოვანი — სიგმა 1:1; ჩმელი — კარვინა 3:2; ბანიკი — ჰრადეც კრალოვე 0:0, ბობი — სპარტა 0:1; დუკლა — ვიქტორია (პლზენი), ტეპლიცე — პეტრა, ვიქტორია (ჟიჟკოვი) — იაბლონეცი გადაიდო. ჩემპიონატს 10 თამაშიდან 23 ქულით ლიდერობს „ტეპლიცე". მეორე ადგილზეა 11 თამაშიდან 21 ქულით „სპარტა", მესამეა ასევე 11-თამაშიანი „სიგმა" — 20 ქულა.**

არგენტინის ჩემპიონატი. მე-13 ტური: ბოკა ხუნიორსი — ესტუდიანტესი 3:0; რასინგი — არგენტინოს ხუნიორსი 3:3; გიმნასია (დეხუხუი) — სან ლორენსო 3:2; ბელგრანო — კოლონი 1:1; ფეროკარილი — ტალერესი 3:0; ნიუელზ ოლდ ბოიზი — პლატენსე 2:1; ლანუსი — ინდეპენდიენტე 2:2; გიმნასია (ლა პლატა) — რივერ პლეიტი 3:2. ჩემპიონატს ლიდერობს „ბოკა ხუნიორსი" — 31 ქულა. მეორე ადგილზეა „გიმნასია ლა პლატა" — 27 ქულა, მესამეა „რასინგი" — 22 ქულა.

# წინ, წინ გასწით!

## ჩემპიონთა ლიგა. მეოთხე ტური

CHAMPIONS LEAGUE

ლიგა ეკვატორს მიუახლოვდა. დღეს გუნდები მეოთხე ტურის შეხვედრებს ითამაშებენ და, რაც მთავარია, ამ თამაშების შემდეგ ზოგიერთის ბედიც გაირკვევა. ვინ გავა მეოთხედფინალში, ვინ დარჩება? — ეს საკითხი ჯერჯერობით კვლავაც აქტუალურია. რამდენიმე კლუბი, მიუხედავად ჯგუფური ტურნირის შუაწელისა, უკვე დაემშვიდობა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს. ზოგიერთს ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი შერჩენია, მაგრამ დღეს თუ არა, მორიგ, მეხუთე ტურში მაინც, ამასაც დაკარგავენ. მეოთხედფინალის საგზურს ოფიციალურად ჯერ არავინ დაუფლებია, თუმცაღა რამდენიმეს საამისოდ კარგი შესაძლებლობა აქვს.

რაც დრო გადის, ჩემპიონთა ლიგა მით უფრო იზრდება. თუ პირველი გათამაშებისას მხოლოდ რვა გუნდი მონაწილეობდა, დღესდღეობით კლუბთა რაოდენობა 24-მდე გაიზარდა. გაისად საერთოდაც 32 იქნება. მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა ერთი შეხედვით კარგი ნამდვილად არაა — ხშირად ლიგაში, სადაც უძლიერესნი უნდა მონაწილეობდნენ, ერთი-ორი უსახური გუნდი გამოერევა, რაც ზოგიერთ მატჩს აზრს უკარგავს. ამასთანავე ხშირია უინტერესო, სხვა, გაცილებით საინტერესო შეხვედრების ჩრდილში მოქცეული თამაშები, მაგრამ ყველა ნაკლის მიუხედავად არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ევროპის ჩემპიონთა ლიგას მსოფლიოში საფეხბურთო ტურნირებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. რამდენად შეინარჩუნებს ეს ძალიან პოპულარული საკლუბო ტურნირი ამჟამინდელ პრესტიჟს მომავალ წელს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ დღესდღეობით გათამაშებას რეპუტაციის შელახვის საშიშროება არ ელის.

ჯობს, მთავარს დავუბრუნდეთ — დღეს ევროპის 12 ქალაქში მშვენიერი სანახობა იქნება, ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტურის შეხვედრები გაიმართება. მომავალი თამაშების ჩვენეული მიმოხილვაც პირველი, ანუ A ჯგუფის მატჩებიდან დავიწყოთ.

„ამსტერდამ არენაზე" პრინციპული შეხვედრაა — ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელი „აიაქსი" ბერძნულ „ოლიმპიაკოსს" მასპინძლობს. თამაშის ვერმოგების შემთხვევაში ჰოლანდიელთა სამეოთხედფინალო შანსები საგრძნობლად მცირდება, რაც, ცხადია, ასეთი ტრადიციების მქონე კლუბისთვის ნამდვილად არაა კარგი. „აიაქსი" შინაურ სარბიელზე ბოლოხანს კარგად თამაშობს. მეტოქეებს დიდი ანგარიშით ამარცხებს, მაგრამ შეძლებენ თუ არა თეთრ-წითლები ევროარენაზე ისეთსავე შედეგიან თამაშს, როგორც ჩემპიონატში, ამის თქმა ჭირს. რაც უნდა იყოს, მასპინძლებს ძალიან გაუჭირდებათ ბერძნების დამარცხება.

ჰოლანდიის ჩემპიონის და თასის მფლობელის მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა გუშინ, სამშაბათს, საგანგებოდ მოწყობილ შეხვედრისწინა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „აიაქსი" მეტოქეს აუცილებლად დაამარცხებს. როგორ მოახერხებს ამას, მწვრთნელს ეს აღარ დაუკონკრეტებია. ცნობისთვის — ამსტერდამელებს არ ეყოლებათ გამრჯე ნიგერიელი მარჯვენაფლანგელი ტიჯანი ბაბანგიდა, რომელიც ფეხს ძალიან შეუწუხებია. „აიაქსის" პრობლემები ამით არ ამოიწურება — არაა გამორიცხული, ვერ ითამაშოს „აიაქსის" ბოლო წლების სიმბოლო დენი ბლინდმა და პოლონელმა ლეგიონერმა ანჯეი რუდიმ.

— ჩვენ შეგვწევს ძალა, გავიმარჯვოთ და შემდეგ წრეში გასვლისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ — განუცხადა ჟურნალისტებს სტუმართა თავდამსხმელმა სინიშა გოგიჩმა, რომლის აქტიურმა თამაშმა განაპირობა კიდეც ორი კვირის წინ „ოლიმპიაკოსის" „აიაქსთან" გამარჯვება. თუ „აიაქსს" ტრავმის გამო ერთი ფეხბურთელი აკლდება, ბერძნები ორს მოისაკლისებენ, თანაც ორივეს დისკვალიფიკაციის გამო — გეორგიოს ამანატიდისი და ილიას პურსანიდისი დღევანდელ შეხვედრას ორ-ორი გაფრთხილების გამო გამოტოვებენ. სხვათა შორის ორივე მცველია.

A ჯგუფის მეორე თამაში ზაგრებშია „კროაციას" და „პორტუს" შორის. ორი კვირის წინ პორტუგალიელებმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს და 3:0 დაამარცხეს, მაგრამ რამდენად შეძლებენ პორტუში მიღწეული გამარჯვების გამეორებას, ეს ძნელი სათქმელია. პორტუგალიელებს ამ მატჩში გარდა დისკვალიფიცირებული კაპიტან ჟორჟე კოშტასი, ბრაზილიელი თავდამსხმელი არტურ ოლივეირა დააკლდებათ, რომელსაც ფეხის ტრავმა აქვს.

მასპინძლებს იმედი აქვთ, რომ გაიმარჯვებენ, ამის მიზეზი კი „კროაციას" ახალი მწვრთნელია — ველიმირ ზაეცის გუნდში მისვლის შემდეგ „კროაცია" კარგად თამაშობს ჩემპიონატში. თავად მწვრთნელმა გუშინ თქვა, გულახდილად გეტყვით, „კროაციას" მეოთხედფინალში გასვლის მცირე შანსი აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ხორვატები ვართ და ბოლომდე ვიბრძოლებთო. ზაგრებელები ახალშეძენილი ფორვარდ ადრიან კოზნიკუს ძირითადში გამწესებას აპირებენ.

ძალიან დაძაბული სიტუაციაა მეორე ჯგუფში. პირველ ადგილზე მყოფ ნორვეგიულ „რუსენბორგს" და ჯერჯერობით ერთპიროვნულ აუტსაიდერ ბასკურ „ატლეტიკს" მხოლოდ და მხოლოდ სამი ქულა აშორებთ, ეს დისტანცია კი ასეთი გუნდების ქვეჯგუფში სავსებით ადვილი დასაფარია. მართალია, ლიგის ჯგუფური ტურნირის დასასრულამდე ორი ტურია დარჩენილი, მაგრამ აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ თუ B ჯგუფელებს



სარბიელის არქივიდან

ფრთხილად! ისინი მოდიან! ტურინელი ბებერი ქალბატონის შვილიშვილები ჩემპიონთა ლიგაში ყველა მეტოქის დამარცხებას აპირებენ!

მეოთხედფინალში გასვლა სურთ, მაშინ აუცილებლად პირველი ადგილისთვის უნდა იბრძოლონ, რადგან იმდენი ქულები აქვთ ერთმანეთში დაკარგული, მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში სხვა ჯგუფების მეორეადგილოსნებთან შეპაექრება ძნელი იქნება.

ჩემპიონთა ლიგის ბოლო სამი წლის უცვლელი ფინალისტი ტურინის „იუვენტუსი" დიდი ამოცანის წინაშე დგას — ბოლო სამი თამაში აუცილებლად უნდა მოიგოს, რაც იტალიელებს შემდეგ წრეში თამაშის საშუალებას მისცემს. წინა შეხვედრებში დაკარგულმა ექვსმა ქულამ კლუბს მდგომარეობაზე საგრძნობლად იმოქმედა.

იტალიელთა სასიხარულოდ, მათ არავინ ჰყავთ დისკვალიფიცირებული. ყველა მოთამაშე ჯანმრთელადაა, რაც ბილბაოელებთან მოგების საუკეთესო წინაპირობაა. ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში „სამპდორიასთან" გამარჯვებამ და სერია A-ში პირველად გალიდერებამ ტურინელები ძალიან გაახარა — ესეც კიდევ ერთი პლუსი მომავალი შეხვედრის წინ. გუნდის მწვრთნელი მარჩელო ლიპი რამდენიმე დღეა, მთელი დატვირთვით ავარჯიშებს ფეხბურთელებს და, რაც მთავარია, მათ ბილბაოელებთან მატჩისწინა პერიოდში ყველანაირ ინტერვიუს უკრძალავს. პრესასთან შეხვედრა მხოლოდ ოფიციალურად პრესკონფერენციებზე ხდება.

— გუნდის ამჟამინდელი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ბილბაოელებთან გამარჯვება „იუვენტუსისთვის" აუცილებელია და კლუბი ამისთვის იბრძოლებს კიდეც. წლეულს ჩემპიონთა ლიგის მოგება გვაქვს დაგეგმილი. დროა, წინა ორი სეზონის ჩავარდნა გამოვასწოროთ — განუცხადა ჟურნალისტებს ლიპიმ.

ბრძოლისკენ მოუწოდებს გუნდს ლუის ფერნანდესიც, თუმცა მას ფეხბურთელთა გამო საკმაოდ საგრძნობი პრობლემები შეექმნა. ბასკები „დელე ალპიზე" ვერ ათამაშებენ მცველებს რაფაელ ალკორტას და ინიგო ლარაინსერს, თუმცა სანაცვლოდ ძალიან დიდი შანსია გუნდს ტრავმამოშუშებული იულენ გერერო დაუბრუნდეს. ესპანელი მიმომხილველები არც იმას გამორიცხავენ, რომ ლუის ფერნანდესმა, მიუხედავად გასვლითი მატჩისა, თამაში სამი თავდამსხმელით დაიწყოს. ამ შემთხვევაში „იუვენტუსის" მცველებს ხოსება ეჩებერიასთან, ისმაელ ურსაისთან და სანტიაგო ესაუეროსთან მოუწევთ გამკლავება.

არაკლებ მნიშვნელოვანი მატჩია სტამბოლში. ტრონჰეიმში შერცხვენილი „გალათასარაისგან" გულშემატკივრები „რუსენბორგის" მიწასთან გასწორებას მოითხოვენ, თუმცა სურვილი ერთია და რეალობა მეორე. კვირას ნორვეგიის თასის ფინალში დამარცხებულ „რუსენბორგს" ძირითადი მეკარე იორნ იამტფალი დაუბრუნდა, თუმცა არაა გამორიცხული, სკანდინაველთა კარი ისევ არნი გაუტურ არასონმა დაიცვას — მან ხომ ორი კვირის წინ თურქებთან მატჩში ბრწყინვალედ ითამაშა.

მესამე ჯგუფში სამ გუნდს აქვს მეოთხედფინალში გასვლის თანაბარი შანსი — „ინტერს", „რეალს" და „სპარტაკს" 6-6 ქულა აქვთ.

ჯგუფის ლიდერი „რეალი" ამჯერად გრაცს სტუმრობს, სადაც „შტურმს" დაუპირისპირდება, გუნდს, რომელსაც ორი კვირის წინ ექვსი გოლი გაუტანა. ერთი შეხედვით მადრიდელებს არც ამჯერად უნდა შეექმნათ რაიმე პრობლემა. სავარაუდოდ „რეალი" დაამარცხებს კიდეც მასპინძელს. ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურებში მადრიდელთა შესანიშნავმა თამაშმა გუს ჰიდინკის პოზიციები გაამყარა და ჰოლანდიელმა მწვრთნელმაც ექსპერიმენტებს მიმართა. აღსანიშნავია, რომ შემადგენლობის უწყვეტ ცვლილებებს „რეალისთვის" არ უვნია — კლუბი მუდამ იმარჯვებს და თან საკმაოდ დიდი ანგარიშებითაც.

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულისგან პირველ ტურში ძლეული „ინტერი" მოსკოვში ჩავიდა, სადაც წლეულს „სპარტაკის" მეოთხედ დამარცხებას ეცდება. შეგახსენებთ, რომ უეფას თასის გათამაშების ნახევარფინალში მილანელებმა მოსკოველები ორჯერ ერთი და იმავე ანგარიშით დაამარცხეს 2:1. ახლაც, ლიგის მესამე ტურში, „სან სიროზე" იმავე ანგარიშით სძლიეს ოლეგ რომანცევის გუნდს.

— მე ყველანაირად ვეცდები, მოსკოველთა კარი დავლაშქრო. გული მიგრძნობს, „ინტერი" მოიგებს — განაცხადა მსოფლიოს ბოლო ორი წლის საუკეთესო ფეხბურთელმა რონალდომ, რომელმაც ორი კვირის წინ თავადაც აიღო ფილიმონოვის კარი, ერთხელაც საგოლე გადაცემა გააკეთა. რაც შეეხება მილანელთა თავკაც ჯიჯი სიმონის, მისი ბედი დღევანდელ მატჩზე ბევრადაა დამოკიდებული — წაგების შემთხვევაში არაა გამორიცხული, იგი თანამდებობიდან მოხსნან.

ზემოთ ვთქვით, მეორე ჯგუფის ლიდერს და აუტსაიდერს მხოლოდ სამი ქულა აშორებსო, მაგრამ ამაზე დაძაბული სიტუაციაა მეოთხე ჯგუფში — ლიდერი „მანჩესტერი" ბოლო ადგილზე მყოფ „ბრონდბიუს" ორი ქულით უსწრებს. მათ შორის „ბარსელონა" და „ბაიერნი" მოექცნენ.

„კამპ ნოუ" გრანდთა ჭიდილის მოწმე გახდება. ბოლოჯერ, როცა „ბაიერნი" „ბარსელონას" ესტუმრა, 2:1 იმარჯვა. ეს 1995-96 წლების უეფას თასის გათამაშებაში მოხდა. დღეს მიუნხენელებს ძველი მიღწევის გამეორება ძალიან გაუჭირდებათ — ლუის ვან გაალმა ძლიერი გუნდი ჩამოაყალიბა, ამასთანავე არც ოტმარ ჰიცფელდის კლუბია ხელწამოსაკრავი.

კატალონიელებს დაცვაში პრობლემები გასჩენიათ — ჰოლანდიელი მიხაელ რაიციგერი ბოლო ტურში „სოსიედადთან" 4:1 მოგებულ მატჩში დაშავდა, მიგელ ანხელ ნადალი კი ვერ იქნა და ვერ გამოჯანმრთელდა. ვერ ითამაშებს ლუის ენრიკეც, ვისაც მუხლის ტრავმა აწუხებს. ამასთანავე არც ვან გაალის ერთ-ერთი ბოლო შენაძენი პატრიკ კლუივერტია მზად. ისიც ტრავმის გამოა ჩამოწერილი.

თავის მხრივ პრობლემები გერმანელებსაც აწუხებთ, თუმცა მიუნხენელთა ვარამი მასპინძლების გაჭირვებასთან შედარებით არაფერია. საეჭვოა, თომას შტრუნცისა და მარკუს ბაბელის თამაში.

ამ მეტად პრინციპული მატჩის არბიტრი დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯი იტალიელი პიერლუიჯი კოლინაა.

მეორე შეხვედრაში „მანჩესტერი", ალბათ, კიდევ ერთხელ დაამარცხებს „ბრონდბიუს", დანიელებს ვერ დაუპირისპირდება უელსელი რაიან გიგზი, რომელმაც ფეხის თითი მოიტეხა.

მეხუთე ჯგუფში ძალიან საინტერესოა კიევის „დინამოს" და ლონდონის „არსენალის" დაპირისპირება. „უემბლიზე" კიეველებმა 1:1 ითამაშეს, ახლა კი შინ ინგლისის ჩემპიონის დამარცხებას შეეცდებიან.

ორიოდ დღის წინ კიეველთა გუნდის ექიმებმა კლუბის მწვრთნელ ვალერი ლობანოვსკის აცნობეს, რომ ქართველი მცველის კახა კალაძის თამაში გამორიცხულია ამ უკანასკნელის ტრავმის გამო. კალაძის არყოფნა კიეველთათვის საგრძნობი დანაკლისია, მაგრამ არაა გამორიცხული, ვერ ითამაშოს „დინამოს" ბომბარდირმა ანდრეი შევჩენკომაც. ყმაწვილ უკრაინელს კოჭის ტრავმა აწუხებს.

— ვეცდებით, მეტოქე დავმარცხოთ. ვგრძნობ, აქ თამაში გაგვიჭირდება, მაგრამ ცდას არ დავაკლებთ — განაცხადა კიევს ჩაფრენილმა ლონდონელთა ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა. მწვრთნელი კი ჩაფრინდა კიევში, მაგრამ უკრაინის დედაქალაქში არაა დენის ბერხკამპი, რომელმაც ამ შეხვედრაში მონაწილეობაზე უარი თქვა ფრენის შიშის გამო. ლონდონელებმა ბერხკამპის გარდა, იქნებ მეორე ჰოლანდიელი მარკ ოვერმარსიც მოისაკლისონ, ხოლო ტონი ადამსის თამაში უკვე გამორიცხულია.

ჯგუფის მეორე მატჩში, ათენში, 1995-96 წლების ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტი „პანათინაიკოსი" „ლანსს" მასპინძლობს. შესაძლოა, ბერძენთა რიგებში ვეტერანმა პოლონელმა თავდამსხმელმა კრჟიშტოფ ვარჟიხამაც ითამაშოს.

ბოლო მეექვსე ჯგუფში „კაიზერსლაუტერნი" — „ეინდჰოვენის" წყვილში ფავორიტებად გერმანელები ითვლებიან, მიუხედავად იმისა, რომ მიხაელ შონბერგი და რატინიო არ ეყოლებათ. ლისაბონში კი „ბენფიკა" ორი კვირის წინანდელი სირცხვილის მოშორებას შეეცდება.

**ირაკლი ილაშვილი**

### A ჯგუფი

**აიაქსი — ოლიმპიაკოსი**

დისკვალიფიკაცია: გეორგიოს ამანატიდისი, ილიას პურსანიდისი (ოლიმპიაკოსი)

გაფრთხილება: დანი, ოლე ტობიასენი, რიხარდ ვიჩხე, ანჟეი რუდი, ვამბერტო (აიაქსი), ნუნეშ დე სოუზა, დიმიტრიოს მავროგენიდისი, პეტროს პასალისი, ალექსიოს ალექსანდრისი, გრიგორიოს გეორგატოსი, სტელიანოს ჯანაკოპულოსი, სინიშა გოგიჩი (ოლიმპიაკოსი)

**კროაცია — პორტუ**

დისკვალიფიკაცია: ჟორჟე კოშტა (პორტუ)

გაფრთხილება: გორან იურიჩი, სილვიო მარიჩი, მარიო ტოკიჩი, დარიო სიმიჩი, ედინ მიუჩინი, დამირ კრჟნარი (კროაცია), სეკრეტარიო, ზლატკო ზაოვიჩი, ფერნანდო მენდესი, პაულინიუ სანტუში (პორტუ)

### B ჯგუფი

**გალათასარაი — რუსენბორგი**

დისკვალიფიკაცია: ინსიფ ვედატი (გალათასარაი), ბიერნ ოტო ბრაგსტადი (რუსენბორგი)

გაფრთხილება: ემრე ბელოზოღლუ, გოქან ჰასან სასი, ჰაქან უნსალი, ოქან ბურუქი, გეორგე ჰაჯი, ჰაქან შუქური, დავალა უმითი (გალათასარაი), კრისტერ ბასმა, ანდრე ბერგდოლმო, ანდრეას მეიერი, იან ივარ იაკობსენი, ერიკ ჰოფტუნი, ბენტ სკამელსრუდი (რუსენბორგი)

**იუვენტუსი — ბილბაო**

გაფრთხილება: დიდიე დეშამპი, ანჯელო დი ლივიო, დანიელ ფონსეკა, ალესანდრო ბირინდელი, ზორან მირკოვიჩი, ალესანდრო ტაკინარდი, ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი), ფერეირა, სანტიაგო ესკუერო, ლაკრუსი, იმასი, ისმაელ ურსაისი, იოსუ ურუტია (ბილბაო)

### C ჯგუფი

**სპარტაკი — ინტერი**

დისკვალიფიკაცია: დმიტრი ხლესტოვი (სპარტაკი), არონ ვინტერი (ინტერი)

გაფრთხილება: ნიკოლაი პისარევი, ევგენი ბუშმანოვი, ანატოლი კანიშჩევი, ვასილი ბარანოვი, ანდრეი ტიხონოვი, მიროსლავ რომაშჩენკო, დმიტრი პარფიონოვი (სპარტაკი), დიეგო სიმეონე, ნიკოლა ვენტოლა, ფრანჩესკო მორიერო, ტარიბო ვესტი, ზე ელიასი (ინტერი)

**შტურმი — რეალი**

დისკვალიფიკაცია: მარკუს შოპი (შტურმი)

გაფრთხილება: დიდიე ანგიბო, დარკო მილანიჩი, რომან მაელიხი, მარიო ჰაასი, გიუნტერ ნოეკირხნერი (შტურმი), კრისტიან კარემბუ, ფერნანდო მორიენტესი, რაული, ფერნანდო იერო, კრისტიან პანუჩი, მანუელ სანჩისი (რეალი)

### D ჯგუფი

**ბარსელონა — ბაიერნი**

დისკვალიფიკაცია: იენს იერემაისი (ბაიერნი)

გაფრთხილება: ფილიპ კოკუ, ლუიშ ფიგუ, რუდ ჰესპი, ოსკარი (ბარსელონა), ტორსტენ ფინკი, თომას ჰელმერი, იენს იერემაისი, ოლივერ კანი, შტეფან ეფენბერგი, მარკუს ბაბელი (ბაიერნი)

**მანჩესტერი — ბრონდბიუ**

დისკვალიფიკაცია: ტომას ლინდრუპი (ბრონდბიუ)

გაფრთხილება: ხორდი კრუიფი, ტედი შერინგემი (მანჩესტერი), ებე სანდი, ბრიან იენსენი (ბრონდბიუ)

### E ჯგუფი

**დინამო — არსენალი**

დისკვალიფიკაცია: ალექსანდრ ხაცკევიჩი (დინამო)

გაფრთხილება: ანდრეი შევჩენკო, ვლადისლავ ვასჩუკი, ოლეგ ლუჟნი (დინამო), ემანუელ პეტი, დენის ბერხკამპი (არსენალი)

**პანათინაიკოსი — ლანსი**

დისკვალიფიკაცია: ერიკ მიუკლანდი (პანათინაიკოსი)

გაფრთხილება: ალიოშა ასანოვიჩი, ეფსტრატიოს აპოსტოლაკისი, ნიკოლაოს ლიბეროპულოსი, იოანის გუმასი, ბლენდარ კოლა (პანათინაიკოსი), მიქაელ დებევე, ფრედერიკ დეუ, ალექს ნიარკოსი, ერიკ სიკორა (ლანსი)

### F ჯგუფი

**ბენფიკა — ჰიკ**

დისკვალიფიკაცია: ტაჰარ ელ ხალეჯი, მიხაელ ტომასი (ბენფიკა), აარნო ტურპაინენი (ჰიკ)

გაფრთხილება: მარტინ პრინგლი, პაულო მადეირა (ბენფიკა), მარსელო გონკალვეშ პირასაია, მიკა ლეკოსუო, აკი რი...ლახტი, ვილე ნიულანდი, მარკუ კანერვა... იარი ილოლა, შეფკი კუქი (ჰიკ)

**ლაუტერნი — ეინდჰოვენი**

დისკვალიფიკაცია: რონალდ ვატერეუსი (ეინდჰოვენი)

გაფრთხილება: ჰანი რამზი, მიხაელ შონბერგი, ჩირიაკო სფორცა, უვე როსლერი, ჰუსეინ სამირ იბრაჰიმი (კაიზერსლაუტერნი), ჟორჟინიო, ანდრე ოიერი, ტომა... ივანი, ვუტერუს ვან დერ დოლენი, არნოლდ ბრუგინკი, დენის რომდალი (ეინდჰოვენი)

ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

1977

ელან სიმონსენი

# აფეთქებული ახალგაზრდა

ლაშა გოდუაძე

...1984 წლის ევროპის ჩემპიონატი. ფინალურ ტურნირზე ყველასათვის მოულოდნელად მოხვედრილი დანია, მასპინძელს, კონტინენტის მომავალ ჩემპიონ საფრანგეთის ნაკრებს ხვდება. თამაში აშკარას ხდის, რომ გენიალურ ზეპ პიონტეკს მართლაც ბრწყინვალე ნაკრები შეუქმნია. მასპინძლები ვერაფრით ახერხებენ დანიელთა კარის დალაშქვრას. თითქოს ჩემპიონატის პირველი სენსაციაც უნდა მოხდეს, მაგრამ ამ დროს ძლიერი ფრანგი მცველი მანუელ ამორო ძალიან უხეშად ეთამაშა მეტოქის ლიდერ ალან სიმონსენს, რის შემდეგაც ამ უკანასკნელს მინდვრის დატოვება მოუხდა. ამორო არასპორტული საქციელისთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. მას ნახევარფინალში პორტუგალიელებთან თამაშის ნება ჰქონდა, მაგრამ მის ნაცვლად გამწესებულმა ჟან ფრანსუა დომერგიმ იმდენად კარგად ითამაშა, რომ მიშელ იდალგომ, ფრანგთა მწვრთნელმა ხელახალი ცვლილება არ ინდომა.

ამორო ამოროდ, მაგრამ ალან სიმონსენმა მას შემდეგ ვერ იქნა და ვერ დაიბრუნა ძველი ბრწყინვალება. ეგებ სიმონსენის ვერდაბრუნების მიზეზი ასაკიც იყო, შეიძლება სხვა რამ, მაგრამ ფაქტია, რომ იმ ტრიუმფის მერე ალანი ის ძველი სიმონსენი აღარ იყო. 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების წინ, დანიის ნაკრების მწვრთნელმა ზეპ პიონტეკმა მას გუნდში დაბრუნება სთხოვა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

1986 წელს, ბრწყინვალე დანიელმა მოთამაშემ ალან სიმონსენმა ფეხბურთელის კარიერა მშობლიური ქალაქის კლუბ „ვეილე BK“-ში დაასრულა.

სიმონსენს თავს გადამხდარი საოცარი ამბები სწორედ „ვეილე BK“-ში დაიწყო. არავინ იცის, რა როგორ იქნებოდა უფროს სიმონსენს შვილი ამ გუნდში კი არა, ქალაქის მეორე კლუბ „ვეილე FC“-ში რომ მიეყვანა. ამ შემთხვევაში სიმონსენი ეგებ, ერთ, ჩვეულებრივ, კარგ მოთამაშედ დარჩენილიყო, მაგრამ როგორც წესია — მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

ის, რომ მამამ შვილი „ვეილე BK“-ში მიიყვანა განგების წყალობით მოხდა. ალან სიმონსენიც დიდებისკენ მიმავალ გზას სწორედ მშობლიური ქალაქის კლუბიდან დაადგა.

შემდგომ მოვლენები ისე განვითარდა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ნიჭიერი მოთამაშეების შემთხვევაში — თანატოლთა შორის გამჭრიახობით გამორჩეულმა ალან სიმონსენმა უმალ მიიქცია უცხოელ სელექციონერთა ყურადღება, ხოლო 1972 წელს, მას შემდეგ, რაც დანიის ჩემპიონიც გახდა და თასის მფლობელიც, კონკრეტული წინადადებაც მიიღო.

„ის წელიწადი არასდროს დამავიწყდება. ჩემპიონობა ცხადია, გამიხარდა, მაგრამ ჩემი სიხარული არაფერი იყო მამაჩემის გრძნობებთან შედარებით. მამა ამაყობდა, რომ მისი შვილი დანიის ჩემპიონი იყო. მახსოვს, იმ წელიწადს მამამ შესანიშნავი დაბადების დღე გადამიხადა“ — იტყვის სიმონსენი რამდენიმე წლის შემდეგ. იმ, მისთვის ტკბილადმოსაგონარ 1972 წელს კი ფეხბურთელი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას გაემგზავრა — მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ წინადადება ძალიან მომხიბლავი იყო.

სახელგანთქმული მწვრთნელი ჰანს ვაისვაილერი პირადად ესტუმრა ფეხბურთელს ვეილეში, გლადბახელთა წინადადება შესთავაზა და მთავარს დაჰპირდა — „ბორუსიაში“ გადასვლის შემთხვევაში სიმონსენი კლუბის გენერალური სპონსორისგან, უდიდესი საავტომობილო კონცერნ „ფოლკსვაგენისთან“ ახალთახალ, უახლესი მარკის მანქანას მიიღებდა! ალანს ბევრი არ უფიქრია, მშობლებს დროებით დაემშვიდობა და იქ გაემგზავრა, სადაც მოიპოვა კიდეც უდიდესი აღიარება.

იმ წლებში საერთაშორისო ასპარეზზე დანია, გნებავთ ქვეყნის კლუბები მიღწევებით ვერ დაიკვეხნიდნენ. ევროპის მძლავრ საფეხბურთო ქვეყნებში დანიელი მოთამაშის გამოჩენაც იშვიათობა იყო და ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთი სიმონსენის ნიჭიერებისა გარკვეულწილად ესეც გახლდათ. როგორც ჩანს, გლადბახელებმა ყველაზე ადრე იგუმანეს სიმონსენის შესანიშნავი მომავალი, წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანელები საკმაოდ გვარიან თანხას არ გაიღებდნენ.



1975-77 წლები ალან სიმონსენის და „ბორუსიას“ ზეობის ხანაა — კლუბი ზედიზედ სამჯერ გახდა გფრ-ს ჩემპიონი. ამასთანავე, მოიგო უეფას თასი და ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდა. ყველა ამ მიღწევებში დანიელი ვარსკვლავის წილი განუზომლად დიდი გახლდათ. შეუძლებელია გაიხსენოთ იმ წლების „ბორუსია“ და მეხსიერებაში არ ამოტივტივდეს ალან სიმონსენის შეუდარებელი თამაშები.

სწორედ მიონხენგლადბახში დაიწყო ალან სიმონსენმა იმ შესანიშნავი რეკორდის შექმნა, რომლის წყალობითაც მოხვდა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში და რომლის გამეორებაც ჯერჯერობით ვერვინ შეძლო — ალან სიმონსენი დედამიწის ზურგზე ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც სამივე ევროთასის ფინალში გაუტანია გოლი.

პატარა დანიელმა თავდაპირველად უეფას თასით დაიწყო. 1975 წლის 21 მაისს, ენსხედეში, მასპინძელი „ტვენტე“ გლადბახელებმა 5:1 გაანადგურეს — პირველი და ბოლო გოლი სწორედ სიმონსენმა გაიტანა. თასიც გერმანელებს დარჩათ. ორი წლის შემდგომ, ახლა უკვე ჩემპიონთა თასის ფინალში „ბორუსია“ „ლივერპულს“ დაუპირისპირდა. 25 მაისს, რომში ოლიმპიურ სტადიონზე სიმონსენის მიერ 50-ე წუთზე გატანილმა ბურთმა ანგარიში დროებით გაათანაბრა. საბოლოოდ ინგლისელებმა იმარჯვეს — 3:1 სულ ბოლოს კი თასების მფლობელთა თასის ფინალი იყო, თუმცა ამის შესახებ უფრო ვრცლად.

იმ ხანად სიმონსენს უკვე დაეტოვებინა გერმანია და ესპანეთში, „ბარსელონაში“ გადაბარგებულიყო. 1981-82 წლების თასების მფლობელთა თასის ფინალი კატალონიაში, ლურჯ-წითელთა მშობლიურ „კამპ ნოუზე“ იყო დანიშნული. ბარსელონელთა მეტოქე ბელგიური „სტანდარდი“ გახლდათ, გუნდი, რომელმაც ნახევარფინალში თბილისის „დინამო“ დაამარცხა.

ტორსედორესების წყალობით გამხნევებული „ბარსელონა“ პირველი წუთიდანვე ეკვეთა მეტოქეს, შუსტერ-სიმონსენის წყვილიც ყველანაირად ცდილობდა მიშელ პრუდომის კარის დალაშქვრას, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. მოწინააღმდეგე თამაშგარე მდგომარეობების ხელოვნურად შექმნით, ესპანელთა შეტევებს ჩანასახშივე შლიდა, თავად კი კონტრშეტევების იმედად გახლდათ. თავდაპირველად ბელგიელები დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ მერე მასპინძლებმა თავისი მაინც გაიტანეს — ტაიმის ბოლოსწინა წუთზე ალან სიმონსენმა გაათანაბრა, მეორე ნახევარში კი კინიმ გამარჯვების გოლიც შეაგდო. თასების თასი „ბარსელონას“ დარჩა, ალან სიმონსენმა კი მრავალი საფეხბურთო რეკორდთაგან ერთ-ერთი დაამყარა.

დანიური ფეხბურთის და ალან სიმონსენის გზები ხშირად გადაკვეთილა, მაგრამ ამჯერად უამრავი შესანიშნავი შემთხვევიდან ერთს გავიხსენებთ, რომელიც შესანიშნავი დანიელი ფეხბურთელის სახეს სრულად წარმოაჩენს.

**ალან სიმონსენი**

დაიბადა 1952 წლის 15 დეკემბერს დანიის ქალაქ ვეილეში

თავდამსხმელი

სიმაღლე: 1,68

წონა: 57 კგ

კლუბები: „ვეილე BK“ (დანია, 1970-72); „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი, გფრ, 1972-79); „ბარსელონა“ (ესპანეთი, 1979-82); „ჩარლტონ ატლეტიკი“ (ინგლისი, 1982-83); „ვეილე BK“ (დანია, 1983-86)

ტიტულები: დანიის ჩემპიონი — 1971, 72; დანიის თასი — 1972; გფრ-ის ჩემპიონი — 1975, 76, 77; გფრ-ის თასი — 1973; ესპანეთის თასი — 1981; თასების მფლობელთა თასი — 1982; უეფას თასი — 1975, 79; ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — 1984

ნაკრებში 56 თამაშში გაიტანა 21 გოლი (1972-86)

სიმონსენზე თხრობა ზეპ პიონტეკის ჩინებული გუნდით დავიწყეთ და ამითვე დავასრულოთ.

„დანიური დინამიტი“, როგორც შემდგომში უწოდეს სპეციალისტებმა დანიელთა იმ გუნდს, პირველად 1983 წლის 21 სექტემბერს აფეთქდა და რაც მთავარია, „უემბლიზე“. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დანიას ინგლისი მასპინძლობდა და გამარჯვებას სწორედ ალბიონელებს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მოხდა საოცრება — დანიამ ფეხბურთის სამშობლო სტუმრად დაამარცხა 1:0. ალბათ, ძნელი მისახვედრი არაა, ვინ გაიტანა გადამწყვეტი გოლი — ალან სიმონსენმა სწორედ რომ ძალიან დაძაბულ მომენტში ითავა პენალტის დარტყმა, მაშინ, როცა ეს ვერც ერთმა დანიელმა ვერ გაბედა.

პატარა სიმონსენი გამოექანა, დაარტყა და ახოვანი პიტერ შილტონი, მასთან ერთად კი მთელი ინგლისი დაამარცხა...

დანია ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი.

5 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი — ლევერკუზენი | (1,3-2,8) | 2,3 | 2,9 | 2,8 |

ჩემპიონთა ლიგა. მე-4 ტური.

4 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აიაქსი — ოლიმპიაკოსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| კროაცია — პორტუ | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| გალათასარაი — რუსენბორგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| იუვენტუსი — ბილბაო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| სპარტაკი — ინტერი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| შტურმი — რეალი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| მანჩესტერი — ბრონდბიუ | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ბარსელონა — ბაიერნი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| დინამო — არსენალი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| პანათინაიკოსი — ლანსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| კაიზერსლაუტერნი — ეინდჰოვენი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბენფიკა — ჰიკ | 1,25 | 4,4 | 8,0 |

თასების თასი. მერვედფინალი

5 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პარტიზანი — ლაციო | (3,5-1,2) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ბეშიქთაში — ვალერენგა | (1,4-2,3) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ვარტექსი — ჰერენვენი | (2,8-1,3) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| მალიორკა — გენკი | (1,15-4,0) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| აპოლონი — პანიონისი | (2,0-1,5) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| მაკაბი — რიდი | (1,6-1,8) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბრაგა — ლოკომოტივი | (5,0-1,1) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| კოპენჰაგენი — ჩელსი | (3,1-1,25) | 4,7 | 3,0 | 1,7 |

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები

4 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლტონი — პორტველი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| ქუინზ პარკი — ბარნსლი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

ჰოლანდიის თასის გათამაშება

4 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტა — კამბური | 1,4 | 3,5 | 7,0 |

### ჰოკეი. ნჰლ

4 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტორონტო — კოლორადო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| რეინჯერსი — მონრეალი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ვაშინგტონი — ტამპა ბეი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ფლორიდა — ჩიკაგო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ედმონტონი — ნეშვილი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ანაჰაიმი — სენტ ლუისი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| სან ხოსე — დალასი | 3,4 | 4,4 | 1,4 |

5 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოსტონი — ტორონტო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ოტავა — პიტსბურგი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| აილენდერსი — კაროლინა | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ლოს ანჯელესი — სენტ ლუისი | 1,9 | 4,4 | 2,1 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტებს NHL-ის თამაშებს შესახებ ადგილზე გაეცნობით. კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

**601. გიორგი კაციტაძე.** თელავი. მოსწავლე. 12 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. გივი ჩოხელი, 4. გიორგი ქინქლაძე, 5. შოთა არველაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე, გოჩა ჯამარაული, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე

**602. ბიჭიკო ოტიაშვილი.** თბილისი. ეკონომისტი. 54 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. დავით ყიფიანი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, ალექსანდრე ჩივაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**603. ლევან ჩხაიძე.** თბილისი. არქიტექტორი. 32 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. დავით ყიფიანი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი

**604. თამაზ ორთოიძე.** ბორჯომი. ინჟინერ-ტექნოლოგი. 50 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**605. ოთარ მუშკუდიანი.** წყალტუბო. იურისტი. 20 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ვიტალი დარასელია, 3. სლავა მეტრეველი, 4. ბორის პაიჭაძე, 5. გიორგი ქინქლაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**606. ლადო ხარიძე.** ბათუმი. ტექნოლოგ-მექანიკოსი. 45 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. დავით ყიფიანი, 4. სლავა მეტრეველი, 5. მანუჩარ მაჩაიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, მანუჩარ მაჩაიძე, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**607. ნოდარ ქანდელაკი.** თბილისი. მოსწავლე. 12 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. დავით ყიფიანი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. მიხეილ მესხი, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**608. მიტო ჭანტურია.** სოხუმი. ქიმიკოსი. 46 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია, ვლადიმერ გუცაევი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**609. პაატა მართალიშვილი.** თბილისი. სტუდენტი. 21 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ვლადიმერ გუცაევი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. თემურ ქეცბაია, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: ოთარ გაბელია, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია, რევაზ ძოძუაშვილი, შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი, ზაურ კალოევი, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, ბორის პაიჭაძე

**610. რომან ხაჭაპურიძე.** ქუთაისი. ტექნიკოსი. 40 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, ვიტალი დარასელია, მიხეილ მესხი

**611. კაკო ნიჟაბერიძე.** ქუთაისი. ინჟინერ-ეკონომისტი. 34 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. შოთა იამანიძე, 4. ბორის პაიჭაძე, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: რამაზ ურუშაძე, თენგიზ სულაქველიძე, ფირუზ კანთელაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, გოჩა მაჩაიძე, დავით მუჯირი, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

**612. მაგდა მუშკუდიანი.** ქუთაისი. სტუდენტი. 18 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ალექსანდრე კოტრიკაძე
ფეხბურთელი: 1. ვიტალი დარასელია, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი,

**613. მიხეილ საბახტარიშვილი.** თბილისი. იურისტი. 35 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ალექსანდრე ჩივაძე, 3. ვიტალი დარასელია, 4. სლავა მეტრეველი, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია

**614. გიორგი გაბურინდაშვილი.** თბილისი. მოსწავლე. 12 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. დავით ყიფიანი, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**615. გია შარიქაძე.** თბილისი. ჟურნალისტი. 41 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. დავით ყიფიანი, 4. სლავა მეტრეველი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**616. ჯუმბერ სინატაშვილი.** თბილისი. მძღოლი. 65 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. უშანგი სალდაძე
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ნოდარ ხიზანიშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია

**617. ვლადიმერ ონიანი.** ლაგოდეხი. 40 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: თეიმურაზ სტეფანია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, გივი ჩოხელი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**618. ლუიზა ქალაძე.** თბილისი. ინჟინერი. 50 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. სლავა მეტრეველი, 3. ვიტალი დარასელია, 4. დავით ყიფიანი, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, ალექსანდრე ჭკუასელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, რევაზ შენგელია

**619. ხათუნა ნაცვლიშვილი.** თბილისი. ქიმიკოსი. 27 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ვიტალი დარასელია, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ბორის პაიჭაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, რამაზ შენგელია

**620. თამაზ შერმაზანაშვილი.** თბილისი. ტექნოლოგი. 40 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, ზაურ სვანაძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, რამაზ შენგელია

**621. კოტე ჯიაძე.** თბილისი. ექიმი. 44 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ბორის პაიჭაძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია

**622. გიგა გურგენიძე.** თბილისი. მოსწავლე. 16 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ვიტალი დარასელია, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია

**623. ზვიად კოპაძე.** თბილისი. სტუდენტი. 21 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. რევაზ ძოძუაშვილი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**624. ნინო კოპაძე.** თბილისი. მოსწავლე. 14 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. თემურ მახარაძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. მანუჩარ მაჩაიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. ვლადიმერ გუცაევი, 5. გოჩა ჯამარაული
გუნდი: ოთარ გაბელია, კახი კალაძე, კახაბერ ცხადაძე, მურთაზ შელია, რევაზ ძოძუაშვილი, ზაზა რევიშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, გოჩა ჯამარული, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ ყაველაშვილი

**625. მერი კოპაძე.** თბილისი. პედაგოგი. 41 წლის. მწვრთნელი. 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. ავთანდილ ღოღობერიძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ილია დათუნაშვილი, 4. სლავა მეტრეველი, 5. გიორგი ქინქლაძე
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ შელია, გიორგი ნემსაძე, მანუჩარ მაჩაიძე, გოჩა ჯამარაული, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ გუცაევი, გიორგი ქინქლძე, მიხეილ მესხი

**626. დათო მჭედლიშვილი.** თბილისი. სტუდენტი. 20 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. მიხეილ მესხი, 3. შოთა იამანიძე, 4. ავთანდილ ღოღობეირძე, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: დავით გვარამაძე, ვალტერ გუჩუა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, კახი გოგიჩაიშვილი, გიორგი ნემსაძე, ბესიკ ფრიდონაშვილი, თემურ ქეცბაია, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**627. მაკა კოპაძე.** თბილისი. სტუდენტი. 19 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ნიკოლოზ ტოგონიძე, გელა კეტაშვილი, გიორგი ნემსაძე, მალხაზ მახარაძე, გელა შეყილაძე, ზაზა რევიშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, გოჩა ჯამარაული, გია გურული, მამუკა ფანცულაია, მიხეილ ყაველაშვილი

**628. თემურ ლოჟია.** სენაკი. სტუდენტი. 20 წლის. მწვრთნელი: 1. რევაზ ძოძუაშვილი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ვლადიმერ გუცაევი, 3. ვიტალი დარასელია, 4. რამაზ შენგელია, 5. გიორგი ქინქლაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, გელა კეტაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, ბორის პაიჭაძე, ვიტალი დარასელია, გოჩა ჯამარაული, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, ვლადიმერ გუცაევი, რამაზ შენგელია

**629. ბესიკ ქერესელიძე.** თბილისი. მძღოლი. 31 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. დავით ყიფიანი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. ვლადიმერ გუცაევი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ ჭელიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, ვიტალი დარასელია, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**630. მინდია ჯვარელი.** თბილისი. ეკონომისტი. 27 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. დავით ყიფიანი, 4. მანუჩარ მაჩაიძე, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, კახა ცხადაძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ შელია, მურთაზ ხურცილავა, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, თემურ ქეცბაია, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

# საქართველოს ყველა დროის
# საუკეთესო
## ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრებ
# სარბიელის
# მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუ
კუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთ
ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდ
და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრ
შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გ
მორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამ
სთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოყ
მული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვ
ულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქც
აში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (ს
ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითო
ულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და სა
რთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდ
ტი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხ
ბათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში
გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულ
ბიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდ
1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთე
ლთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გ**
**მზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელ**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________
4 ____________________
5 ____________________

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელ**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________

**საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრებ**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________
4 ____________________
5 ____________________
6 ____________________
7 ____________________
8 ____________________
9 ____________________
10 ____________________
11 ____________________

სახელი ____________________
გვარი ____________________
ასაკი ____________________
პროფესია ____________________
მისამართი ____________________

# ნაკრებს ახალი სისხლი სჭირდება. თანაც სასწრაფოდ!



მოსეშვილი შეგირდებს ტაქტიკურად მოძღვრავს

დასაწყისი პირველ გვერდზე

...თავდაპირველად მოსეშვილმა აწონვის ...დეგები გააცნო ბიჭებს. ჩანდა, უკმაყო- ...ლო იყო და რამდენიმე მათგანს შემო- ...ურა კიდეც ამ მხრივ მეტი მუშაობა მო- ...ხოვა. შემდეგ იყო თეორიული მეცადი- ...ობა, რომელმაც დაახლოებით ნახევარ სა- ...ის გასტანა და სულ სამი კომბინაცია ...ოცვა. მწვრთნელის მიერ ტაქტიკურად ...მოძღვრილებს ახლა ცაგარეიშვილი ...ლოდათ. ზაზამაც გულმოდგინებით ითავა ...ისრებული მისია — კალათბურთელებს ...-წუთიანი მოთელვა ჩაუტარა.

...ერთადერთი ვატო ნაცვლიშვილი ვერ ...ჯებოდა მთელი ძალით. ჩანდა, ნაკრე- ...ის კაპიტანს ტრავმა ჯერაც არ მოშუშე- ...და და დროდადრო თუ ტკბილებდა. ...ის გაკეთების საშუალებას ნატკენი ფეხი ...აძლევდა და ენერგიას ძალისმიერ ვარ- ...შებზედა ხარჯავდა.

...ვატოს მოგვიანებით თანაგუნდელებიც ...ერთდნენ. მათ სიმძიმეების აწევა და ...სტარტო სიჩქარეზე მუშაობა დაევალათ, ...ს შემდეგაც გურასპაულმა ბიჭები მოე- ...ზე მიიხმო და საქმეში ბურთიც ჩარია. ...ან კალათბურთელებიც გაახალისა. შე- ...ულდა ეგრეთწოდებული სამეულები, პი- ...ლი შეტევა და ახლა სროლების ჯე- ...ც დადგა. ორ ჯგუფად დაყოფილებმა ...შეჯიბრიც გაჩალეს 50 ჩაგდებამდე. 3- ...ბი, საშუალო მანძილიდან მოძრაობაში ...ლა და პერსონალურები დახვეწეს.

...ოლოს ორმხრივი თამაშის ჯერიც ...გა, სადაც თეორიული ცოდნის პრაქ- ...ულად განხორციელებაზე გაკეთდა აქ- ...ტი...

**ლევან მოსეშვილი** სკამიდან ადე- ...ბდა თვალს შეგირდებს. ზოგს შეაქე- ..., ზოგსაც გაკიცხავდა და მითითებებს ...ცემდა.

...ვენი ბაზაზე სტუმრობის მიზეზი რომ ...ტყო, ინტერვიუზეც თავაზიანად დაგვ- ...ნხმდა:

— მზადება ორშაბათიდან დავიწყეთ. ...ექტობრივად პირველი შეკრებაა, რაც, ...ეთანხმებით, დალხინებული ცხოვრე- ...ო არ არის განპირობებული. ჩვენდა სა- ...უბედუროდ, ვერაფრით მოვახერხეთ კვე- ... პრობლემის გადაჭრა და აქედან გა- ...დინარე, მხოლოდ ერთხელ ვავარჯი- ...თ ბიჭებს. საშუალება რომ იყოს კა- ...ათბურთელების გამოკვებისა, უკვე ორ- ...ად წვრთნაზე გადავიდოდით, რაც ჩემი ...ით, აუცილებელია.

...ერთოდაც, ფინანსურად ძალიან გვი- ...ს. ფედერაცია, დიდი მცდელობის მი- ...უხედავად, სახსრებს ვერ შოულობს. ჩვენც ...ჩვეული ვართ, ამას შევეგუოთ. არა- ... 15 ნოემბრისთვის ისრაელის შეკრება ...ქვს დაგეგმილი. იქ, „ვინგეიფის“ სა- ...ნელ ბაზაზე, მშვენიერ პირობებს გვ- ...ზობენ, რაშიც წვლილი ჩვენებურ რე- ...ჩხეიძესაც მიუძღვის.

...თუ ეს მოხერხდა, ამას არაფერი აჯო- .... ჩვენთვის მისწრება იქნება, მით ...ო, რომ მოლაპარაკება მიდის ებრაე- ...თან და შესაძლოა, 22-ში მათ ნა- ...ებს ვეთამაშოთ, რაც ჩეხებთან მატჩის ...გენერალური რეპეტიცია იქნება.

**— გუნდში გამოძახებული კა- ...ათბურთელების მზადყოფნამ თუ ...გაკმაყოფილათ?**

— ...ეროვნული პირველობის საერთო ...ის გათვალისწინებით მოთამაშენი მეტ- ...ლებად მზად არიან. თუმცა დამაფიქ- ...ებელია ზოგიერთის ჭარბი წონა, რაც ...სწრაფოდ უნდა ამოიფხვრას. ეს კი თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ისინი გუნდებში სათანადოდ არ იტვირთებიან და ამის კომპენსაცია მთლიანად ჩვენ, ნაკრების ხელმძღვანელებს გვიხდება. ამას კი დრო სჭირდება. ჩვენ მათ წავუყენეთ პირობა, რომ თუ მათ ნაკრებში ადგილის დამკვიდრება სურთ, უპირველესად ამაზე უნდა იზრუნონ.

რაც შეეხებათ ლეგიონერებს, ისინი ჯერ საქმეში არ გვინახავს და მათზე ლაპარაკი შეუძლებელია.

**— ამ პრობლემებს ერთიც ემატება. ვატო ნაცვლიშვილი კვლავაც ტრავმირებულია.**

— ეს ჩვენთვისაც ერთ-ერთი უმთავრესი საწუხარ-საზრუნავია. ვატოს მკურნალობის კურსი სრულფასოვნად ჯერ არც გაუვლია და ბუნებრივია, სათანადო ფორმამდე ბევრი უკლია. ეს-ესაა, ვარჯიში დაიწყო და ვერ გეტყვით, თვის ბოლომდე რა შედეგს მივიღებთ. თუმცა იმედს მისი მონდომება მაძლევს. იგი ნამდვილი პროფესიონალია და მაქსიმუმს გაიღებს, რათა ნაკრებს დაეხმაროს. უიმისოდ კი ძალიან გაგვიჭირდება.

**— ეროვნულ გუნდში ახალი სახელებიც გამოჩნდა — ჟღენტი, აბრამიძე, გაგნიძე. თანაც სამივე მათგანი ამპლუით გამთამაშებელია. ალბათ, ყველაზე მეტად ამ რგოლის გაძლიერებას ისახავთ მიზნად.**

— ამ პოზიციაზე მართლაც ძალიან მწირი არჩევანი გვაქვს. ვერა და ვერ მივაგენით ოპტიმალურ გამთამაშებელს. წინა შეხვედრებში გამოიცადნენ ხოშტარია, გოგბერიშვილი, მაისურაძე, ვაშაკიძე, ჩხეიძე, მაგრამ მათი გამოსვლა უარყოფითად შეფასდა. ისე არ გაიგოთ, თითქოს ესენი ცუდი კალათბურთელები იყვნენ. არა, უბრალოდ, ნომინალური პირველი ნომერი მაინც სულ სხვაა, მასზეა დამოკიდებული თამაშის ორგანიზაცია. მან უნდა წარმართოს შეხვედრა და გუნდის შეტევა განავითაროს.

სწორედ ასეთ კალათბურთელად შევიგულეთ აჩიკო ჟღენტი. იგი ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს ჩემპიონატში და დროა, ნაკრებშიც გამოიცადოს. მასაც მივეცით თავის გამოჩენის საშუალება, მით უფრო, რომ ამ ბიჭში საამისო პოტენციალს ვხედავთ. იგი ნათელი გონების, მოაზროვნე კალათბურთელია, რაც უმაღლეს დონეზე თამაშის უმთავრესი წინაპირობაა, თუმცა ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესება მართებს. დაცვაში მეტისმეტად ძლიერ და მაღალ მოწინააღმდეგეებთან მოუწევს ბრძოლა და მათთან გამკლავება გაუძნელდება. ეს „აზოტი“ — „შახტიორის“ შეხვედრამაც წარმოაჩინა. ასე რომ, ეს ნაკლი აჩიკომ შეტევაში უნდა აინაზღაუროს.

ამასვე ვიტყვი აბრამიძეზე. მამუკა თავისი მონაცემებით თანამედროვე სტანდარტებს ნამდვილად შეეფერება და გარდა შემოქმედებითი უნარისა, ჩინებული სროლაც აქვს, მაგრამ ცოტა სისწრაფეში მოიკოჭლებს. ამაზე უნდა იმუშაოს და მისი სახით ნაკრები დიდ ძალას შეიძენს. თანაც თუ ამას გამოცდილებაც დაემატება...

გვეიმედება გიორგი გაგნიძისაც. იგი ჯერ მეტისმეტად ახალგაზრდაა და უფრო მომავლის კალათბურთელად გვესახება. მობილური უკანასკნელია და ძალიან პერსპექტიული.

**— თითქოს გუნდში კარგი მსროლელიც არ ჩანს, შეტევას რომ დააგვირგვინებს.**

— ასეთი წლების მანძილზე სანაძე იყო. იგი სხვა ფუნქციებისგან თავისუფლდებოდა და მხოლოდ ზუსტი სროლა ევალებოდა, რაც თანამედროვე კალათბურთში ყოვლად მიუღებელია, რადგან ყველაფერი მაინც დაცვაზეა აგებული.

ჩემი პრინციპიც ასეთია. დაცვითი თამაში ყველას უნდა შეეძლოს, თუნდაც შეტევაში ვერ იყოს შედეგიანი. ამასვე ვეუბნები ბიჭებს.

რაც შეეხება მსროლელს, რატომ, ასეთებიც გვყავს. იგივე აბრამიძე — იგი არავისზე ნაკლები არ არის, ჟღენტიც კარგად ისვრის. ამათ დაუმატეთ ვაშაკიძე, ოთიურიძე — მათაც შეუძლიათ სროლა.

**— ბატონო ლევან, ახლა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსებზე ლაპარაკიც ზედმეტია. ძნელია, ხუთი წაგების შემდეგ ოპტიმისტურად განეწყო. ალბათ, თქვენც ასევე ფიქრობთ და უფრო შორს იყურებით.**

— გეთანხმებით. ახლა მომავალზე უფრო ვფიქრობთ. ნაკრებს ახალი სისხლი სჭირდება, თანაც სასწრაფოდ. საბედნიეროდ, თაობაც ისეთი მოდის, რომ უკეთესს ვერ ინატრებ. დარჩენილი თამაშები მთლიანად ამაზე მუშაობას უნდა დავუთმოთ. გუნდი სრულფასოვნად უნდა დაკომპლექტდეს.

მაისში ახალი ციკლი იწყება. სავსებით შესაძლებელია ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი თბილისში ჩატარდეს. ამის შესახებ ფიბას ვაცნობეთ და ვფიქრობ, ეს საკითხი სასიკეთოდ უნდა გადაწყდეს. აქ კი უკვე აუცილებლად უნდა ვიმარჯვოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ორი წლით ჩამოვშორდებით საკალათბურთო ევროპას. ვეღარც გულშემატკივარი იხილავს თამაშებს სპორტის სასახლეში. წარმოიდგინეთ, ყოველივე ეს რა დამთრგუნველი იქნება, იქნებ სასიკვდილოც კი.

**— ბოლოს მინდა ისევ ლეგიონერებზე გკითხოთ. ვთქვათ, ისრაელის შეკრება ვერ მოხერხდა. მთლიან შემადგენლობას როდისღა მოუყრით თავს?**

— ეს დამოკიდებულია იმ ქვეყნების ჩემპიონატების კალენდრებზე, სადაც ეს კალათბურთელები თამაშობენ.

ჩვენ ვიცით, რომ სტეფანიას 19 ნოემბრის შემდეგ გაათავისუფლებენ, რადგან იმ დღეს „ოლიმპიას“ პრინციპული მატჩი აქვს. ასევე არიან ვაშაკიძე, ჩხეიძე, ბოისა. ესენი 17-ში გათავისუფლდებიან. შედარებით ადრე ჩამოვლენ ქარაბაკი და ბერძენიშვილი. თუმცა ქარაბაკის თამაში ძალიან სათუოა. ლევანმა უმძიმესი ტრავმა გადაიტანა, თანაც წელიწადნახევარია, არსად უთამაშია, საოცრებების კი ნაკლებად მჯერა. თუმცა ვცდილობ, ყველანაირად გვერდში ამოვუდგე. მე მას ბოლომდე ვენდობი.

ერთი სიტყვით, ჩვენსას შევეცდებით. ვერ ვიტყვი, ჩეხებს აუცილებლად დავამარცხებთ-მეთქი. აი, შვედეთთან კი უნდა მოვიგოთ. სხვა გზა არა გვაქვს. ბიჭებიც ამას ამბობენ, ვალდებული ვართო.

**გიორგი ბიძაშვილი**



ნაკრების კაპიტანი ვატო ნაცვლიშვილი ძალას იკრებს



**გუშინ იაპონიაში ფრენბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. ცხრა დღის განმავლობაში ამომავალი მზის ქვეყანა ქალთა გუნდებს უმასპინძლებს, მერე კი იაპონიას კაცთა ნაკრებებიც ეწვევიან და თვის ბოლოს მსოფლიოს საუკეთესო გუნდსაც გამოავლენენ. კაცთა პირველობის დაწყებამდე საკმაო დროა. მანამდე კი მანდილოსანთა შეჯიბრს მივადევნოთ თვალყური**

# ფრენბურთი მაინც კუბისაა

ქალთა ჩემპიონატში მონაწილე მსოფლიოს 16 საუკეთესო გუნდი 4 ჯგუფადაა დაყოფილი: A ჯგუფი — ჰოლანდია, კენია, პერუ, იაპონია; B ჯგუფი — იტალია, ბულგარეთი, კუბა, აშშ; C ჯგუფი — ბრაზილია, რუსეთი, გერმანია, დომინიკელთა რესპუბლიკა; D ჯგუფი — კორეა, ხორვატია, ტაილანდი, ჩინეთი.

ჯგუფური ტურნირის გასრულების შემდეგ პირველ-მეორე ადგილებზე გასულები ორ მეოთხედფინალურ ჯგუფს შექმნიან და 7, 8 და 9 ნოემბერს გაეჯიბრებიან ერთმანეთს. ამათ შორის ოთხი საუკეთესო კი ფინალურ ჯგუფში მოხვდება და 12 ნოემბერს მსოფლიოს ახალი ჩემპიონიც გამოვლინდება.

ქალთა შორის შეჯიბრის უდავო ფავორიტად ყველა სპეციალისტი სოციალისტური კუნძულის ნაკრებს ასახელებს. კუბელებმა ამ ათწლეულში გამართული ყველა დიდი ტურნირი მოიგეს — მსოფლიო თასი 1991 და 1995 წლებში, 1992 წელს ბარსელონას ოლიმპიადა, 1994-ში მსოფლიოს ჩემპიონატი და 1996 წელს ატლანტის ოლიმპიადა. მათ იაპონიაშიც გამარჯვებით დაიწყეს. ფიდელ კასტროს გასახარად, კუბელების პირველი მსხვერპლი მათი მეზობელი აშშ გახდა. იანკები 0:3 დამარცხდნენ. ამ ჯგუფის მეორე მატჩში იტალიამ, ასევე 3:0, ბულგარეთს მოუგო. მეორე ადგილის მფლობელი აქ, ალბათ, აპენინელებისა და ამერიკელების მატჩში გაირკვევა, პირველი კი უსათუოდ კუბა გახდება.

A ჯგუფში ჰოლანდიელებმა და ტურნირის მასპინძლებმა ერთნაირი ანგარიშით (3:0) დაამარცხეს შესაბამისად კენია და პერუ. ვერც აფრიკელებმა და ვერც სამხრეთამერიკელებმა მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და ძნელი სავარაუდოა, რომ რომელიმე მათგანმა მეოთხედფინალისკენ გაიკვლიოს გზა.

გერმანიის წინააღმდეგ მატჩი დომინიკელთა რესპუბლიკის ნაკრებისთვის კატასტროფულად დაიწყო. ევროპელებს პირველი ხელის მოგებისთვის მხოლოდ 13 წუთი დასჭირდათ. ამის მერე პატარა ქვეყნის ქალები გარდაიქმნენ და ზედიზედ ორი ხელი მოიგეს. გერმანელებმა ანგარიშის გათანაბრება კი მოახერხეს, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდნენ. კუნძულელთა მწვრთნელი ხორხე პერესი სიხარულს ვერ მალავდა: „ნამდვილად არ ველოდი ასეთ შედეგს, მით უმეტეს, 1:15-ის შემდეგ. ძალიან მიხარია ჩვენი ახალგაზრდული გუნდის წარმატება. თანაც საერთაშორისო დონეზე ეს ჩვენი მხოლოდ პირველი გამოსვლაა.“

C ჯგუფის მეორე შეხვედრაში ევროპის ჩემპიონებმა, რუსებმა, ბრაზილიას მოგების შანსი არ დაუტოვეს და 3:0 დაამარცხეს. არადა, ჩემპიონატის დაწყებამდე ბევრი სპეციალისტი პელეს ქვეყნის ნაკრებს კუბელების ყველაზე მთავარ და რეალურ კონკურენტად ასახელებდა ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში. ბრზილიელების დამარცხებაში ლომის წილი დაიდო ელენა გოდინამ, ვინც საკუთარ ნაკრებს 14 ქულა შესძინა.

ბოლო, D ჯგუფში ალმავლობის გზაზე მდგომმა კორეამ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ევროპის მეორე გუნდი — ხორვატია. ჩინეთი კი მეზობელ ტაილანდს საკმაოდ იოლად გაუსწორდა.

მეორე ტურის მატჩები დღეს გაიმართება.

დაბოლოს, იაპონიის მსოფლიოს პირველობა კიდევ ერთი რამითაა აღსანიშნავი. იგი უკანასკნელი ჩემპიონატი იქნება, რომელიც ძველი წესებით ჩატარდება, რადგან ფრენბურთის მამებმა გადაწყვიტეს, ეს ლამაზი თამაში კიდევ უფრო დინამიური, საინტერესო და ტელევიზიას მისადაგებული გახადონ. ჩვენ ფეხბურთზე, კალათბურთსა და რაგბიზე ნაკლებნი არა ვართო, უთქვამთ ფრენბურთის ჩინოსნებს და სამომავლო ცვლილებებიც გამოუქვეყნებიათ.

ეს ახალი წესები 1999 წლის იანვრიდან ამოქმედდება. მათი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ჩავარდნილი ბურთი ამიერიდან ქულად ჩაითვლება. ბურთის მოგების და მოწოდების გადასვლის წესი უქმდება. თამაშის ხუთი პარტიისგან შედგენილობა ძველებურად რჩება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ უწინდებურად თხუთმეტამდე მხოლოდ ბოლო ხელიდა იქნება. ყველა დანარჩენი პარტია კი ოცდახუთ ქულამდე გაგრძელდება. მეტ-ნაკლებობის, ანუ პარტიის მინიმუმ ორი ქულით მოგების წესიც შენარჩუნებულია.

**გაიოზ თალაკვაძე**

**A ჯგუფი**

ჰოლანდია — კენია 3:0 (15:7, 15:1, 15:6)
იაპონია — პერუ 3:0 (15:8, 15:6, 15:3)

**B ჯგუფი**

იტალია — ბულგარეთი 3:0 (15:12, 15:10, 15:6)
კუბა — აშშ 3:0 (15:7, 15:8, 15:10)

**C ჯგუფი**

დომინიკელთა რესპუბლიკა — გერმანია 3:2 (1:15, 15:11, 15:6, 7:15, 17:15)
რუსეთი — ბრაზილია 3:0 (15:7, 15:6, 15:11)

**D ჯგუფი**

კორეა — ხორვატია 3:2 (15:12, 9:15, 15:12, 7:15, 15:11)
ჩინეთი — ტაილანდი 3:0 (15:9, 15:2, 15:5)




REUTERS ფოტოარქივიდან

კუბელი ტორესი ამერიკელი ჰარლის შეტევას იგერიებს

ავტორბოლა

# ყინულის კაცი

„არც კი ვიცი, როგორ გადმოგცეთ ჩემი გრძნობები. 1991 წლიდან მოყოლებული, როდესაც ფორმულა 1-ში შემოვდგი ფეხი, ყოველ სეზონში ვიბრძოდი ჩემი და გუნდის შედეგების გასაუმჯობესებლად. 1993-ში მაკლარენში გადასვლის შემდეგაც არ დამიკლია ცდა, მაგრამ ტრიუმფამდე კიდევ კარგა ხანი გავიდა. ახლა, როდესაც ამ განვლილ დროს გადავხედავთ, მხოლოდ კმაყოფილებასა და ბედნიერებას ვგრძნობ — ასე დაიწყო თავის პირველი პრესკონფერენცია გაჩემპიონების შემდეგ ფორმულა 1-ის ახალმა ძველმა გმირმა, ფინელმა მიკა ჰაკინენმა და როგორც ცივსისხლიან სკანდინაველს შეეფერება, ამ ნანატრ წუთშიც კი არ დავიწყებია იმათი აღნიშვნა, ვინც მისი გამარჯვება შესაძლებელი გახადა — იმ მძიმე სამუშაოს გარეშე, რაც დიზაინერებმა, ქარხანაში მომუშავე ადამიანებმა და გუნდის პარტნიორებმა გასწიეს, ჩვენ შეიძლება ვერაფრისთვის მიგვეღწია. მაგრამ დაუზარელმა შრომამ შედეგი გამოიღო — ჩვენ ჩემპიონები გავხდით."

მაგრამ იყო მომენტები კვირის იაპონიის გრან პრის დროს, როდესაც მორცხვი და თავდაჭერილი ხასიათის გამო „ყინულის კაცად" შერაცხულმა ჰაკინენმაც კი ვერ მოთოკა გრძნობები.

ფინელისთვის რბოლა შესანიშნავად წარიმართა: ჯერ იყო და სტარტზე პოულის პატრონ უმთავრეს კონკურენტ მიხაელ შუმახერს გადაბმულობის პედალმა უმუხთლა და პირველი პოზიციიდან უკანასკნელზე გადაბარგდა, მის აგონიას კი 32-ე წრეზე გახეთქილმა საბურავმა მოუღო ბოლო. გერმანელის გავარდნა ავტომატურად მიკას ჩემპიონობას ნიშნავდა.

„როდესაც შემატყობინეს, მიხაელმა მაყურებლებში გადაინაცვლაო, ბოლიდში ლამის სიმღერა დავიწყე. დარჩენილ წრეებზე აღარც კი ვიცოდი, რა მექნა, უსაქმურობის გამო სტვენა დავიწყე, რბოლაზე აღარ ვფიქრობდი. კიდევ კარგი, მაკლარენის თავკაცმა რონ დენისმა რადიოთი მთხოვა, დაწყნარდი, ნუ აღელდებიო" — ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ ჰაკინენს ჯინსებში გამოწყობილმა შუმახერმა პირველმა მიულოცა პირველობა, მერე თანაგუნდელი დევიდ კულჰარდიც გადაეხვია და სახეგაბრწყინებული ჩემპიონი სულ კუნტრუშ-კუნტრუშით გაიქცა სუზუკას ტრასაზე შეკრებილი 148 ათასი მაყურებლისა და თავისი ახლობელ-მეგობრებისთვის სიხარულის გასაზიარებლად.

ალბათ, სიმბოლურია ისიც, რომ ფინელმა თავისი ოცნება ცხადად იმ კატასტროფიდან ზუსტად 1000 დღის თავზე აქცია, რომელმაც კინაღამ მისი სიცოცხლე შეიწირა.

ბევრს არ ემახსოვრება, რომ 1995 წლის სეზონის უკანასკნელი რბოლა ფინელი პილოტისთვის ლამის კარიერის უკანასკნელადაც იქცა — საათში 250 კილომეტრსაათით მიმავალი მისი მანქანა ადელაიდის ავტოდრომის ბარიერს შეასკდა. მიკამ თავის ქალის მძიმე ტრავმები მიიღო და სიკვდილს მხოლოდ იმის შემწეობით გადაურჩა, რომ პროფესორ სიდ უოტკინსს სამედიცინო დახმარების გაწევა იქვე, საავადმყოფოში გადაყვანამდე მოაფიქრდა.

მისმა გულგრილმა, ერიამ, სამსახურს თავი დაანება, რათა საავადმყოფოში გატარებული თვეების მანძილზე მიკას გვე რდით ყოფილიყო. მხარდაჭერა არ დაუკლიათ რონ დენისსა და მის მეუღლე ლაიზასაც და, საბედნიეროდ, მალე ნათელი გახდა, რომ ჰაკინენი ფორმულა 1-ის ტრასებს დაუბრუნდებოდა.



მიკა ჰაკინენი ტრიუმფატორია!

„იმან, რაც ადელაიდაში მოხდა, ჩემი ცხოვრება შეცვალა, ბევრი რამ მასწავლა და ბევრ რამეზეც სხვანაირი თვალით შემახედა. გუნდი არაჩვეულებრივად მომექცა, მე მათ ძალიან ვემადლიერები, ისევე, როგორც ერიას, ჩემს მეგობრებს და სხვა კეთილ ადამიანებს" — დენისს ფინელის იქიდან მოყოლებული სჯეროდა, რაც 1993 წლის პორტუგალიის გრან პრიზე „მაკლარენის" დებიუტანტმა კვალიფიკაციაში თვით ლეგენდარული აირტონ სენა ჩამოიტოვა უკან და ოდნავადაც არ უყოყმანია, როდესაც მიკას 1996-ში დევიდ კულჰარდის გვერდით შესთავაზა ადგილი.

თითქოს ყველაფერი მოწესრიგდა, მაგრამ ძველი შედეგები და თავდაჯერება სადღაც გაქრა. „იმ ავარიის შემდეგ ვერ ვიტყვი, რომ ვიმალებოდი, მაგრამ ვცდილობდი, საზოგადოების ყურადღების ცენტრში არ მოვმხდარიყავი. მე ძალიან ჩაკეტილი პიროვნება ვიყავი, შეიძლება ახლაც ვარ და ვცდილობდი, ახლოს არავინ გამეკარებინა, ძალა არ ამომაჩნდა, რომ ყველაფერი გადამელახა. ვერ ვიტყვი, მეშინოდა-მეთქი, მაგრამ მანქანაში უკვე შეცვლილი ვჯდებოდი. ძალების აღსადგენად კიდევ უფრო მეტი დრო დამჭირდა."

საქმეს ისიც ართულებდა, რომ 1996 წელს გუნდისთვის წარუმატებელი გამოდგა. ძრავის მიმწოდებელი „მერსედესი" ჯერ კიდევ ვერ იდგა სათანადო დონეზე, „მაკლარენის" რეპუტაცია საკმაოდ შელახული იყო და ვერც ჰაკინენი უჩვენებდა იმ შედეგებს, რასაც მისგან ელოდნენ. სწორედ ეს ხანა მიაჩნია მას ყველაზე მძიმედ თავის კარიერაში: „ეს ის დრო იყო, როდესაც საკუთარ თავს ვებრძოდი მოტივაციის, ხასიათის აღსადგენად. ხშირად ვფიქრობდი, მართლა მჭირდებოდა თუ არა ყველაფერი ეს, მაგრამ რატომღაც ყოველთვის მოიძებნებოდა ხალხი, რომელთაც სჯეროდათ ჩემი, მამხნევებდნენ და მეც დავაღწიე კრიზისს თავი."

1997-ის დასაწყისს დიდი ცვლილებები არ მოუტანია — კულჰარდმა ჯერ ავსტრალიაში იმარჯვა, მერე იტალიაში, ჰაკინენის საუკეთესო მიღწევად კი სეზონის უკანასკნელ ეტაპამდე ავსტრიაში მოპოვებული პოული რჩებოდა. გადამწყვეტი ევროპის გრან პრი აღმოჩნდა. მეორე ადგილზე მყოფ შოტლანდიელს დენისმა თანაგუნდელის წინ გაშვება უბრძანა, მერე მიკა მსოფლიოს ჩემპიონმა ჟაკ ვილნევმაც გაატარა და 96 მცდელობის შემდეგ ფინელმა როგორც იქნა, ნანატრი გამარჯვება მოიპოვა: „გასული სეზონი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის — პირველი პოული, პირველი მოგება. ყოველთვის მჯეროდა, ამას შევძლებდი. ამას ჩემგან ბევრი მოელოდა, მაგრამ სანამ გაიმარჯვებ, შენს თავზე ყოველთვის კითხვის ნიშანი დგას, ხალხი ეჭვობს. ამიტომ მოგებას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია, ამის შემდეგ შენ არავისთვის არაფრის დამტკიცება აღარ გჭირდება, მხოლოდ ასევე უნდა გააგრძელო."

1998 წელს მიკა საკუთარი ძალების დიდი რწმენითა და არაჩვეულებრივად გაძლიერებულ „მაკლარენით" შეხვდა და შედეგებმაც არ დააყოვნა: ფინელმა 8 ეტაპზე იმარჯვა და მიხაელ შუმახერის მძლავრი კონკურენციის მიუხედავად არაერთხელ დაამტკიცა, რომ ჩემპიონობის ღირსი გახლდათ.

სასიკეთოდ შეიცვალა ჰაკინენის პირადი ცხოვრებაც — მონაკოს გრან პრის მოგებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მაისში, ერია ჰონკანენი ჰონკანენ-ჰაკინენი გახდა.

ფორმულა 1-ში მიკას წარმატება ყველამ დამსახურებულად შერაცხა. თვით მიხაელ შუმახერმა, წაგებას ჭირივით რომ ვერ იტანს, შემდეგი განაცხადა: „ის იმსახურებდა მოგებას. მიკა და მისი გუნდი წლეულს საუკეთესონი იყვნენ." არ დაუკლის ქება მსოფლიოს კიდევ ერთ ჩემპიონს, დეიმონ ჰილსაც: „იგი მთელისეზონის მანძილზე ძლიერად რბოლობდა და შეტევების დროსაც სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ვთქვი, მოიგებს-მეთქი და ასეც მოხდა."

„ყინულის კაცი" ფორმულა 1-ის მოყვარულებში, ჯერჯერობით მაინც, შუმახერის, სენას, პროსტის და მისთანათა მსგავსი პოპულარობით ვერ დაიკვეხნის და მაინცდამაინც არც ილტვის ამისკენ. მას მშვიდი ოჯახური ცხოვრება ურჩევნია — საყვარელ სასმელად უბრალო წყალს ასახელებს, საყვარელ მომღერლებად მაიკლ ჯექსონსა და ფილ კოლინზს, თავისუფალი დროის უმეტესობას კი მონაკოში ჩოგბურთის თამაშსა და ცურვაში ატარებს.

თუმცა მოკრძალებულ მიკას საგაისოდ მეტად ამბიციური მიზნები ამოძრავებს: „გაისადაც გამარჯვება მსურს. ეს გუნდის სურვილიცაა და ჩემიც და მერწმუნეთ, ამისთვის ყველაფერს გავილებთ, მე მსურს, ისევ ჩემპიონი გავხდე."

ავთანდილ სვანიძე

ჭადრაკი

# ჩვენებმა წაიფორხილეს

ესპანურ დაბა ოროპერა-დელ-მარიში გრძელდება გოგონათა და ბიჭუნათა მსოფლიოს ჩემპიონატები 5 ასაკობრივ ჯგუფში, რაც ჯამში 10 ცალკეულ ტურნირს უდრის და თითოეულ მათგანში ერთი ან ორი ქართველი მოჭადრაკე თამაშობს. ამჯერად, სამწუხაროდ, კეთილი ამბების მაცნედ ვერ ვივარგებთ. ჩინებული სტარტის შემდეგ ქართველებს კრიზისის ჟამი დაუდგათ და ნათამაშევი 8 ტურის შემდეგ საერთო სურათი ჩვენთვის არცთუ სახარბიელოა: ლიდერთა ჯგუფებს 15-დან მხოლოდ 6 ქართველი შემორჩა.

„სარბიელის" მკითხველს აქედანვე მოვუწოდებთ, დაიხსომოს დავით ჯოჯუას გვარ-სახელი, რა შედეგსაც უნდა მიაღწიოს მან ჩემპიონატში. დათო ერთადერთი ქართველია, ვინც თავის ასაკობრივ ჯგუფში (10 წლამდე) ლიდერობს 6,5 ქულით. 14 წლამდე გოგონებში ქულათა ამავე მარაგით მეორე ადგილზეა ლელა ჯავახიშვილი. ოთხმა ქართველმა — მაკა ფურცელაძემ, ბელა ხოტენაშვილმა, ნანა ძაგნიძემ და ზვიად იზორიამ 6-6 ქულა მოაგროვეს და პირველობის საკმაოდ კარგი შანსები გააჩნიათ. 5,5 ქულა აქვთ ანა მათნაძეს და რუსუდან გოლეთიანს, რომელთათვისაც სწორედ ბოლო ტურები გამოდგა უიღბლო. მიუხედავად ამისა, ყველაფერს დარჩენილი სამი ტური გადაწყვეტს, რადგან ჩემპიონატები შვეიცარიული სისტემით ეწყობა.

REUTERS ტილბურგიდან



ბებერმა მგელმა ვიქტორ კორჩნოიმ ხელი ჩაიქნია

# ანანდი სახელს უფრთხილდება

ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგის XVIII კატეგორიის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში თერთმეტიდან ცხრა ტური გათამაშდა და აღიარებულ ფავორიტთაგან ერთადერთი ვიში ანანდია სახელის საკადრის ადგილზე. იგი ცხრიდან 6,5 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. დანარჩენებს რაც შეეხებათ, კრამნიკი მხოლოდ მეშვიდეა, სვიდლერი მას მისდევს, ხოლო ტოპალოვი სულაც მე-10 ადგილს შერჩენია. მეორე პოზიცია, მრავალთა გასაკვირად, უნგრელ პეტერ ლეკოს უკავია 5,5 ქულით, ხოლო 5 ქულა ერთბაშად ოთხ მოჭადრაკეს დაუგროვდა: ადამსს, პიკეტს, სედლერსა და ზვიაგინცევს. სატურნირო ცხრილის ბოლოს კი „ბებერ მგელს", ვიქტორ კორჩნოის ვხედავთ, რომელიც ახალ თაობასთან ჭიდილში ერთობ მოღლილად გამოიყურება. ბოლო ტურებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი თეორიული სიახლეც მოიტანა, რომელთა გაგრძელებას ალბათ დარჩენილ 2 ტურშიც ვიხილავთ.

დავით გულუა

რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი

# ყოჩებს სენსაციას ვერ გამორჩებ[...]

**ასკ 5:25 ყოჩები**

**ასკ: 1 ლ — ვართანიანი**

**ყოჩები: 3 ლ — პეტრიაშვილი 2, კიკუაშვილი; 2 გ — ტყეშელაშვილი; 2 ს — ტყეშელაშვილი.**

ავლაბარში გამართული ამ შეხვედრისადმი ინტერესი შედარებით ნაკლები იყო. ოთხი თვის უხელფასო, ნაკრების წევრების გარეშე დარჩენილ არმიელებს, აბა, რა უნდა გაეწყოთ აქამდე წაუგებელ „ყოჩებთან". ეგ იყო, მოლოდინს რამდენადმე ამძაფრებდა მათი ამასწინანდელი შეხვედრა, როცა არმიელებმა ლამის იყო, სენსაცია „გამოაცხვეს" და კინაღამ დაამარცხეს ლიდერი.

სენსაცია არც ამჯერად მომხდარა. ლიდერმა კვლავაც გაიმარჯვა და გააგრძელა წაუგებელ მატჩთა სერია, თუმცა უბრძოლველად და იოლად ნამდვილად არ მოუგია. ასკ მთელი თამაშის მანძილზე მონდომებით უტევდა, საჭიროებისას რამდენჯერმე თავიც კარგად დაიცვა (თუმცა იოლი ლელოებიც მიიღო), მაგრამ ამ გუნდს რატომღაც შეტევის ორგანიზება უჭირდა, სიზუსტე განსაკუთრებით იერიშის ბოლო ეტაპზე ღალატობდა.

„ყოჩების" თამაშის შემყურეს კი ასეთი შთაბეჭდილება გექმნება: ესენი ენერგიას ფუჭად არ ფანტავენ, ძალებს გონივრულად ანაწილებენ. მათთვის არც უეცარი „აფეთქებებია" უცხო. შედარებით დუნე თამაშს მეტოქეთა სუსტი წერტილების დასაზვერად იყენებენ. საკმარისია, შეტევით გართულმა მეტოქემ მოედნის ამა თუ იმ მონაკვეთში ყურადღება მოადუნოს, რომ იმ მხრიდან უმალ ხიფათი ემუქრება.

„ყოჩებმა" სამივე ლელო ზუსტად ასე გაიტანეს. პირველად პეტრიაშვილს ფეხით გაუგდეს ბურთი არმიელთა სალელ[...] მოედნისკენ. მანაც სისწრაფით აჯობა თ[...] ნაგუნდელთაგან ეულად მიტოვებულ მ[...] ტოქეს, რომელსაც წამებით დაასწრო ბ[...] რთის დადება. მანვე მეორე ლელო უფ[...] იოლად გაიტანა — მარტოდ მყოფს ბ[...] დრი ხეხელაშვილმა ისე ზუსტად გად[...] წოდა ხელით, რომ არმიელთა მთელი დ[...] ცვა უსაქმოდ დარჩა, პეტრიაშვილმა [...] უპრობლემოდ დადო ბურთი კარის ძ[...] ლებს უკან. მსგავსი ლელო გაიტანა [...] კუაშვილმაც. არმიელთა ლელო უფრო ძ[...] ლისმიერი იყო, რომლის გარდასახვ[...] ტრავმირებული აბუსერიძის ნაცვლად [...] კნაძემ სცადა, მაგრამ უშედეგოდ. მეო[...] ტაიმში მას ლელოს გატანაც შეეძლო, მ[...] გრამ ფლანგიდან „ყოჩების" ლელოს[...] გაჭრილს თანაგუნდელებმა მხარი ვერ [...] ბეს. ლიდერთაგან დამრტყმელობით კ[...] გამოირჩა ტყეშელაშვილი, რომელმაც მხ[...] ლოდ პირველი გარდასახვა ააცილა, ის[...] ძალიან მახვილ კუთხიდან.

ირაკლი თავა[...]

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 22 | 20 | 2 | 0 | 907:224 | 12822[...] |
| დათვები | 22 | 14 | 2 | 6 | 548:205 | 7521 [...] |
| ექსპრესი | 22 | 15 | 0 | 7 | 633:267 | 9531 [...] |
| ასკ | 22 | 12 | 0 | 10 | 428:378 | 6253 [...] |
| გუმარი | 22 | 10 | 0 | 12 | 403:302 | 5941 [...] |
| დინამო | 22 | 3 | 0 | 19 | 116:869 | 8136 [...] |

„გუმარს" და „ყოჩებს" დაკლებ[...] ლი აქვთ თითო ქულა.

**მომდევნო ტური 07.11**

**დინამო — ასკ**

**ყოჩები — გუმარი**

**ბათუმი — ექსპრესი**

ევროთასი. V ტური

# ფრანგი ფრანგის იმედზე[...]

რაგბში ევროთასის მეხუთე ტურის შემდეგ კიდევ ორი მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა. „სტად ფრანსეს", „პერპინიანს" და „კოლომიეს" კიდევ ერთი ფრანგული კლუბი „ტულუზი" და ერთიც ირლანდიური „მანსტერი" დაემატათ. დარჩენილი სამი საგზურის ბედი კი უკანასკნელ ტურში გაირკვევა.

A ჯგუფში როგორც იქნა ფრანგული გუნდისთვის შესაფერისად ათამაშდა „ბეგლ-ბორდო" და ზედიზედ მეორე გამარჯვებაც მოიპოვა. შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი რომ შეენარჩუნებინათ, ჟირონდელებს მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს. წარმატების შემთხვევაში „ლენსტერიც" თითქმის გაინაღდებდა მეოთხედფინალში თამაშს. ამიტომაც მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა. პირველ ტაიმში მეტოქეებმა თითო ლელოს გატანა მოახერხეს, ოღონდ სტუმრებმა, მასპინძელთაგან განსხვავებით, თავისი ლელო გარდასახეს კიდეც და ზედ ერთი ჯარიმაც მოაყოლეს — 5:10. მეორე ორმოცი წუთი კი მთლიანად ფრანგებისა იყო — 3 ლელო, 1 გარდასახვა და 3 ჯარიმა, ასეთია მათი მონაგარი.

ჯგუფის მეორე თამაში უელსურ „ლიანელისა" და „სტად ფრანსეს" შორის თითქმის არაფერს წყვეტდა. ფრანგებს პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდათ. თავიდან სტუმრებმა იძალეს და ტაიმიც 10:6 მოიგეს, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც „ლიანელის" დარჩა. მე-6 ტურში, რომელიც 7-8 ნოემბერს გაიმართება, უელსელები ირლანდიელებს ესტუმრებიან, ბორდოელები კი პარიზელებს. დედაქალაქელებმა ჟირონდელებთან მთელი ძალით თუ არ ითამაშეს და დამარცხდნენ, მაშინ ამ ჯგუფიდან ორი ფრანგული კლუბი გავა, თუ არადა, ალბათ, ირლანდიელები გაიხარებენ.

B ჯგუფში ყველა დიდი ინტერესით მოელოდა ირლანდიის ახალი ჩემპიონის „მანსტერის" დაპირისპირებას „პერპინიანთან". კუნძულელები თუ მოიგებდნენ, ჯგუფში მეორე ადგილს დაიბევებდნენ, ფრანგებს კი განსაკუთრებული ინტერესი არ გააჩნდათ. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მატჩი დაძაბული არ გამოდგა. მასპინძლებმა პირველ ტაიმში გარდასახულ ლელოს ორი საჯარიმო დაუმატეს, პასუხად კი მხოლოდ მეორე ტაიმში მიიღეს ერთი ლელო. აუტსაიდერების შეხვედრაში კი უელსურმა „ნითმა" პირველად იგემა გამარჯვების სიხარული. იტალიის ვიცე-ჩემპიონ „პადოვას" მეოთხედფინალში გასვლის პატარა შანსი მოგების შემთხვევაში კიდევ რჩებოდა, ოღონდ „მანსტერს" არ უნდა მოეგო. მაგრამ აპენინელებმა მხოლოდ ერთი ჯარიმის გატანა მოახერხეს, მეტოქემ კი 16 ქულა მოაგროვა. ამ თამაშების შემდეგ B ჯგუფში მე-6 ტურის მატჩებს აღარანაირი ინტერესი არ შერჩათ.

ერთი მეოთხედფინალისტის ვინაობა C ჯგუფშიც გაირკვა. ტულუზელებს ედინბურგის სტუმრობამდე ზედიზედ ორი მარცხი ეწვნიათ, ერთი საფრანგეთის ჩემ[...] ონატში და ერთიც ევროთასზე. ჰოდა, ას[...] ტიტულოვანი კლუბი მხოლოდ გამარჯ[...] ბით თუ მოიგებდა ქომაგთა გულებს [...] თთაც ძალიან მონდომებით ითამაშეს [...] გამარჯვებაც არ გასჭირვებიათ. ახლა „[...] ლუზი" მე-6 ტურში „ებ ვეილს" მეოთხ[...] ფინალისტის რანგში ესტუმრება. მო[...] „ოლსტერმაც", რომელმაც ჯგუფის მ[...] ჩალა „ებ ვეილი" გაანადგურა და ამის[...] მო ედინბურგში ახლა ფრეც ხელს აძ[...]

D ჯგუფში პირველ ადგილზე ფრან[...] ლი „კოლომიე" გავიდა „გლაზგოსთან" [...] რცხის მიუხედავად, რადგან „პონტიპ[...] დმაც" წააგო. ბოლო ტურში ამ ჯგუ[...] მხოლოდ ერთი მატჩი ჩატარდება, უე[...] ლები შოტლანდიელებს უმასპინძლებენ[...] ლომიე" — „ტრევიზო" ერთი კვირის [...] გაიმართა და ფრანგთა გამარჯვებით [...] რულდა. „პონტიპრიდმა" იტალიის ჩემ[...] ნებს რომ გაუსწროს, ამისთვის ორი [...] ლით მაინც უნდა დაამარცხოს „გლა[...] შოტლანდიელებს კი მხოლოდ ექსტ[...] ანი უპირატესობა აძლევთ ხელს. ეს [...] ტომ, რომ ერთი რაოდენობის ქულ[...] დაგროვების შემთხვევაში, ბურთების [...] ვაობას მიექცევა ყურადღება.

გაიოზ თალაძ[...]

**სატურნირო ვითარება**

**A ჯგუფი**

**ბეგლ-ბორდო 31:10 ლენსტერ[...]**

**ლიანელი 17:13 სტად ფრან[...]**

**B ჯგუფი**

**ნითი 16:3 პადოვა**

**მანსტერი 13:5 პერპინიანი**

**C ჯგუფი**

**ოლსტერი 43:18 ებ ვეილი**

**ტულუზი 23:11 ედინბურგი**

**D ჯგუფი**

**გლაზგო 26:17 კოლომიე**

**ტრევიზო 33:19 პონტიპრიდ[...]**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| A ჯგუფი | | | | | |
| სტადე ფრანსე | 5 | 4 | 0 | 1 | 185[...] |
| ბეგლ-ბორდო | 5 | 2 | 0 | 3 | 120[...] |
| ლენსტერი | 5 | 2 | 0 | 3 | 80:14[...] |
| ლიანელი | 5 | 2 | 0 | 3 | 79:15[...] |
| B ჯგუფი | | | | | |
| პერპინიანი | 5 | 4 | 0 | 1 | 178[...] |
| მანსტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 109[...] |
| ნითი | 5 | 1 | 1 | 3 | 94:13[...] |
| პადოვა | 5 | 1 | 0 | 4 | 58:13[...] |
| C ჯგუფი | | | | | |
| ტულუზი | 5 | 4 | 0 | 1 | 223[...] |
| ოლსტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 174:1[...] |
| ედინბურგი | 5 | 2 | 1 | 2 | 158:1[...] |
| ებ ვეილი | 5 | 0 | 0 | 5 | 95:2[...] |
| D ჯგუფი | | | | | |
| კოლომიე | 6 | 4 | 0 | 2 | 176:1[...] |
| ტრევიზო | 6 | 3 | 0 | 3 | 142:1[...] |
| პონტიპრიდი | 5 | 2 | 0 | 3 | 128:1[...] |
| გლაზგო | 5 | 2 | 0 | 3 | 120:1[...] |

# დააფასეთ ჩეხები!

2 ნოემბერი

**კაროლინა — კოლორადო 2:3**

1:1 0:0 1:2

0:1 ლემიე 1'19 (4); 1:1 დაინინი 4'19 (1); 1:2 ფორსბერგი 51'06 (1); 1:3 კორბე 55'56 (2); 2:3 ემერსონი 57'28 (2)

პეტერ ფორსბერგი შეუდარებელია! ჩემპიონატის დაწყებამდე კი სულ სხვაგვარად იყო საქმე — ჰოკეისტი მთელი თვის განმავლობაში ვერაფრით იბრუნებდა ჩვეულ ფორმას. მეტიც, ერთი გოლიც არ ჰქონდა გატანილი. კაროლინასთან ჩინებული თამაშის შემდეგ შვედი სუპერვარსკვლავი (1+2) უამრავ სიურპრიზს გვპირდება. ამ მატჩში მას ღირსეული მოწინააღმდეგე ჰყავდა თვის საუკეთესო მოთამაშის, კაროლინელი მეკარის არტურ ირბეს სახით, მაგრამ პეტერმა ჯერ ელვისებური დარტყმით გააოგნა იგი, მერე კი საუცხოო პასით რენე კორბე ცარიელ კართან მარტო დატოვა.

**ედმონტონი — ვანკუვერი 5:3**

2:0 2:2 1:1

1:0 ლინდგრენი 16'57 (1); 2:0 ბერანეკი 19'49 (3); 3:0 ფალუნი 24'25 (3); 3:1 კონვერი 26'52 (2); 3:2 გერინი 37'10 (9); 4:2 მესიე 38'20 (6); 5:2 ბერანეკი 46'53 (4); 5:3 ოკუანი 49'34 (4)

ჩეხი იოზეფ ბერანეკი თავის დროზე ვანკუვერში საკადრისად არ დააფასეს და აი, შედეგიც — თავის ყოფილ კლუბთან შეხვედრაში ფორვარდმა (2+2) მძიმედ დაშავებული დუგ უეიტის არყოფნაში („ოილერსის" მთავარი მეპასე სამი თვით გამოეთიშა ჩემპიონატს) არა მარტო პლეიმეიკერის ფუნქცია შეასრულა, არამედ გადამწყვეტი გოლიც გაიტანა და მეტოქე დივიზიონის პირველი ადგილიდან ჩამოაბრძანა.

**აილენდერსი — ფლორიდა 6:2**

1:1 3:1 2:0

1:0 სმოლინსკი 1'11 (3); 1:1 ნიდერმაიერი 5'36 (3); 1:2 ლინდსეი 22'41 (1); 2:2 სმოლინსკი 29'07 (4); 3:2 რაიხელი 35'30 (2); 4:2 ლინდენი 39'08 (5); 5:2 რაიხელი 41'21 (3); 6:2 ლაპოინტი 50'30 (4)

კიდევ ერთი ჩეხის ბენეფისი: აილენდერსის ფორვარდმა რობერტ რაიხელმა 4 (2+2) ქულა დააგროვა, რის წყალობითაც ნიუიორკელებმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში პირველად დაძლიეს 50 პროცენტიანი ზღვარი და დივიზიონის პირველობა იგდეს ხელთ.



აილენდერსელ ტრევორ ლინდენისა (მარცხნივ) და ფლორიდელ რობერტ შვეჰლას შეყრა

## სატურნირო ვითარება

| ატლანტა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აილენდერსი | 11 | 6 | 0 | 5 | 26:24 | 12 |
| ფილადელფია | 11 | 5 | 2 | 4 | 27:22 | 12 |
| ნიუ ჯერსი | 9 | 5 | 0 | 4 | 17:19 | 10 |
| პიტსბურგი | 9 | 4 | 2 | 3 | 24:26 | 10 |
| რეინჯერსი | 10 | 3 | 3 | 4 | 16:23 | 9 |

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 9 | 6 | 0 | 3 | 30:22 | 12 |
| ტორონტო | 10 | 5 | 1 | 4 | 30:31 | 11 |
| ბუფალო | 9 | 4 | 2 | 3 | 24:19 | 10 |
| ბოსტონი | 11 | 4 | 2 | 5 | 25:19 | 10 |
| მონრეალი | 10 | 3 | 2 | 5 | 21:29 | 8 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 9 | 6 | 2 | 1 | 25:16 | 14 |
| ფინიქსი | 8 | 5 | 1 | 2 | 24:14 | 11 |
| ლოს ანჯელესი | 11 | 4 | 2 | 5 | 21:24 | 10 |
| ანაჰაიმი | 9 | 3 | 3 | 3 | 21:19 | 9 |
| სან ხოსე | 9 | 1 | 2 | 6 | 20:27 | 4 |

| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 11 | 4 | 3 | 4 | 23:19 | 11 |
| ტამპა | 11 | 4 | 1 | 6 | 26:34 | 9 |
| ვაშინგტონი | 10 | 3 | 3 | 4 | 16:22 | 9 |
| ფლორიდა | 10 | 3 | 3 | 4 | 22:30 | 9 |

| ცენტრი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 10 | 6 | 0 | 4 | 31:20 | 12 |
| სენტ ლუისი | 9 | 4 | 2 | 3 | 23:21 | 10 |
| ჩიკაგო | 10 | 4 | 1 | 5 | 23:32 | 9 |
| ნეშვილი | 9 | 3 | 1 | 5 | 23:28 | 7 |

| ჩრდილო დასავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ედმონტონი | 10 | 6 | 0 | 4 | 3825 | 12 |
| ვანკუვერი | 11 | 5 | 1 | 5 | 32:27 | 11 |
| კალგარი | 10 | 3 | 2 | 5 | 25:31 | 8 |
| კოლორადო | 10 | 3 | 1 | 6 | 26:36 | 7 |

*ბომბარდირები:* იაგრი (პიტსბურგი) 15 (3+12); ლინდროსი 13 (8+5); ლეკლერი (ორივე — ფილადელფია) და შენაჰანი (დეტროიტი) 13 (7+6); მესიე (ვანკუვერი) 13 (6+7); აიზერმანი (დეტროიტი) 13 (3+10); ფორსბერგი 13 (1+12); საკიკი (ორივე — კოლორადო) 12 (7+5); კარია (ანაჰაიმი) 12 (6+6); სუნდინი (ტორონტო) 12 (4+8)

*გოლები:* გერინი 9; ლინდროსი 8; ლეკლერი, საკიკი, შენაჰანი და ფლერი (კალგარი) 7.

*პასები:* იაგრი და ფორსბერგი 12; აიზერმანი 10; რეკი (მონრეალი) 9; ჯონსონი (ნეშვილი), მოგილნი (ვანკუვერი), სუნდინი, ჟამნოვი (ჩიკაგო), ჯენი (ტამპა) და მაკჯილისი (ფილადელფია) 8.

*დარტყმები:* ბონდრა (ვაშინგტონი) 52; კარია 50; ფლერი 46; შენაჰანი 44; რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 43; ჰალი (დალასი) 39.

*საჯარიმო წუთები:* შ. ბრაუნი (ედმონტონი) 53; უიმერი (კალგარი) 48; დომი (ტორონტო), პრობერტი (ჩიკაგო) და ლოსი (ფლორიდა) 45; ოჯერსი (კოლორადო) 42; რეი (ბუფალო) 40.

*ახალბედები:* პერიში (ფლორიდა) 8 (6+2); მუკალტი (ვანკუვერი) 8 (3+5); ჰეიდუკი (კოლორადო) 6 (2+4); მანელოუკი (ფილადელფია) 6 (1+5); კვამა (ფლორიდა) 5 (1+4); დრური (კოლორადო) 4 (2+2); კროული (ანაჰაიმი) და უოტი (აილენდერსი) 4 (1+3); ჰანდზუსი (სენტ ლუისი) 4 (0+4).

*მეკარეები:* დარტყმების მოგერიება (%); ირბე (კაროლინა) 97,0; ლეგაჩე 95,5; ფისე (ორივე — ლოს ანჯელესი) 94,6; დაფო (ბოსტონი) 94,0; ოსგუდი (დეტროიტი) 93,7.



# არტურ ირბეს თვეც და კვირაც

მავანთ კარიერის დასაწყისშივე, 19-20 წლისას აღიარებენ უდიდეს მოთამაშეებად, ზოგიერთებთან კი სახელი და დიდება ხანგრძლივი, სხვათათვის შეუმჩნეველი გარჯის შემდეგ მოდის. 31 წლის ლატვიელი არტურ ირბე ყოველთვის კარგ მეკარედ ითვლებოდა, მაგრამ ექსტრაკლასის ოსტატების საკადრისი სოლიდური კონტრაქტის მფლობელი არ გახლდათ, რაც, ალბათ, მისი არცთუ თვალშისაცემი სათამაშო სტილის ბრალია. მას შემდეგ, რაც კაროლინას პირველ მეკარედ მიჩნეულმა ტრევორ კიდმა რამდენიმე შეხვედრაში ვერ ივარგა, ლატვიელს ნდობა გამოუცხადეს და ირბემ არნახული სერია ჩაატარა. ოქტომბერში გამართული 9 მატჩიდან არტურმა ექვსში მხოლოდ 1 გოლი გაუშვა (აქედან ორი „შატაუტი" მიითვალა) და ფენომენალურ სტატისტიკურ მონაცემებს ერთ თამაშში საშუალოდ 0,76 გაშვებული შაიბა და 97 % დარტყმების მოგერიება დაამატა. შედეგად, უკანასკნელი კვირის საუკეთესო ჰოკეისტის წოდებას თვის ლაურეატობაც მოჰყვა.

*კვირის საუკეთესო ექვსეული:* *არტურ ირბე (კაროლინა); იურკი ლუმე (ფინიქსი) — ელ მაკინისი (სენტ ლუისი); პოლ კარია (ანაჰაიმი) — მარკ პერიში (ფლორიდა) — იარომირ იაგრი (პიტსბურგი).*

# ზიგ, ევროპა ჭაობია!

უშედეგოდ დასრულდა მაიკ მილბერის ვიზიტი ვენაში. აილენდერსის გენერალურმა მენეჯერმა, რომელიც ამავე დროს კლუბის მთავარი მწვრთნელიცაა, დრო არ დაიშურა და გაფიცულ ზიგმუნდ პალფისთან შეთანხმების მისაღწევად ჩემპიონატის ერთი მატჩი გამოტოვა. თუმცა ჰოკეისტის აგენტის პოლ კრაუსის თქმით, მილბერი ამაოდ შეწუხდა ავსტრიაში ჩაბრძანებით, რადგან ორივე მხარის სიჯიუტის გამო მოლაპარაკებას ძალის პირი უჩანსო — თუ პალფიმ თავისი გასამრჯელო 6,8-დან (ამდენს ითხოვდა იგი თავიდან) 6 მილიონ დოლარამდე შეამცირა, კლუბის მესვეურები პირველად შეთავაზებულ 4,3 მილიონს ფეხს არ უცვლიან. შინ დაბრუნებულმა მილბერიმ განაცხადა, ზიგის კარგად დაფიქრება მართებს, რათა ევროპაში არ ჩარჩესო. მან ბომბარდირის მეორე წინადადებაც უარყო, თუ ხელფასს ყოველწლიურად მომიმატებთ, პირველ სეზონში 4,6 მილიონზეც ყაბულს ვარო. „ზიგის „ტრეიდს" არ ვაპირებთ" — ამბობს მილბერი.

* * *

...რას არ გააკეთებ წარმატების მისაღწევად. კლუბის ულიმღამო ასპარეზობით შეშფოთებულმა კოლორადოს გენერალურმა მენეჯერმა პიერ ლაკრუამ თავისი ვა...შვილი ერიკიც არ დაინდო და კვირის ...ფურულს ძალისმიერი ფორვარდი მცველ ...ომან კოპატის სანაცვლოდ ლოს ანჯე...ლესში გაუშვა.

...ფუტსაიდერმა სან ხოსემ კი, როგორც ...ნა, კაპიტანი ამოირჩია. ეს საპატიო მო...ვალეობა ერთ-ერთ წამყვან თავდამსხმელ ...ეფ ნოლანს დაეკისრა. ჯერჯერობით იგი ...რმატებით უძღვება გუნდს, რაზეც კვი...ს „ზვიგენების" მიერ ტამპას დამარცხე...ც მეტყველებს.

* * *

...ხუთშაბათს დეტროიტისა და სენტ ლუ...ის შეხვედრაში საყურადღებო ფაქტი ...ხდა: ბოლო წამებზე ორკაციან „უმცირესობაში დარჩენილმა ჩემპიონმა თამაშის გადასარჩენად (ამ დროისთვის 1:2 აგებდა) მეკარე მეოთხე მოთამაშით შეცვალა. თუმცა ამით „წითელფრთიანებმა" ის მოიმკეს, რომ ცარიელ კარში კიდევ ერთი შაიბა მიიღეს.

* * *

ლოს ანჯელესის უმცირესობის ბრიგადებმა უნიკალურ შედეგს მიაღწიეს: 11 შეხვედრაში არასრული შემადგენლობით თამაშისას მეტოქემ 55 ცდიდან მხოლოდ ერთხელ გაიტანა. ეს უიშვიათესი შედეგია — 98,2 პროცენტი. ამასობაში თავად ოთხჯერ გაიტანეს, მაგრამ ეს ყველაფერი რატომღაც არანაირ გავლენას არ ახდენს კალიფორნიელთა სატურნირო მდგომარეობაზე, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. პიტსბურგელები კი პირიქით, ძალიან კარგად თამაშობენ რიცხვმრავლობაში — ბოლო 11 შაიბა სწორედ ამ უპირატესობის წყალობით შაგდეს

* * *

კოლორადოს მეკარე პატრიკ რუა საოცრად თვითკრიტიკული კაცი ყოფილა. იგი კლუბის წარუმატებლობის მთავარ მიზეზად თავის არასტაბილურ თამაშს მიიჩნევს. „რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს ლიგაში ასპარეზობის 14-წლიანი გამოცდილების მქონე ადამიანისგან, აშკარად მაკლია თავდაჯერება. მთელი ზაფხული გულმოდგინედ ვიშრომე (რუამ სეზონის წინ 20 ფუნტამდე მოიკლო), მაგრამ სრულიად საპირისპირო შედეგი მივიღე" — დაიჩივლა გულნატკენმა გოლკიპერმა. კლუბის მთავარ მენეჯერ პიერ ლაკრუას კი, რომელიც ამავე დროს რუას უახლოესი მეგობარია, დიდი თავსატეხი გაუჩნდა — გადაიყვანოს 4,5 მილიონ დოლარად ღირებული მეკარე თადარიგში, გაცვალოს თუ დაუჯეროს ბრძნულ ანდაზას, ყველაფერს დრო კურნავსო.

# ფილ ესპოზიტო: ლეგენდარული ჰოკეისტი ანუ შიდგლო მწვრთნელი

ფილ ესპოზიტო — 70-იანი წლების ლეგენდარული ჰოკეისტი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია მთელი ეპოქა ბოსტონისა და ნჰლ-ის ისტორიაში. მარტო ის რად ღირს, რომ მის მიერ დამყარებული შედეგიანობის უნიკალური რეკორდი, 152 (76%76) ქულა, მხოლოდ მომდევნო ათწლეულში დაემხო. თუმცა დრო გავიდა და მოთამაშის დიდება ოდნავ დაჩრდილა უიღბლო სამწვრთნელო კარიერამ.

ყველაფერი კი 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო, როცა სახელოვანმა ჰოკეისტმა გენერალური მენეჯერის თანამდებობაზე სცადა ძალა. 1987 წელს „ნიუ იორკ რეინჯერსში" მის მიერ განხორციელებული პირველივე დიდი „ტრეიდი" სპეციალისტთა კრიტიკის საგანი შეიქნა და არცთუ უსაფუძვლოდ — როგორც მერე აღმოჩნდა, ორი წამყვანი ფორვარდის, მაიკ რიდლისა და კელი მილერის არცთუ შედეგიან ბობი კარპენტერში გაცვლა სრულიად უნაყოფო გახლდათ. სამი არასრული სეზონის განმავლობაში ესპოზიტომ 43 (!) მოთამაშე გაცვალა. წინა ჩემპიონატის მიწურულს კი მან მთავარი მწვრთნელი, ნიჭიერი მიშელ ბერჟერონი დაითხოვა და თავად გაუძღვა გუნდს, მაგრამ პირველობის ბოლო ორი მატჩის წაგებას პლეი ოფის პირველ რაუნდში პიტსბურგთან განადგურება მოჰყვა.



ფილ ესპოზიტო (მარცხნივ) და ჟაკ დემერი

თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მართალია, ესპოზიტოს დიდი ღვაწლი მიუძღვის იმაში, რომ ლიგამ სამხრეთშიც მოიკიდა ფეხი, მაგრამ მის მიერ შექმნილი „ტამპა-ბეი ლაითნინგი" ლიგის ლიდერად კი არა, საშუალო დონის გუნდადაც ვერ იქცა. მეტიც, საეჭვოა სადრაფტო პოლიტიკის, უხეირო გაცვლებისა და შენაძენების გამო (გავიხსენოთ 1992 წლის დრაფტის პირველი ნომრის, ჩეხი მცველის რომან ჰამრლიკის ედმონტონში გაცვლა, რომლის მაგივრადაც რეინჯერსმა ფაქტობრივად ვერაფერი მიიღო) „დიდების დარბაზის" ერთ-ერთი გამორჩეული წევრი ჟურნალისტების საქილიკო გახდა, „ელვების" საქმეც სულ უკანუკან წავიდა. ტამპასთვის ერთადერთ წარმატებულ სეზონშიც კი, 1995-96 წლებში, როცა გუნდი თავის ისტორიაში პირველად მოხვდა პლეი ოფში, ეს არა ესპოზიტოს, არამედ მწვრთნელის ტერი კრისპის დამსახურებად მიიჩნიეს, რამაც გენერალური მენეჯერი ერთობ გაანაწყენა. 1998 წელს თითქოსდა გარდატეხა უნდა შეეტანა ფილის, როგორც ხელმძღვანელის კარიერაში — რამდენიმე იღბლიანი „ტრეიდისა" და დრაფტზე ვენსან ლეკავალიეს შეძენის შემდეგ ტამპა ესპოზიტოს მიერ წინა ჩემპიონატის შუახანს დანიშნული ჟაკ დემერის თავკაცობით დიდ მიზნებს ისახავდა, მაგრამ პირველობის დასაწყისში განცდილი რამდენიმე მარცხის შემდეგ კლუბის მფლობელებს მოთმინების ფიალა აევსოთ. მათ ამ წარუმატებლობაში ესპოზიტო დაადანაშაულეს და თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ფილი კი გაწყრა და განაცხადა, ეს უსამართლობაა, ცოტა დრო მაინც მოეცათ ჩემთვისო. ცხადია, რეინჯერსის პატრონებს ვერ გაამტყუნებ, ის კი არა, მათ უფრო ადრე უნდა გადაედგათ ეს ნაბიჯი.

და მაინც, რა არის იმის მიზეზი, რომ ამ სახელგანთქმული ჰოკეისტისგან ასეთივე მწვრთნელი და სპეციალისტი ვერ დადგა? ალბათ, ის უდიდესი ბრძოლისუნარიანობა, აგრესიულობა და ფეთქებადი ენერგია, რითაც ესპოზიტო ყინულზე გამოირჩეოდა, მას სამწვრთნელო მოღვაწეობაში ნაკლებად გამოადგა. აქ ხომ უმთავრესი თავშეკავება და ყველაფრის მშვიდად განსჯაა. ემოციური ესპოზიტო კი ხშირად წინ უსწრებდა მოვლენების განვითარებას და ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს იღებდა. მოთამაშეობისას გამარჯვებებს ჩვეულს გუნდის წარუმატებლობა მეტად აცხარებდა და წინდაუხედაობით კიდევ უფრო აფუჭებდა საქმეს. ესპოზიტოს დაუოკებელ ტემპერამენტზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ერთხელ მან ტამპას გამაკრიტიკებელი ჟურნალისტი სცემა. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ ლიგის მწვრთნელებისა და გენერალური მენეჯერებისთვის ერთი კლუბიდან მეორეში გადასვლა პრობლემა არასდროს ყოფილა, საეჭვოა, ნჰლ-ის რომელიმე გუნდმა ესპოზიტოს დახმარება მოისურვოს. თუმცა ვინ იცის, იქნებ ფილი მშობლიურ კლუბში — ბოსტონშიც კი დაბრუნდეს?

**სამველ ლარიბიანი**

# შენ ყველაზე კარგი ხარ!

*ამას წინათ ევროპის მძლეოსნობის ასოციაციამ (EAA) ჟურნალისტთა, ოფიციალურ პირთა და ტურნირების ორგანიზატორთა გამოკითხვის შედეგად წლის საუკეთესო ევროპელ მძლეოსან ქალად ფრანგი სპრინტერი კრისტინ არონი დაასახელა. 31 ოქტომბერს ესპანეთის ქალაქ გრანადაში მძლეოსნობის ევროპელმა მამებმა მოშხიბლავ კრისტინს ხელი პრიზით დაუმშვენეს.*

REUTERS გრანადიდან





# ნასიმი ამერიკაშიც ჯეჯილობს

 აბა ვინ დააკავებს „პრინც“ ნასიმ ჰამედს? დღეს — ვერავინ. იემენელად შობილი ინგლისის ქალაქ შეფილდში, შარშანდლიდან ამერიკას იპყრობს. ნასიმ ჰამედის საკრივო ვარსკვლავი ახლა იმგვარად კაშკაშებს, რომ საკრივო ამერიკა თვალს ხუჭავს მის ამოჩემებაზე — თავის უდიდეს მიღწევად მიიჩნიოს ორგანიზაციის (ვბო) ჩემპიონობა. ორგანიზაცია კი თავისი წეს-ხუშტურებით, წითლად მოსილი მსაჯით, დარტყმების კომპიუტერული დათვლით და ა.შ. ბოლო დრომდე სრულიად მიულებელი იყო ამერიკული საკრივო საზოგადოებისთვის.

ბოლო დრომდე მართლაც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამერიკის რომელიმე საკრივო ქალაქში ორგანიზაციის სატიტულო ორთაბრძოლა გაიმართებოდა. მაგრამ იქ, სადაც ნასიმის სახელი გაისმის, ფულიც ჩხრიალებს და აი, ატლანტიკ სიტიში, ნასიმ ჰამედმა ორგანიზაციის ქამარი დაიცვა ვეინ მაკკალოფის ხელყოფისგან და კვლავ დარჩა 126 ფუნტის მეფედ. მის მეფობაში არც არავის ეპარებოდა ეჭვი.

ამ ჩხუბში საინტერესო ის იყო, რომ ნასიმი იქადნებოდა, მესამე რაუნდში უნდა წავაქციო მაკკალოფიო, მაგრამ საქმე მეთორმეტე რაუნდში მოათავა. ლას ვეგასში გადმოსახლებული ირლანდიელი უკანასკნელ რაუნდამდე უძალიანდებოდა ჩემპიონს. ხოლო მესამე რაუნდი რომ წაუქცევლად ჩაათავა, გამარჯვებულივით შემართა მუშტები, აჰა, ხომ არ გავატანინე თავისიო.

„ჯანიანი ბიჭი ყოფილა“, — აღნიშნა ბრძოლის შემდეგ ნასიმმა, რომელიც წაუგებელი რჩება 31 ბრძოლის შემდეგ. ამ 31 ბრძოლიდან მას 28 ნოკაუტით მოუგია. ასევე ნოკაუტით მოუგია მას ბოლო 18 ბრძოლა.

სხვაფრივ კი ნასიმმა გვარიანი შოუ გამართა. ხომ ცნობილია, რომ იგი რინგზე კულბიტით შემოფრინდება ხოლმე? ამჯერად ის გახმაურებული ფილმის „მოჩვენება ოპერაში“ პერსონაჟივით გამოეწყო და ასე გადმოაფრინდა ჩაბნელებული რინგის თოკებს. მერე კი სამოსი შემოიძარცვა და საკრივო ილეთების ჩვენებას შეუდგა.



ნასიმს (მარჯვნივ) ჩხუბი მღერად უღირს

ნასიმს მასხარაობა არც რინგზე შეუწყვეტია. ხან გავას მიუშვერდა მოწინააღმდეგეს, ხანაც რივერდანსის საცეკვაო ილეთებს ასრულებდა. ხშირად ტყუილად იქნევდა მუშტებს, სიმღერასაც შემოსძახებდა და საზოგადოებას ართობდა. ამის საპირისპიროდ მაკკალოფი მეტად სერიოზულად ირჯებოდა და არჩეული ტაქტიკისთვის არ გადაუხვევია. ეს ყველაფერი მეტად სამხიარულო საცქერი იყო.

„კაი ბიჭია ეს ირლანდიელი“, — თქვა ბოლოს ნასიმმაო—„ ძალიან სერიოზულია. რა ვთქვა? ირლანდიელია. ძალიან კარგად იკრივა. მე იოლად გავიმარჯვე. ვფიქრობ, რომ კარგად ვიკრივე და პრობლემა არ მქონია“.

გართობა დიდი იყო და კრივმაც ივარგა. ნასიმ ჰამედთან არ მოიწყენ.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



REUTERS ნიუ იორკიდან



შავი ტრიო: კაგვე, შებე და ბაიო

# ისევ კაგვე

ნიუ იორკის ოცდამეცხრე მარათონი ზედიზედ მეორედ მოიგო კენიელმა ჯონ კაგვემ, რომელმაც მეტად დაძაბულ პაექრობაში გაუსწრო თანამემამულე ჟოზეფ შებეს და ტანზანიელ ზებედაიო ბაიოს. ფინიში მეტად საინტერესო გამოვიდა. მეტიც, ნიუ იორკის მარათონის ისტორიას საერთოდ არ ახსოვს ასეთი დაძაბული დასასრული და სამი კაცის ამგვარი ჭიდილი.

ყველაზე კარგად ამას წამზომი დაგვანახებს: კაგვემ 2 საათი, 8 წუთი და 45 წამი მოანდომა დისტანციას, შებემ 2:08:48, ბაიომ — 2:08:51.

საინტერესოა ისიც, რომ მარათონის პირველ ათეულში ექვსი კენიელია.

ქალთა შორის იტალიელმა ფრანკა ფიაკონიმ იმარჯვა და ნიუ იორკული მარათონის ისტორიაში მეორე შედეგი (2:25:17) უჩვენა. მან გადაუსწრო მოულოდნელად ლიდერთა შორის მოხვედრილ მექსიკელ ადრიანა ფერნანდესს და მსოფლიო რეკორდსმენ კენიელს, ტეგლა ლორუპეს.

ფიაკონისაც და კაგვესაც წარმატება მოუტანა აგრესიულმა ფინიშმა. კაგვემ კი თავისი გამარჯვების საიდუმლო გაანდო მედიას: „მანჰეტენის პირველი ავენიუდან ავქაჩე. ცენტრალურ პარკს რომ მივადექი, მივხვდი, რომ არავის გავუშვებდი წინ. ცენტრალურ პარკში მე ძალიან ძლიერი ვარ. იქ ვერავინ წამომეწევა“.



# ზელანდიელთა ზეობა

გასულ უქმეებზე მელბურნის ფლემინგტონ ტრეკზე იქაური „მელბურნის თასი“ გათამაშდა. თასს თან მოჰყვებოდა 2,8 მილიონი ავსტრალიური დოლარიც. ამდენი ფული და ხელით ნაკეთი ოქროს თასი ახალზელანდიურმა „ჯიზაბილმა“ და მისმა მხედარმა კრის მანსმა მოიგეს.

ექვსი წლის „ჯიზაბილის“ შანსი თავიდან 10-1 ფასდებოდა, რბოლის დაწყების წინ კი 6-1-მდე ჩამოვიდა და ფავორიტადაც ჩაითვალა. შანსით მეორე იყო ასევე ახალზელანდიური ულაყი „შამპანი“, რომელმაც რბოლა მეორემ დაასრულა და კისრით ჩამორჩა გამარჯვებულს. ამათ მოჰყვნენ ბრიტანული ცხენები, რომელთა შორისაც უპირველესი „პერსიან პანჩი“ იყო ზედ ამხედრებულ რიჩარდ კუინით. საუკეთესო ავსტრალიური ცხენი კი „ტაი ზე ნოტი“ გამოდგა, რომელმაც მეექვსემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

რბოლა მეტად საინტერესო იყო: ლამის მთელს რეისს „პერსიან ჰანჩი“ იგებდა, მაგრამ ფინიშამდე ორასი მეტრი რჩებოდა, როცა „შამპანზე“ ამხედრებული გლენ ბოსი დაწინაურდა. პირდაპირ საკვირველი იყო, როგორ მოახერხეს „ჯიზაბილმა“ და მისმა მხედარმა ამ ორთა შორის გაძრომა და სულ მცირედი უპირატესობით გამარჯვება. თუმცა, სპეციალისტებს არ უკვირდათ — „ჯიზაბილი“ განთქმულ ბრაიან ჯენკინსის გაწვრთნილიაო, ამბობდნენ ისინი.

„გლენი ჩემი კარგი მეგობარია“, — განაცხადა გამარჯვებულმა ჟოკეიმ — „მიხარია, რომ ჩვენ ევროპელები არ გავუშვით წინ“.

REUTERS მელბურნიდან



„ჯიზაბილმაც“ (22) ივარგა და კრის მანსმაც


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29